31-ს აგვისტოს. ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ. 1885 წელსა.

3-13

მწყემსი

№ 17.

ᲝᲠ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

,,მწყემსი'' რუსული დამატებით—ექვსი მან.
ნახევარი წლისა—ოთხი მან.
ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.
ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Кириллы, Въ редакцію „Мцкемси'' (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა ᲗᲚᲐᲕᲐᲜᲨᲘ რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲝᲪᲓᲐ-ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲨᲘ შესრულდა ოცდა ხუთი წელიწადი, რაც ეპისკოპოსობის ხარისხში მსახურებს დიდად პატივცემული ყოველად სამღვდელო ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ეპისკოპოსი ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘ. ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐ შეიკრიბა ქ. ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲨᲘ და მიართვა ყოვ. სამღვდელოს ადრესი, რომელშიაც თავისი გულითადი მადლობა გამოუცხადა თავის ერთგულ მწყემსთ-მთავარს. ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲐᲛ კიდეც ითხოვა ნება უმაღლესი მთავრობისაგან ამ იუბილეის დღესასწაულობისა, მაგრამ, რადგან ამისთანა იუბილეის დღესასწაულობა აღკრძალულია საყოველთაოდ, არ მოხდა. ᲝᲪᲓᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲘᲡ დღესასწაულობის ნება ეძლევათ იმისთანა პირებს, რომელთაც რომელიმე თანამდებობაში უმსახურნიათ ერთ ადგილზე ოცდა ხუთი წლის განმავლობაში. ᲡᲬᲝᲠᲔᲗ რვა ამ სეკტემბერს შეუსრულდება ოცდა ხუთი წელიწადი ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ეპისკოპოსს ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲡ, რაც ის ამ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ მსახურებს ეპისკოპოსად. ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სამღვდელოებამ სთხოვა ყოველად სამღვდელოს, რომ მას ნება დაერთო მისთვის (სამღვდელოებისათვის) უმაღლესი მთავრობისაგან ნება-რთვა გამოეთხოვა ოცდა ხუთი წლის იუბილეის დღესასწაულობაზე, მაგრამ მან არ ისურვა ეს... ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ჩვენ გვრჩება მარტო ორიოდე სიტყვა გამოვსთქვათ ყოველად სამღვდელო ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ეპისკოპოსის ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ოცდა ᲮᲣᲗᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ მსახურებისა გამო.

ᲔᲜᲘᲗ მალე იტყვის კაცი, მაგრამ კარგი გრძელი დროა ოცდა ხუთი წელიწადი. ოცდა ხუთი წელიწადი, მეოთხედი საუკუნე, დიდი დროა! რასაკვირველია, ეს დრო დიდი არ არის მათთვის, რომელნიც მსახურებენ და ტვირთად იღებენ მდაბალ სამსახურს, რომელნიც თავის სამსახურს სიხარულით, შექცევით და დროების გატარებით ასრულებენ, მაგრამ გრძელია მათთვის, ვინც თავის მოვალეობას ბეჯითად ასრულებს, ვინც თავის მოვალეობის ასრულებაზე დღე და ღამე ფიქრობს, ვინც უსამართლოებას და ყოველივერ ცუდს ეწინააღმდეგება და ამ ქვეყნის ცუდ ჩვეულებათა და ბოროტ მიმართულებას არ შერიგებია. ᲓᲘᲓᲘ და მძიმე ტვირთია ტვირთი ეპისკოპოსთა. ᲡᲐᲫᲜᲔᲚᲝ ასასრულებელი და მრავალკვარია მოვალეობა ეპისკოპოსთა. ᲓᲘᲓᲘ და მძიმე ტვირთია ტვირთი ეპისკოპოსთა. ᲫᲕᲔᲚ დროში, როდესაც ეპის-

კოპოსად გამოირჩევდენ ვისმეს, ის ყველა ღონის-ძიებას ხმარობდა აეშორებია თავიდამ ეპისკოპოსობა, ამისათვის თავის ქვეყნიდამ მიდიოდნენ შორს, რომ როგორიმე გზით არ დანიშნულიყვნენ ეპისკოპოსად. დღეს, მართალია, დრო შეიცვალა, მაგრამ ყველა საეპისკოპოსოდ გამზადებული პირი ფიქრობს და ევედრება ღმერთსა მოანიჭოს მას მადლი, რათა კეთილად მწყსიდეს სამწყსოთა მისთა და უკანასკნელსა დღესა საშინელის განკითხვისასა შეეძლოს თქმად: „ჰა, უფალო მე ჰ სამწყსონი, რომელნი მომტენ მე.

ჩყ# წელში, სეპტემბრის რვას ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ბაბრიელმა პირველად სწირა ღვთის-მშობლის დღეს ბელათის მონასტერში. მთელი საზოგადოება აღტაცებით მიეგება მას. მთელი ეპარქია შეხაროდა მის მობრძანებას. მიზეზი ამ სიხარულისა ცხადი იყო ყველასთვის. ეპარქია ცუდ მდგომარეობაში იყო შთავარდნილი. იმერეთის ეპარქიას არასოდეს არ ჰყოლებია ეპისკოპოსად მაღალ სასწავლებელში სწავლა მიღებული პირი. საზოგადოებამ პირველი სიტყვა თავის მწყემსთ-მთავრისა ბელათის მონასტერში მოისმინა. წირვის გათავების შემდეგ ყოველად სამღვდელომ შეკრებილ ბაბრიელმა საზოგადოებას მიმართა შემდეგი შესანიშნავი სიტყვები:

«ვსცან რა ნება ღვთისა და განჩინება უმაღლესისა მთავრობისა, რათა ვიყო მე მწყემსად ძეკლისა ამის და ჩინებულისა სამწყსოისა, ვიწყე ბულის ზრახვად დიდთა მათ და მძიმეთა ვალთათვის, რომელთა ამიერიდგან თანამდებ ვარ ტვირთად წინაშე წმიდისა ამის ეკლესიისა. მოვიხსენე სიტყვანი პავლე მოციქულისა; მოვიხსენე აგრეთვე სიტყვანი იმავე მოციქულისა, რომელნი მისწერა ტიტეს, მისგან ეპისკოპოსად ხელ-დასხმულსა: «ჯერ არს ეპისკოპოსისა უბიწო ყოფად, ვითარცა ღვთის მონისა; ნუ თავხედ, ნუ გულ-მწარად, ნუ მეღვინე, ნუ მოდავე, ნუ სძაგელისა შემძინელ, არამედ სტუმართ მოყვარე, კეთილისა მოყვარე, წმიდა, მართალ, დირს, მომთმინე». (ტიტ. ა—ზ). მახსოვან კვალადცა სხვანი მრავალნი სწავლანი, მტნენანი, მხილებანი და დარიგებანი, რომელითა მაცხოვარი ჩვენი მოძღვრებდა თვისთა მოციქულთა; არა ვარ, კვალადვე უმეცარ ყოველისათვის, რასცა ქრისტიანენი ეძიებენ და მოითხოვენ თვისთა მწყემსთ-მთავრისაგან; და ოდეს მე წარმოვიდგენ ყოველთა მათ არა მცირეთა სათნოებათა, რომელნი უნდა შეამკობდენ მარადის ეპისკოპოსსა, და მრავალთა მათ შრომათა, ჭირთა, მოთმინებათა და წინაღმდგომთა გარემოებათა, რომელნი ყოველთვის შეემთხვევიან მას, უკეთუ ბეჯითად და ერთგულად შეუდგება იგი თვისსა მსახურებასა, შეკერთება სულითა და ვიტყვი: ვითარ შეეძლო მე ულირსმან და უძღურმან ტვირთვა ესოდენისა მძიმისა ტვირთისა!... ნეტარ არს მღვდელ-მთავარი იგი, რომელს ძალ-უძს ჭეშეოს რაოდენიმე ღირსნი თანამწირველნი და შემწენი, რომელნიცა მოანდომებენ გულს მოდგინედ ადასრულონ ვალი თვისი და მით შეუმსუბუქონ მას უღელი! ადვილად ადასრულებს თვისსა მოვალეობასა ეპისკოპოსი, გარე მოტეული კეთილთა და ღირსთა სამღვდელოთა მიერ, რომელნი ყოველთვის თანაზიარ ექმნებიან შრომათა, ჭირთა და განსაცდელთა მისთა; ხოლო რაოდენ შესაბრალებელ იქნება მღვდელ-მთავარი იგი, რომელიცა შემწეობისა წილ ნასავს თვისთა შორის სამღვდელოთა უმეტესსა ჭირსა და განსაცდელსა»!..

მინაც იცის მაშინდელი მდგომარეობა იმერეთის ეპარქიისა, როგორც საეროსი, ისე სამღვდელო წოდებისა, ის ცხადად დაინახავს, თუ რამ აიძულა მწყემსთ-მთავარი პირველადვე ამისთანა სიტყვებით მიქცეულიყო საზოგადოებისადმი. იმან იცოდა წინათვე და ნამდვილად უწინასწარმეტყველა თავის თავს ის გაჭირვება და უკმაყოფილება, რომელიც მას ნიადაგ შეხვდებოდა წინ. რამდენი უმგვანო და საზარელი ჩვეულების და წესების წინააღმდეგ უნდა ებრძოლა!... მინ იყო მომხმარე? მინ იყო თანა მოაზრე ამ წესების მოშლისა? არაინ, არც სამღვდელო და არც საერო. სამღვდელოებას ხმა არა ჰქონდა, ის ჩაფლული იყო სიღარიბეში, დაფარული იყო უსწავლელობის სიბნელით და მათზე (სამღვდელოებაზე) მეტი გავლენა ჰქონდა თავად-აზნაურთა, ეინემ ეპისკოპოსებს. დიდი დრო არ იყო გასული მას აქეთ, რაც სამღვდელოება განათავისუფლეს თავად-აზნაურთა შინაყმობის და სამსახურისაგან. საჭირო იყო ზრუნვა სამღვდელოების ნივთიერად და გონებით ამაღლებაზე, საჭირო იყო საზოგადოების ზნეობით ამაღლებაზე ქადაგება, სწავლება და მოძღვრება. მხოლოდ ერთად ერთი მარტო მწყემსთ-მთავარი ჰქადაგებდა, ასწავლიდა შრომობდა ქალაქში, დაბებში და სოფლებში...

(დასასრული შემდეგ №-ში).

მამა სპირიდონ აბულაძის წერილის გამო. *)

ჩვენონა, თუ მამა სპირიდონ აბულაძის წერილს რომელიმე ბლაღოჩინი პასუხს გასცემდა, მაგრამ დიდმა დრომ გაიარა და ხმას არავინ იღებს. აქედამ ერთი რუსული ანდაზა სრულდებ: მდუმარება თანხმობის ნიშანიაო. მეც თანხმა გახლავართ მ. აბულაძის ჰაზრზედ; ბლაღოჩინი მიიღებს თუ არა მთავრობისაგან რამე მოწერილობას, რომელიც ეხება მთელს სამღვდელოებას, ის, მართალია, მაშინვე უნდა შეუდგეს ცირკულიარის წერას ყველა მის საბლაღოჩინო მღვდლების სახელზედ, მაგრამ, როგორც მ. სპირიდონ აბულაძე ამბობს, შეიძლება ათს საგანზედ მოუვიდა მოწერილობა ბლაღოჩინს და ის ყველა საზოგადოთ მღვდლებს შეეხება. მაშ თითო მღვდელზედ ათი მიწერილობა უნდა დასწეროს ბლაღოჩინმა. მსთქვათ ბლაღოჩინს ჰყავს ოცი შტატის მღვდელი, მან უნდა დასწეროს ორასი მიწერილობა. ბარდა ამისა ბლაღოჩინს სხვა მინდობილებაებიც ბევრი აქვს არქიერისაგან; მასთან ეკკლესიების რევიზია, კანტორისაგან მოთხოვნილებების შესრულება და სხვა... სად შეუძლია ერთს მხოლოდ ბლაღოჩინის ხელს ყველა ამაების შესრულება? ბლაღოჩინს რომ ჯამაგირი ჰქონდეს დანიშნული, მაშინ ის დაიქირავებდა მწერალს და ყველაფერი წესიერად შესრულდებოდა. იქნება ვინმემ სთქვას: თანახმად ინსტრუკციისა ბლაღოჩინს შეუძლია მისი საბლაღოჩინო პრიჩეტნიკები იყოლიოს თითო კვირაობით და აწერინოსო, მაგრამ ეს მოუხერხებელი გახლავსთ: პრიჩეტნიკები ყველა რომ შემძლებელნი იყენენ ბლაღოჩინს მოეხმარონ წერაში, მაშინ შეიძლებოდა მისი შესრულება, თორემ მთელ საბლაღოჩინოში ორი-სამი თუ გამოჩნდება, რომ ხერხიანი წერა იცოდეს. აბა მიბრძანეთ, როგორ მოახერხებ იყოლიო საწერად ყოველთვის პრიჩეტნიკი? თუ ნიადაგ იმას აწერინებ, რომელმაც წერა იცის, უსამართლობა იქმნება, იმასაც ცოლშვილი ჰყავს, მუშაობა უნდა; ამიტომ მ. სპირიდონ აბულაძეს, თუ მასს სურს მისი აზრი შესრულდეს, ორს საშუალებას ურჩევ: ერთი ის, რომ ბლაღოჩინს მღვდლებმა ჯამაგირი დაუნიშნონ და, თუ ეს ეზარებათ, მაშინ ყველა მღვდლებმა იქონიონ რეეული და, რაც ბლაღოჩინმა მთავრობის განკარგულება გამოუცხადოს მათ, ყველას ჰაზრი თავის რეეულში ჩაწერონ და აღარ დაავიწყდებათ.

ბლაღოჩინი შარაბიძე.

*) ვეჭვდავთ პატივცემული მამა ბლაღოჩინის შარაბიძის წერილს, მაგრამ სრულებით არ ვეთანხმებით არც ერთს და არც მეორეს მის მოსაზრებას. მისი მოსაზრებანი ისე საადგილო ასასრულებელნი არ არიან, როგორც ის ფიქრობს. კანონით ითხოვენ, რომ ყველა ოფიციალური მიწერ-მოწერა რუსულ ენაზე იწერებოდეს. რამდენი ჩვენში ჯერეო კიდევ ბლაღოჩინები, რომელთაც რუსული არ იციან? ვინ უნდა უთარგმნოს სამღვდელოებას ამდენი განკარგულებანი? რამდენია ისეთანა ბლაღოჩინები, რომელთაც კბრგად არ შეუძლიათ ახსნან ზოგიერთი მართებლობის განკარგულებანი?!...

რედაქტორი.

და ხელში ლამპარით უნდა შეეგებონ მომტირალს ორ-სამ საჟენზე და მერე საცეცხლურის კმევით უნდა მიუძღვენ მათ მიცვალებულთან. ეს უნდა გაიმეორონ მღვდლებმა იმდენჯერ, რამდენი კაციც იქნება თითოეულ ასაბიაში. ასე რომ საწყალი მღვდლები დილიდამ საღამომდე ფეხზე დგანან და პურის საჭმელადაც ვერ მოიცლიან. თუ რომელიმე მომტირალს მღვდლები არ შეეგებენ და საცეცხლურის კმევით მიცვალებულთან არ მიუძღვენ მას, იმ შემთხვევაში დიდ შეურაცხებას აყენებს ის მღვდლებს. უკანასკნელებმა დიდი ბოდიში უნდა მოითხოვონ ამ შემთხვევაში, თორემ ისე მათი საქმე ცუდათ იქნება.

როგორც ზემოთა ვსთქვი, ამ ჩვეულებას ისე მტკიცედ გაუდგამს ფესვი და ისე გავრცელებულია აქაურ ხალხში, რომ ამას ასრულებენ არამც თუ უბრალო სამრევლოს მღვდლები, არამედ უფრო განათლებული და დამსახურებული მღვდლებიც და რა გზა აქვსთ ან კი, რომ არ შეასრულონ ეს ჩვეულება.

ამ ჩვეულების აღსრულება მით უმეტეს საძნელოა მღვდლებისათვის, რომ ყველა სამევრელოს სოფლებში ერთ და იმავე დროს არ იციან მიცვალებულის გამოტირილი. სენაკის მაზრის ზოგიერთ სოფლებში ნაშუადღევის მეორე საათიდამ იწყობენ ტირილს და საღამოზე მიცვალებულს ასაფლავებენ; ხოლო ზუგდიდის მაზრის ზოგიერთ სოფლებში დროის განურჩევლად ტირიან მიცვალებულს. ასე რომ საწყალი მღვდელი იძულებულია სამი დღის განმავლობაში მუდმივ მიცვალებულს ადგეს თავზე შემოსილი და მზად იყოს, რომ მოსულ მომტირალს წინ მიეგებოს და კმევით მიცვალებულთან მიუძღვეს მას.

თუმც ეს ჩვეულება ყოველად უაზრო, უმნიშვნელო და მასთან საძნელოც არის სოფლის სამღვდელოებისათვის, მაგრამ მის მოსასპობლად არც თვით სამღვდელოებას და არც უმაღლეს სასულიერო მთავრობას ყურადღება არ მიუქცევიათ. ახლა მაინც საჭიროა გააგებინონ უბრალო გაუნათლებელ ხალხს, რომ ეს ჩვეულება ცუდია და მასთან არც მღვდლებია მოვალენი, რომ ისინი შემოსილნი საცეცხლურით ხელში შეეგებონ მომტირლებს. მღვდლების მოვალეობას შეადგენს, რომ ისინი დანიშნულს დღეს მივიდნენ მიცვალებულთან, გადუხადონ მას ვრცელი პანაშვიდი დამერე, შემოსილი ოლრით და ფილონით, გაუძღვენ წინ მიცვალებულს ეკლესიამდის და დაასაფლავონ. ეს უკანასკნელი არის მოვალეობა მღვდლისა და არა მუდამ მიცვალებულთან მისი ყოფნა და მომტირალის შეგებება და საცეცხლურის კმევა.

ბლაჟ. მღვ. ს. ანჯაფარიძე.

ახალ-სენაკიდგან.

ჩვენ სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებელს შარშან ორ გზის წაუკიდეს ცეცხლი, მაგრამ ორიეჯელ გადარჩა ის დაწვისაგან. დანიშნა გამოძიება ამის შესახებ პოლიციის და ადმინისტრაციის მხრით და, ბევრი ძიების შემდეგ, გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ, ვითომც, სასწავლებლის მოწაფენი უნდა ყოფილიყვნენ დამნაშავენი ამ საზიზღარ საქმეში. მაგრამ ესეთი დასკვნა, ჩვენის აზრით, უწაფუძველოდ მიგვაჩნია, რადგან ამისთანა გამბედაობას შაგირდები ვერ იზამდენ და ან რას უნდა აეძულებია ისინი, რომ მათ ამისთანა საზიზღარი საქმე ჩაედინათ? აქ უფრო სხვა მიზეზისთვის უნდა მიექციათ ყურადღება. ჩვენც რომ ამ გვარის ალა-ალა დაწამების გუნებაზედ ვიყოთ ამ ბოროტ-მოქმედების შესახებ, ეჭვს დავსდებდით რომელიმე პარტიას, რომელიც ცდილობს სასწავლებელი ახალ-სენაკიდამ გადაიტანონ სადმე. მაგრამ ღმერთმა დაგვიფაროს ამ გვარ უსაფუძვლობისაგან.

რა არის მიზეზი ამ სასწავლებლის რყევისა ახალ-სენაკში? ამის მიზეზი, ჩვენის აზრით, ის არის, რომ ზოგიერთ ეს სასწავლებელი ისევ მარტვილში უნდათ გადიტანონ, რადგან იქ უფრო კარგი ჰაერია და წყალი. ამიტომ მოწინააღმდეგეთ საბუთად მოჰყავთ ახალ-სენაკში წყლის და ჰაერის უვარგისობა. მართალია, რომ კაცის არსებობისთვის საჭირო არის წყალი და ჰაერი, მაგრამ «მჯობნის მჯობნი არ დაილეკოო», ნათქვამია. მართალა, ახალ-სენაკში წინეთ ჰაერი ცუდი ყოფილა, მაგრამ ეხლა, როგორც ცხოვრებამ და გამოცდილებამ დაგვარწმუნა, ჰაერი შესაძრნეველად გაუმჯობესდა. რაც შეეხება წყლის ღირსებას, წყალიც ნაკლებია, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაცია და ეცდება, რომ მდინარე ტეხურიდამ, რომელიც ძალიან დაშორებული არ არის ახალ-სენაკზე, წყალი გადმოიყვანოს. ამის შესახებ

კიდეც ლაპარაკობენ ეხლა და შემდეგში იმედია, კიდეც შეასრულებენ ამ განზრახვას. თუ ეს განზრახვა შესრულდა, მაშინ ახალ-სენაკში ჰაერიც გაუმჯობესდება. რომ ჰაერი უმეტეს ნაწილად სოფლებში უფრო უკეთესია, ვინემ ქალაქებში, ამაზედ ლაპარაკი საჭირო არ არის, მაგრამ ყველა სასწავლებლების ქალაქებიდამ სოფლებში გადატანა შესაძლებელი არ არის.

საჭიროა, რომ, როცა რომელიმე ალაგს სასწავლებელს ხსნიან, თავი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ გიგიენურ მოთხოვნილებათ, რომელნიც საჭირონი არიან კაცის ჯან-მრთელობისათვის, მაგრამ ამავე დროს კაცმა არ უნდა დაივიწყოს სხვა მოთხოვნილებანიც, რომელნიც სასწავლებლის წარმატებისთვის საჭირონი არიან. ამ უკანასკნელის მხრით ახალ-სენაკს დიდი უპირატესობა აქვს მარტვილთან, რაზედაც მარტვილელებიც დაგვეთანხმებიან. ამიტომ დრო არის სასწავლებლის რყევას ბოლო მოეღოს და სამღვდელოება შეუდგეს, რომ ეს სასწავლებელი სამუდამოდ დამკვიდრებულ იყოს ახალ-სენაკში და მასთან მან (სამღვდელოებამ) გაუმჯობესოს ამ სასწავლებლის მდგომარეობაც.

პირველად საჭიროა, რომ სამღვდელოება შეუდგეს სასწავლებლისათვის შესაფერ სადგომის შენებას. სამღვდელოებას ეხსომება, თუ როგორ სახლში იყო მოთავსებული ეს სასწავლებელი ამ ორი წლის წინად? სასწავლებლისთვის ნაქირავები იყო ერთი ანგურის შენობა, რომელსაც არც სახურავი უარგოდა, არც ბუხრები, რომლებშიაც ცეცხლის ანთება საძნელო იყო ზამთრობით; მასთან შენობას არ უარგოდა ფანჯრები და ოთახების მოწყობილობაც არ შეფეროდა სასწავლებლის შენობას. ერთი სიტყვით ეს შენობა სასწავლებლისთვის კი არა, უბრალო კაცის საცხოვრებლადაც არ ვარგიყო. ეს იყო მიზეზი, რომ სასწავლებლის სამმართველომ დაიქირავა ერთი ხის შენობა და იქ გადიტანა სასწავლებელი. ეს შენობა თუმც უმჯობესია პირველ შენობაზე, მაგრამ ესეც ვერ აკმაყოფილებს ყოველივე პედაგოგიურ მოთხოვნილებათ. სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატთა უკანასკნელ შეკრებილებაზე დ. ახალ-სენაკში აღძრული იყო კითხვა სასწავლებლის შენობაზე. ყოველად სამღვდელო ბაბრიელმა, რომ სასწავლებლის სახლი მალე ყოფილიყო აშენებული, უჩვენა სამღვდელოებას კარგ წყაროზე, მაგრამ სამღვდელოებამ ყოველად სამღვდელოს ნაჩვენებ წყაროზედ უარი განაცხადა და ითხოვა, რომ მასს დაბრუნებოდა სემინარიის დასაარსებლად დატოვებული ფულები, რომელზედაც სამღვდელოების საზოგადო ეპარქიალურ კრებებზე ქ. ძუთაისში ყოველად სამღვდელო დათანხმდა. ეხლა, როგორც გაიგეთ, ეს ფულები უბრუნდება უკან სამღვდელოებას. მაშასადამე სამეგრელოს სამღვდელოება მალე უნდა შეუდგეს სასწავლებლის შენობის საქმეს. მართალია, ეს უკან დაბრუნებული ფულები დიდ შემწეობას აღმოუჩენენ სამეგრელოს სამღვდელოებას სასწავლებლის შენობის საქმეში, მაგრამ ამავე დროს ბრკოლდება უფრო საჭირო და სასარგებლო საქმე. მე ვამბობ სემინარიის დაარსებაზე ქ. ძუთაისში. მართალია, რომ უწმიდესმა სინოდმა საშუალების უმექონლობისა გამო უარი განაცხადა სემინარიის დაარსებაზე ქ. ძუთაისში, მაგრამ ამ გარდაწყვეტილებას არ უნდა შეეშინებია სამღვდელოება და არ ჩაეგდო ის სასოწარკვეთილებაში, რადგანაც უწმიდეს სინოდში ერთი და იგივე კითხვა სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა ნაირად ირჩევა. ღღეს უწ. სინოდი უარს ამბობს სემინარიის გახსნაზე, მაგრამ შემდეგ ეგებ საშუალება ექნებოდა და სამღვდელოებას დაეხმარებოდა, რომ დასავლეთის საქართველოში სასულიერო სემინარია დაარსებულიყო. ესეც რომ არ ყოფილიყო, იმერეთის და სამეგრელოს სამღვდელოებას მაინც კიდევ უნდა განეგრძო თავის თხოვნა უწ. სინოდის წინაშე და სემინარიისთვის გადადებული ფულები უკან არ უნდა მოეთხოვნათ. ფულების უკან დაბრუნებით სამღვდელოებამ დაამტკიცა თავის სულ-მოკლეობა და გულ-გრილობა სემინარიის დაარსების საქმეში.

ბევრი აზრი წარმოითქვა ადგილობით გაზეთებში სემინარიის საჭიროებაზე იმერეთში, მაგრამ მეც არ შემაძლია ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ძუთაისში სემინარიის დაუფასებელ მნიშვნელობაზე. თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში ესწავლობდით ორმოცდა ხუთი მოწაფე, მაგრამ კურსი შეავასრულეთ მხოლოდ 11 მოწაფემ, დანარჩენი კი ექვსი წლის განმავლობაში ზოგი დაიხოცენ, რადგან ვერ აიტანეს შეუჩვეველი ჰაერი და ზოგმა სიღარიბისა და სხვა მიზეზების გამო თავი დაანებეს სწავლას და შინისკენ დაბრუნდენ. ასევე ხდებოდა წინა წლებშიაც და ეხლაც ესევე ხდება. ასე რომ არ ყოფილიყო, თბილისის სემინარიაში კი ხანია რაც იმერეთიდამ მიდიან ოთხ-კლასიან სასწავლებელში კურს შესრულებულნი ახალ-გაზდები და იქ კურს შესრულებულნი პირნი ჩვენს სამღვდელოებაში კი ძალიან ცოტანი არიან. ღღეს ყველა ჩვენ ოთხ-

კლასიან სასულიერო სასწავლებლებში ბევრნი ათავებენ სწავლას, მაგრამ თბილისის სემინარიაში ცოტანი მიდიან, რადგან მათ წინ უძევსთ სიღარიბე, სიშორე და სხვა მრავალნი დაბრკოლებანი. წელს ჩვენს სასულიერო სასწავლებელში ოცდა ცხრა მოწაფემ შეასრულა კურსი; მათში პედაგოგიურმა რჩევამ ცამეტი მოწაფე იცნო ღირსად სემინარიის პირველ კლასში შესასვლელად, მაგრამ ამ 13 მოწაფეში ნახევარიც არ მიდის თბილისში სემინარიაში შესასვლელად ზემოდ მოყვანილი მიზეზებისა გამო. მიუბრუნდეთ ისევ ჩვენს საგანს.

ახალ-სენაკის სასულიერო სასწავლებლისათვის დიდ ნაკლულევანებას შეადგენს პარალელური განყოფილებათა უმეტონელობა, რის გამო ბევრი შაგირდები გამორიცხულან და დღესაც ირიცხებიან სასწავლებლიდამ. ბარდა ამისა, ამავე მიზეზით ბევრ მსურველთ ეხურებათ სასწავლებლის კარები და თვალ ცრემლიანი შინისკენ ბრუნდებიან. ყოველიივე ეს ხდება სასწავლებლის წესდების ძალით, რადგან თითოეულ კლასში უნდა იყოს არა უმეტეს ორმოცი მოწაფისა. სასწავლებლის სამმართველომ არა ერთ გზით მიაქცია ამ გარემოებაზე სამღვდელოების ყურადღება და სთხოვა სამღვდელოებას, რომ პარალელური განყოფილებანი გაეხსნა მას სასწავლებელში, მაგრამ სამმართველოს თხოვნას სამღვდელოება ყურადღებას არ აქცევდა და არც დღეს აქცევს. პარალელური კლასების უმეტონელობა იყო მიზეზი, რომ შარშან დიდი ვაი-ვაგლახი მოახდინა სასწავლებლიდამ შაგირდების გამორიცხვამ ადგილის უმეტონელობისა გამო. გამორიცხული მოწაფეების მშობლები თვალ-ცრემლიანი აგზავნიდენ თხოვნას საქართველოს ექსარხოსთან და ჩვენ ყოველად სამღვდელო ბაბრიელთან, მაგრამ მათი თხოვნები უყურადღებოდ რჩებოდენ, რადგან სასწავლებლის წესდების წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლებოდა. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთმა გამორიცხულმა მოწაფემ თავი კინაღამ არ მოიკლა. წელს ეკზამენების შემდეგ პედაგოგიური რჩევა დარწმუნდა, რომ სასწავლებლის წესდების ძალით სასწავლებლის სამმართველო იძულებული იქნება წელსაც დაითხოვოს რამდენიმე მოწაფე სასწავლებელში ადგილის უმეტონელობისა გამო, რაიცა კიდევ დაბადებს უსიამოვნებას მასწავლებელთა და მოწაფეთა მშობლების შორის. ამ უსიამოვნების ასაცდენად ამ სასწავლებლის ოლქის სამღვდელოება ადრევე უნდა შეუდგეს პარალელური კლასების გახსნას, რომ როგორც თავის შვილებს, აგრეთვე საეროსაც არ მოუსპოს სწავლის მიღება თავის სასულიერო სასწავლებელში. მართალია, სამღვდელოება ინახავს სასწავლებელს, მაგრამ სამღვდელოების ზნეობით მოვალეობას შეადგენს, რომ მან აგრეთვე იზრუნოს, როგორც სულიერმა მამამ, საერო წოდების შვილებზედაც, მით უმეტეს, რომ საერო წოდების შვილებსაც შემოაქვსთ თავის ხელდრი სასწავლებლის შესანახავად. ამისთვის საჭირო იყო, რომ სასულიერო მთავრობას სეკტემბრამდის დაენიშნა სამღვდელოების ყრილობა ამ საგნის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ სამღვდელოება შეუდგება ახალ-სენაკში ამ სასწავლებლის მტკიცედ დაფუძნებას და მის გაუმჯობესობის საქმესაც.

ერ. კანდელაკი.

ზუგდიდიდამ.

ხოფლის სკოლების მასწავლებლების მდგომარეობა სწორეთ რომ შესაბრალისია. საწყლები მიყრუებულ სოფლებში არიან ხშირად მიგდებულნი და მასთან მათი ჯამაგირი ისე მცირეა, რომ ამ ჯამაგირით ცხოვრება შეუძლებელია. წელიწადში ეძლევათ ზოგ მასწავლებლებს 225-240 მანეთამდე. რა ჭქნას სოფლის მასწავლებელმა ამ მცირე ჯამაგირით? თავის თავი შეინახოს, თუ საჭირო წიგნები მოიპოვოს, რომ ამ წიგნების საშუალებით რამე შეიძინოს. მასთან მათ არა აქვსთ ღონის-ძიება რომ რომელიმე ადგილობითი გაზეთი გამოიწერონ და შეიტყონ, თუ რა ხდება ქვეყანაზე. მართალია, გაზეთის «დროების» რედაქცია ნაკლებ ფასად უთმობს თავის გამოცემას სოფლის მასწავლებლებს, მაგრამ ამ უკანასკნელთ ამ გამოცემის მოპოვებაც არ შეუძლიათ სიღარიბისა გამო. რომ სოფლის სკოლები ახლოს იყონ ერთი-ერთმანეთან, კიდევ კარგი; მაშინ ორი-სამი მასწავლებელი ერთად გამოიწერდენ ორიოდე გაზეთს, ან ჟურნალს, მაგრამ ორ-სამ საზოგადოებაში ალაგ ერთი სკოლაც ძლიეს მოიპოვება.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ სოფლის მასწავლებლებს 225-240 მანეთამდე ეძლევათ წელიწადში. ეიდევ კარგი იქნებოდა, რომ ამ ჯამაგირსაც თავის დროზე იღებდეს მასწავლებელი. მაგრამ ხშირად მოხდება, რომ სამი-ოთხი თვე გაიელის და მასწავლებელი ვერ ეღირსება ხოლმე თავის ჯამაგირს. ეს იმიტომ ხდება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ საზოგადოებაში მასწავლებლის ჯამაგირი იკრიბება სხვა-და-სხვა დროს და ამკრებლებიც არ დასდევენ, რომ თავის დროზე იქმნეს მობოჭილი ხელდრი ჯამაგირი და ამ გვარად რომელიმე თვეში მასწავლებელი უჯამაგიროდ არ დარჩეს. ზოგან, მართალია, მასწავლებლის ჯამაგირი ერთ-დროს იკრიბება და ადგილობით ხაზინაში ინახება, მაგრამ იქიდამ უფრო უჭირს მასწავლებელს თავის ჯამაგირის მიღება: ჯერ მასწავლებელმა უნდა აიღოს მაზრის სამმართველოდამ მოწმობა, რომ მას ერგება ჯამაგირი და მერე ამ მოწმობით ჩამოვიდეს ქ. ძუთაისში და აქ უკადოს მაზრის სამმართველოს მდივანს, რომ ის მობრძანდეს და მიიღოს ეს ჯამაგირი და გადასცეს სოფლის მასწავლებელს. ჩვენ გვინახავს სოფლის მასწავლებელი, რომელიც ძუთაისში ჯამაგირის ასაღებად მოვიდა და ოცდა ერთი მანეთის გულისათვის ერთ კვირას დარჩა ძუთაისში და ბოლოს თუმც ეღირსა ჯამაგირის აღებას, მაგრამ იძულებული იყო მედუქნესთვის მიეცა ნახევარი თავისი მიღებული ჯამაგირისა ნახარჯში.

ამ ნაკლულევანებას როგორმე გაუძღებდა სოფლის მასწავლებელი, რომ მას სახელმძღვანელო წიგნების და ნივთების უმექონელობა არ უჭირვებდეს უფრო საქმეს. ამისთანა საჭირო ნივთების უმექონელობა ყველა სოფლის მასწავლებლებს აწუხებს, მაგრამ ამ მხრით უფრო შესაბრალისნი არიან დაშორებული და მიყრუებული სოფლის სკოლის მასწავლებლები: მათ, საშუალებაც რომ ექნესთ, არ შეუძლიათ წავიდენ შორეულ ქალაქებში და საჭირო ნივთები იყიდონ, რადგან სამგზავროდ ფულებია საჭირო და ეს უკანასკნელი მასწავლებელს არ მოეპოვება. მახლობელ დაბებში და მაზრის ქალაქებში არ არიან წიგნის დუქნები, რომ იქ შეიძლებოდეს ამ ნივთების ყიდვა. ამიტომ სოფლის მასწავლებელი იძულებულია ზოგიერთი მედუქნეებისაგან იყიდოს საჭირო ნივთები და ორი ზომა ფასი მისცეს შიგ. ამ მხრით იმ სოფლის მასწავლებელთ, რომელნიც დიდი ქალაქების მახლობლად სხოვრებენ, საშუალება აქვსთ ქალაქებშიევ იყიდონ ეს ნივთები ზომიერ ფასად. ეს არის მიზეზი, რომ სოფლის სკოლის მოსწავლეებში «როდნოე სლოვოს» და «დედა ენის» წიგნების მეტს ძვირად ნახავს კაცი და ეს წიგნებიც ისე ცოტანი არიან, რომ ერთ წიგნში ორი და სამი ყმაწვილი მეცადინობს. ზოგ სოფლის სკოლებს შემწეობას უშვება «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება», მაგრამ ბევრი სკოლები სრულიად მოკლებულნი არიან მის ყურადღებას.

სახელმძღვანელო წიგნების და ნივთების უმექონელობამ მიიქცია ყურადღება სასოფლო სკოლების დირექტორისა, რომელმაც ჰქნა განკარგულება, რომ ყოველ სოფლის სკოლებთან დაარსებულიყვენ წიგნთ-საცავები, მაგრამ ამ აზრის განხორციელებას ღღესაც არ ეღირსებიანართ სოფლის მასწავლებელნი და როდის ეღირსებით, ღმერთმა უწყის.

ამას წინეთ რამდენიმე სოფლის სკოლების მასწავლებლებს ლაპარაკი გვქონდა სახელმძღვანელო წიგნების უმექონელობაზე ბლაღოჩინ დეკანოზ მ. მეუნარგიასთან. დეკანოზი მეუნარგია შეგვპირდა, რომ ის თავის სახლში და დ. ᲐᲘᲡᲘᲨᲘ გამართავს ყველა საჭირო სახელმძღვანელო და სასწავლო ნივთების საწყობებს და ამ ნივთებს გასცემს სოფლის სკოლებზე იმავე ფასად, რა ფასადაც ეს ნივთები მას თვითონ ექმნება ნაყიდი. ᲗᲣ დეკანოზმა მ. მეუნარგიამ ეს თავის დანაპირები შეასრულა, სწორეთ დიდი ამაგი იქნება ეს მისი მხრით და ზუგდიდის მაზრის ყველა სოფლის მასწავლებელნი გულითად მადლობას შესწირვენ მას.

ამავე პატივცემულის დეკანოზის თაოსნობით ამა წლის ივნისის თვეში ბ. ზუგდიდის მაზრის უფროსი სპალატ-ბოღი მობრძანდა დ. ᲐᲘᲡᲘᲨᲘ, სადაც მას საზოგადოება დახვდა. ბ. მაზრის უფროსი დიდხანს ებაასა თავ-მოყრილ საზოგადოებას სკოლის საჭიროებაზე და სარგებლობაზე. მართლაც ბ. მაზრის უმფროსმა თავისი ტკბილი ლაპარაკით დაიყოლია საზოგადოება მათ-შორის სკოლის დაარსებაზე. ამავე მაზრის უფროსმა აღუთქვა მ. დეკანოზს მეუნარგიას, რომ ის იშუამდგომლებს უმაღლეს მთავრობასთან, რათა ამ უკანასკნელმა სამას მანეთამდე მისცეს საზოგადოებას სკოლის აღსაშენებლად და მოსაწყობად. მაზრის უფროსმა საზოგადოების განაჩენი სკოლის გახსნაზე თვითონ წაიღო დასამტკიცებლად. ამ დღიდგან მ. დეკანოზი მეუნარგია შეუდგა სტოლების და სხვა სასწავლო ნივთების მოპოებას და, სანამ სკოლისათვის შენობა იქნება აღშენებული, მ. მეუნარგიამ გამოითხოვა სკოლისათვის დ. ᲐᲘᲡᲘᲨᲘ უქმად მდგარი კაზარმა, რომელშიდაც სურს სკოლის გამართვა დროებით. ასე რომ პირველი ენკენისთვიდამ შეიძლება სწავლა დაიწყოს და, თუ მთავრობისათვის ზემოდ მოხსენებული კაზარმა საჭირო შეიქნა, მაშინ მ. დეკანოზი მეუნარგია თავის სახლს უთმობს დროებით სკოლას.

ზუგდიდის მაზრის სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებელნი.

ბორის მაზრიდან.

1885 წელს, მკათათვის 21-ს, კვირას, უმაღლესი მთავრობის ნება დართვით ჯავის ბლაღოჩინმა მღ. ზ. ჯიოშვილმა აკურთხა ჯრიის წმ. გიორგის ეკკლესია რამდენიმე მღვდლის თანადასწრებით. ქურთხევაზედ დაესწრო დიდ-ძალი ხალხი; აქ დაესწრნენ არა მარტო ჯრიელები, არამედ სხვა სოფლის მცხოვრებლებიც; აქ ნახამდით დიდსა და პატარას ორთავე სქესისას, მდიდარს და გლახაკს და ყველას ეტყობოდათ სიხარული. მათი სიხარული და თანაგრძნობა უფრო გადიდდა შემდეგ მ. ჯიოშვილის ქადაგებითი სიტყვისა. მან წარმოსთქვა ქადაგება ოსურად (ჯრიელები ოსები არიან). სიტყვა მისი იყო საესე გრძნობით; მან, სხვათა შორის, აუხსნა თავის მსმენელებს მნიშვნელობა ეკკლესიის კურთხევისა საზოგადოდ და კერძოდ ჯრიელებისათვის და ბოლოს თავის სიტყვაში ჯრიელებს მიმართა თხოვნით, რომ მათ თავიანთი გულ-მხურვალება, რომელიც აღმოაჩინეს ეკკლესიის კურთხევაზედ, შემდეგშიაც განეგრძოთ, რომ მათში არ გაქრეს ღვთის და ეკკლესიის სიყვარული.

ამასთანავე არ შემიძლიან არა ვსთქვა ორიოდე სიტყვა იმაზედ, თუ რა იყო მიზეზი საყოველთაო სიხარულისა.—ჯრიის ეკკლესია აკერ თხუთმეტი წელიწადი მეტია, რაც დაყენებული იყო ფრიად სიძველისა გამო. ჯრიელებმა ერთის მხრით თავის სიღარიბისა და მეორეს მხრით დაუდევრობისა გამო დღეანდელ დღემდინ ვერ განაახლეს ეს ხსენებული ეკკლესია. ამასვე უნდა დავძინო ის მიზეზიც, რომ მათ არ ჰყავდათ მეთაური, რომ ეს კეთილი საქმე სისრულეში მოეყვანათ. მხოლოდ ამ გარემოებას ბოლო მოუღო ჯავის ბლაღოჩინმა მ. ზ. ჯიოშვილმა (დადგა იგი ბლაღოჩინად 1882 წ.). მან სასტიკი ყურადღება მიაქცია თავის მოვალეობას: ცდილობდა და ცდილობს ეკკლესიის კრებულის მოწყობილობისთვის და მის გონებით და ზნეობით განვითარებაზედ, მის მშვიდობიანს კაეშირზედ მრეველთან; ცდილობს ის აგრეთვე ეკკლესიების კეთილ მოწყობაზედ. სხვათა შორის მას წილად ხვდა მიექცია ყურადღება ჯრიის დანგრეულ ეკკლესიისთვის, რომელიც, როგორც ზემოთ ვსთქვი, დაყენებული იყო აკერ 15 წელიწადი. მ. ჯიოშვილი ცხადათა ხედავდა ეკკლესიის კრებულის და მრეველის შეეიწროებულ მდგომარეობას: ამ ეკკლესიაში არ იყო წირვა—ლოცვა, არ შეიძლებოდა მასში საიდუმლო წესების აღსრულება. საიდუმლო ქორწინების აღსრულებისათვის მსურველნი იძულებულნი იყვნენ მიქცეულიყვნენ სხვა ეკკლესიებში, აგრეთვე კრებული იძულებული იყო ზოგიერთი საიდუმლოები აღესრულებინა ოსების ქოხებში; მაგალითად, წმიდა ზიარება, ნათელა და სხვა და ამით თითქო წმიდა საიდუმლოები და ეკკლესიის წესები გაუგებელ მრეველთა თვალწინ მცირდებოდა. ამ მოყვანილ მიზეზებისა გამო ბლაღ. მღვ. ზ. ჯიოშვილმა მიიღო შუამავლობა მთავრობის წინაშე, რათა მას ნივთიერი შემწეობა აღმოეჩინა ღარიბ ჯრიელებისათვის. მთავრობამ პატივი სცა მის შუამავლობას და ამ ეკკლესიისათვის მისცა ათი თუმანი. რასაკვირველია, ეს ფული ვერ გააკეთებდა დაყენებულ ეკკლესიას; მას მოუნდა, როგორც კონტრაკტისაგან სჩანს, ოცდა ცამეტი თუმანი (330 მანეთი). ეს დანარჩენი ოცდა სამი თუმანი ბლაღ. თავის მეცადინეობით შეკრიბა: თვითონ შეაწირა ამ ეკკლესიას ორი თუმანი და ჯრიის მრეველიც მიიწვია ეკკლესიის შესაწეერად. ჯრიელებმა ბლაღოჩინის მაგალითით განაჩენი დაადგინეს, რათა გაიწეერონ თავიანთ შორის ოცდა ერთი თუმანი (210 მანეთი). ბარდა ამისა ბლაღ. მიაქცია ყურადღება, რომ ჯრიის მღვდელს არ ჰქონდა სახლი. რასაკვირველია, ეს გარემოება მღვდლისათვის სამწუხარო იყო. ეს საქმეც ბლაღოჩინმა თავის მეცადინეობით კეთილად შეასრულა: გამოსთხოვა მთავრობას ფული და მრეველს შემწეობა მისცა და ამით დაბინავა მღვდელი. ასე მოაწყო ჯრიის სამრეველო და ამისათვის ჭეშმარიტად დიდი მადლობის ღირსია მ. ბლაღ. ზ. ჯიოშვილი თავის მოქმედებისათვის.

გორელი.

მოძღვრება

ბავშვების ნათლის-ღებაზე ბაპტისტების წინააღმდეგ.

ჩართულ-მადიდებლობა და ბაპტიზმი, სხვათა შორის, განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისაგან უმაწვილების ნათლის ღების სწავლის შესახებ. მართულ-მადიდებელი ეკკლესია ნამდვილად ასწავებს, რომ უმაწვილებისთვის ნათლის-ღება საჭიროა და ამასთანავე ამცნებს, რათა ნათელსღებდენ მათ. «ვინც უარყოფს ნათლის-ღების

საჭიროებას პატარა უმაწვილებისთვის, დაბადებულთა დედის მუცლისაგან»,—ამბობს კარფაგენიის კრება,—«ანუ ამბობს, რომ თუმც უმაწვილები ნათელს იღებენ განსაწმენდელად ცოდვთაგან, მაგრამ მამა-პაპეული ადამის ცოდვებისაგან ისინი არაფერს არ იღებენ, რაც უნდა გაებანათ მათ ნათლის-ღებისაგან (რის გამო მტკიცდება, რომ ნათლის-ღება ცოდვების განსაწმენდელად იხმარება უმაწვილებისთვის ნამდვილად კი არა, არამედ ტყუილ უბრალოდ),—ის წყეულ იყოს. ვინაიდგან მოციქულისაგან ნათქვამი: ერთისა მის კაცისთვის ცოდვა სოფელად შემოსდა, და ცოდვისა ძალით სიკვდილი! და ესრეთ უოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომელთა უოველთა შესცოდეს (რომაელ. ე, იბ),—უნდა გვესმოდეს არა სხვა ნაირად, არამედ ისე, როგორც ესმოდა მთელს დედა-მიწის ზურგზე გავრცელებულს მართლ-მადიდებელ ეკლესიას. ამიტომ ამა სარწმუნოების კანონით ბავშვებიც კი, რომელთა თავისთავად ჯერ კიდევ არ შეეძლიათ რამე ცოდვა ჭქნან, ნათელს იღებენ ნამდვილად ცოდვებისაგან განსაწმენდელად და მეორე დაბადებით მათში გაიწმიდება ის, რაც იმათ გადმოიღეს პირველ დაბადების დროს (კანონ. 124). მოუნათლავი უმაწვილის სიკვდილს მართლ-მადიდებელი ეკლესია რაცხს დიდ უბედურებად ურმისათვის; ხოლო ამ ცოდვის ჩადენას—მძიმე ცოდვად, აგრეთვე დიდ დამნა შაობად ეთვლებათ იმ პირთ, რომელთა დაუდევრობით მოხდა უმაწვილის უნათლავად სიკვდილი. მდვდელი, რომლის დაუდევრობით მოკვდა უმაწვილი უნათლავად, ეკლესიის კანონით სასტიკად ისჯება და ჩამოიუვანების მედგაეთნის ადგილზე. ყველა ესეები ნამდვილად ამტკიცებენ, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესია საჭიროდ რაცხს ბავშვებისათვის ნათლის-ღებას. წინა-ადმდეგ ამისა ბაპტიზმი უარსა ჭყოფს ბავშვების ნათლის-ღებას, იმათ ნათლის-ღებას სთვლის უკანონოდ და თავის მიმდევართ, რომელნიც უკვე მონათლულან უმაწვილობაში დიდობაზე ისევე ხელ მეორედ ნათვლენ ხოლმე.

სად არის ჭეშმარიტება? მართლ-მადიდებელი ეკლესიის სწავლაში და მოქმედებაში, თუ ბაპტიზმის სწავლაში, როგორც ბაპტისტებიც ფიქრობენ?

სწორს პასუხს კითხვაზე: საჭიროა ბავშვებისთვის ნათლის-ღება, თუ არა, სადმრთო წერილი არ იძლევა. იმაში არ არის ისეთი ადგილი, რომელიც პირ-და-პირ გვამცნებდეს უმაწვილების ნათლის-ღებას, აგრეთვე არც ისეთი ადგილებია, რომელნიც გვიკრძალავდნენ უმაწვილების ნათლის-ღებას. ამიტომ როგორც მართლ-მადიდებლები, აგრეთვე ბაბტისტებიც არ აფუძნებენ თავიანთ სწავლას უმაწვილების ნათლის-ღების შესახებ სწორ საფუძვლებზე, არამედ თავიანთი დოდმატები გამოჭყავთ სხვა-და-სხვა ქრისტიანული სწავლისაგან. თუმც ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ სადმრთო წერილის სხვა-და-სხვა ადგილებს, რომელთაც საიდუმლო ნათლის-ღებასთან დამოკიდებულობა აქვსთ და შევადარებთ ამ საიდუმლოის სწავლას მთელ ქრისტიანულ დოდმატებთან, რომელთაც საიდუმლო ნათლის-ღებასთან დამოკიდებულება აქვსთ, მაშინ ჩვენ ვნახავთ მტკიცე და ნამდვილ გასამართლებელ საბუთებს მართლ-მადიდებელი ეკლესიის სწავლისას ბავშვების ნათლის-ღების შესახებ და ბაბტისტების სწავლის სიმტყუნეს.

სადმრთო ისტორიაში,—მოციქულების დროს ქრისტიანობის გავრცელების მოთხრობებში მოიშოვებიან ისეთი ადგილები, რომელთა შეუძლიათ მიგვიყვანონ იმ დასკვნამდის, რომ მოციქულების დროსაც სრულდებოდა ნათლის-ღება. ეს ადგილები გვიხატავენ, რომ არა მხოლოდ ზოგიერთი პირები მიდიოდნენ ქრისტესთან და ნათელს იღებდნენ, არამედ მთელი ოჯახობა. ამ გვარად ფილიპეაში ნათელს იღო ვინმე ქალმა, სახელდობ ლიდამ და მასთან ნათელს-იღეს მის სახლში მყოფებმაც (საქ. წმ. მოციქ. 16, 15). ამ გვარად ამავე ქალაქში ნათელს-იღეს: საპატიმროს უარაულმა და მთელმა მისმა სახლობამ, (საქ. წმ. მოციქ. 16, 27-33). კორინთიაშიაც წმ. მოციქულმა პავლემ ნათელს სცა არა მხოლოდ გაის და კრიპსას, არამედ სტეფანეს სახლობასაც (1 კორ. ა, იდ—ივ). რა გამოდის აქედამ? განა ყველა ეს სახლობანი შესდგებოდნენ დიდებისაგან მხოლოდ და მათ შორის არ იქნებოდნენ პატარანიც? ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ სამივე ამ ოჯახში პატარაებიც არ ყოფილიუვნენ და თუ ამ სახლებში უმაწვილებიც იუვნენ, მაშინ ყველა შინაურების რიცხვში, რომელთაც მიიღეს ნათლის-ღება, რატომ არ უნდა ვიგულისხმოთ უმაწვილებიც.

მაგრამ აქ ჩვენ საქმე გვაქს იმ ქრისტეანებთან, რომელნიც კერეთ-თაყვანის მცემლობიდამ გად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდენ ქრისტიანობაზე, ამიტომ პატარა უმაწვილების დიდებთან ერთად ნათლის-დებაზე ნამდვილათ ვერას ვიტყვით, მაგრამ მისი თქმა, რომ უმაწვილებს ნათლავდნენ ურიების სახლებში, რომელთაც ქრისტიანობა თვით მოციქულებისაგან მიიდეს, ჩვენ სინამდვილით შეგვიძლია. წმ. მოციქულის პეტრეს ძლიერმა ქადაგებამ სული წმიდის მოსვლის პირველ დღეს მოაქცია ქრისტესადმი სამი ათასი კაცი (ს	d. წმიდ. მოციქ. ბ, მა). ამის შემდეგ ხუთი ათასი კაცი ერწმუნა ქრისტეს და ნათელს იღეს, როცა მათ ნახეს, რომ მოციქულებმა პეტრემ და იოანნემ განკურნეს დაბადებიდგან კოჭლი (4, 4). უეჭველია, რომ ნათელ-დებულთა უმეტესი რიცხვი იყო ცოლ-შვილიანები და მათ სახლობაში ეულლებოდათ უმაწვილებიც.—განა შესაძლებელია, რომ ამ ახლად ნათელ-დებულთ ქრისტეს მოწაფეთ და განსაკუთრებით გულს მოდგინე მათგანს, თავიანთი სახლობის ქრისტესადმი მოქცევის და განათვლის შემდეგ მოუნათლავი დაეტოვებიათ თავიანთი უმაწვილები? არა, ეს არ შეიძლებოდა. ამას არ იქმოდენ არც მოციქულები და არც მორწმენე ურიები. საღმრთო წერილიდამ ვიცით, რომ როცა აბრამთან ერთად მცნებას იღებდნენ, და როცა ამ ცნების დასამტკიცებლად წინ დაიცვეთავდნენ ხოლმე, უფალმა ბრძანა, რათა წინ დაეცვითათ არა მხოლოდ დიდებს, არამედ პატარა ბავშებსაც. და ურმამან რვისა დღისამან, ეუნნება უფალი აბრამს,—წინა დაიცვეთოს თქვენმან ყოველმან წულმან ნათესავსა შორის თქვენსა, სახლის წულმა და ვეცხლით ფრდილმან ყოველისაგან ძისა უცხოსა, რომელ არა არს თესლისაგან შენისა, წინა დაცვეთით წინა დაიცვეთოს, სახლის წულმან სახლისა შენისამან და ვეცხლით ფრდილმან, უსათოდ და იყოს წინადაცვეთილ... და იყოს აღთქმა ჩემი ხორცსა ზედა თქვენსა აღთქმად საუკუნოდ (შუმ. 17, 12-13). და წინა დაცვეთა ითხოვებოდა ყველასაგან, წინაადმდეგ შემთხვევაში წინა დაუცვეთელს მოელოდა სიკვდილით დასჯა. რომელმან არა წინა დაიცვეთოს ხორცი, წინა დაუცვეთელობისა მისისა, რამეთუ აღთქმა ჩემი განაჭარვა (სტრი. 14). და ებრაელებიც სიმკაცრით ასრულებდნენ ღვთის აღთქმას წინა დაცვეთაზე. წარმოსადგენია განა, რომ მოციქულებს და ან გაქრისტიანებულ ებრაელებს, რომელნიც თავიანთ შვილებს დაბადებიდგან მერვე დღეს წინა დაცვეთავდნენ ხოლმე, როცა კი გაქრისტიანდებოდნენ დაეტოვებიათ მათ უმაწვილები მოუნათლავად? მოციქულები როგორც თვითონ, აგრეთვე თავიანთ მოწაფეთ ასწავლიდენ, რომ წინა დაცვეთა მამასწავებელი იყო ნათლის-ღებისა, ხოლო ნათლის ღება მიაჩნდათ წინა დაცვეთის სამაგიეროდ,—ე. ი. ნათლის-ღება იყო ხელ უქმელი წინა დაცვეთა (კოლ. 2, 11-12), წინა დაცვეთა უფრო საჭირო და მაცხოვნებელი ხორცით წინა დაცვეთაზე (სტრ. 12-15) და რომელიც იხმარებოდა მეორე განსაბანელათ, განსაახლებლად (ტიტ. 3; 5). განა მოციქულები, ან ქრისტეს მორწმენე ებრაელები მოუნათლავად დატოვებდენ ბავშებს? ისინი უცქერდენ ნათლის-ღებას, როგორც კარს, მიმყვანებელს ღვთის სასუფევლისადმი, როგორც ახალი მადლიანი ცხოვრების დასაწყისს, როგორც ღმერთთან ახალი აღთქმის მამასსწავებელს და მასთან უპირატესობასაც აძლევდნენ ნათლის-ღებას ძველი აღთქმის წინადაცვეთაზე და ამიტომ ისინი, ახსოვდათ რათა მათ, რომ მერვე დღეს წინადაუცვეთელნი ბავშები სიკვდილით დასჯილ იქნებოდნენ ხოლმე, რის გამო მერვე დღეს უსათოდ ასრულებდნენ წინა დაცვეთას ძველ აღთქმაში, ყოველივე ამის მიმხედვარე განა დატოვებდნენ ბავშებს უნათლის ღებოდ, რომ ამით დაეშალათ მათთვის სასუფეველში შესვლა და ჩაეგდოთ ისინი საუკუნო ტანჯვაში, რომელიც უმწარესი იყო იმაზე, რომელიც მოელოდათ წინა დაუცვეთელ ბავშებს? არა, მოციქულების და მშობლების სიყვარული ბავშებისადმი, რომელნიც უყვარდა თვით უფალს იესო ქრისტეს და ის მცნება, რომელიც მათ გადმოცემულ ჰქონდათ სასტიკი კანონით წინა დაცვეთაზე, ნებას არ მისცემდენ მათ, რომ დაეტოვებიათ ბავშები უნათლავად და ამით მიეცათ ისინი საუკუნო ტანჯვისათვის, როგორც მერვე დღეს წინა დაუცვეთელნი ებრაელის ბავშების სული მოსპობილი იქმნება ხოლმე ღვთისაგან. ამიტომ უეჭველია, რომ მოციქულები იმ შემთხვევაში, როცა მთელს სახლობებს მოაქცევდნენ ხოლმე ქრისტესადმი, თვითონაც ნათელს-სცემდენ ხოლმე და ამასთან სხვებსაც ამცნებდნენ ხოლმე, რომ ნათელ ეცათ არა მხოლოდ დიდებისათვის, არამედ ბავშებისათვისაც.

ესრეთ ყოვლად სარწმუნო და ჩვეულებრივ პრაკტიკას მოციქულების დროისას, თვით მოციქულთა ქცევა-მოქმედებას მივუყავართ დასკვნამდე, რომელიც ხელს უწყობს მართლ-

მადიდებელი სწავლას ურმათა ნათვლაზე; მაგრამ სრულებითაც არ ეთანხმებიან ბაპტისტების შეხედულებას ამ საქმეზე. მართლ-მადიდებელსავე სწავლას ურმათა ნათლის-ღებაზე აუცილებლად გვიმტკიცებს აგრეთვე შედარება ნათლის-ღების დოდმატისა უველა იმ დოდმატებთან, რომელთაც ამ საიდუმლოსთან აქვსთ დამოკიდებულება. ამ დოდმატთა ნათლის-ღების დოდმატთან შედარებისაგან გამოდის, რომ 1) ნათლის-ღება ურმათა აუცილებლად საჭიროა; 2) რომ იგი შესაძლებელია, როგორც ჭეშმარიტი და მაცხოვნებელი ნათლის-ღება; 3) რომ იგი აღგვიმოქმედებს უმეტეს მაცხოვნებელ ნამყოფთა, ვიდრე ნათლის-ღება გადადებული მოსანათლავი ურმის სრულ წლოვანობამდის; 4) რომ ნათლის-ღება ჩვილთა სავალდებულოა მწყემსთათვის ეკლესიისა და მშობლებისათვის.

ნუ თუ საჭიროა ურმათა მონათვლა? ეს იმას ჰგავს, ვინმემ რომ იკითხოს: საჭიროა ბოგშათათვის საუკუნო ცხოვნება? საჭიროა მათთვის ხსნა ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან და შესვლა ღვთის სასუფეველში და ღვთის შვილად წოდება? ამ კითხვაზე შესაძლებელია მხოლოდ ერთად-ერთი კანონიერი პასუხი: განთავისუფლება ცოდვისა, წყევისაგან და საუკუნო დადუპვისაგან აუცილებლად საჭიროა ურმათათვისაც. თუ უმაწვილებისათვის უსაჭიროესია გამოხსნა, უთუოდ მათი ნათლის-ღებაც აუცილებელია.

(გაგრძელება იქნება.)



მოკლე მოძღვრება,

თქმული დაბა ზუგდიდის სული წმიდის მოფენის ეკლესიაში 1885 წ., აგვისტოს 6-ს, მღვდლის ანდრია ვახანიასაგან.

«გლოცავთ თქვენ ძმანო მოწყალებათა ღვთისათა... და ნუ თანა ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქვენისათა: რათა გამოიცადოთ თქვენ, რა იგი არს ნება ღვთისა კეთილი, სათნო და სრული,» (რომ. 12, 1 და 2).

ესე მამობრივათ სთხოვდა და ეკვდრებოდა ოდესმე წმიდა მოციქული პავლე რომის ქრისტიანებს თავის დროზედ, რომ ისინი, როგორათაც შესაძლო იყო, გაფერთხილებულ იყვნენ, და არ მიეხედნათ მათ იმ დროის წარმართთა საზოგადოების სასიათის და ზნეობისათვის. და გინ იტყვის, ძმანო, რომ ეს გაფერთხილება მოციქულისა არ იყოს ესლაც საჭირო, თუმცა ჩვენ არ ვცხოვრობთ წარმართთა შორის, არამედ ვცხოვრობთ ქრისტიანთა შორის. ნუ თუ საწყენელია ესლანდელის ქრისტიანნისა იმდენათ მტკიცე არის, რომ უშიშრად შეეძლოს მისი დაკარგვა კაცს? უველამ ვიცით, რომ ესლანდელ დროში მრავალნი არიან ამისთანა პირნი, რომელნიც სრულად დაშორებულნი არიან ზნეობას და საწყენელობას. სამწუხაროდ ზოგიერთნი, ესრეთ წოდებულნი განთლებულნი პირნი, ტოდვით ადარაფერს სთვლიან!... თუ საზოგადოებაში მიღებული არის რამე ტუდი ჩვეულება, ის მათის აზრით უნდა იყოს მტკიცეთ დატუდი და ფიქრობენ, რომ ამისთანა ჩვეულებანი ღვთის წინაადმდეგი არ არიან. ზოგს სირცხვილად მიაჩნია, რომ კეთრა-დღესასწაულ დღეებში ოთახში შეეიდეს და ილოცოს! საზოგადოთ ის ტუდი სენი და ეულურება, რომელნიც მოციქულების დროს იყვენ, ჩვენ დროშიაც და ჩვენს საღხშიაც მრავალია; ამისათვის უნდა ვეცადოთ მიეცხვიოთ ჩვენი თავი კეთილ ძეკვის და ღვთის ბრძანების აღსრულებას. ღვთის ნების აღსრულება უეჭველად ყოველთვის მიმართავს კაცსა კეთილ საქმეზედ და კეთილ დაბოდოებაზე. თუ შეუდგებით ღვთის ნების აღსრულებას, თავის დღეში არ შეგეცხვდება ტუდი საქმე. ხოდო უმეტეს რამდენათ მტკიცეთ შეუდგება კაცი ნებასა ღვთისასა, მით უმეტესად წარმართებულ იქმნება მისი საქმე ყოველ შემთხვევაში სასრულით. ნუ შეუდგებით, ძმანო ჩემნო, ჩვეულებასა ქვეყნისასა,—იცხოვრეთ რა ისრე, როგორცა ხართ მიჩვეული ესლა ცხოვრებას და რაც ჩვეულება აქვსთ ესლა ხალხთა, არამედ ისრე, როგორც ნებავს ღმერთსა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე გარდამოხდა ზეციდგან, რათამცა განაახლოს და განანათლოს ნათესაობა კაცთა და მისცა კაცსა უფლება და სახე, თუ თითოეულმა ჩვენთაგანმა როგორ უნდა იცხოვროს. ჩვენ გიწოდებით ქრისტიანებათ და ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოა ჩვენთვის! რა არის ქრისტიანობა? ქრისტიანობა არის გზა სიწმიდისა და ღვთის სასაამოვნო საქმეების შესრულებისა.

დანიშნულება ქრისტიანისა არის, რომ ოდესმე შეეიდეს იგი დიდებასა მისა ღვთისასა, რომელიც აჩვენა იესო ქრისტემ მოწაფეთა მოსასა ზედ თაბორსა. იესო ქრისტემ რისთვის იცვალა ფერი? მისთვის, რომელ მოიგონებდნენ მოწაფენი მისნი იმ დიდებასა, რომელსაც მოეფლით და დანიშნულია ჩვენთვის წინასწარ ღვთისაგან და რომელის მიღებას უნდა ვეშურებოდეთ.

აი როგორი უნდა იყოს მთელი ჩვენი ცხოვრება და რა ნაირია ჩვენი დანიშნულება ჩვენის ცხოვრებისა, რათა არ ვემორჩილებოდეთ ქვეყნის ჩვეულებასა.

მართალია, ამ ქვეყანაში სამშიმოა დაცვა თავის თავისა ქვეყნის ბოროტებისაგან, მაგრამ ჩვენი სიტყვა აქ იმაზედ არ არის. სიტყვა იმაზედ არის, რომ უნდა მივბაძოთ და მივმართოთ ყველა ჩვენი მოქმედება ღვთის ნების აღსრულებაზედ. რა უნდა გვქონდეს ჩვენ და რა ნაირი უნდა იყოს მუდამ ჩვენი ცხოვრება? ამიტომ გირჩევთ, ძმანო, რომ დღენი ცხოვრებისა ჩვენისანი ყოველ შემთხვევაში მიმდინარეობდეს სურვილისა მებრ და ნებისა ღვთისა და როგორც გვასწავებს სახარება. წინადმდეგ შემთხვევაში ნებით, თუ უნებლიეთ მოვა დრო, როდესაც ფერის ცვლება არ აშორდება ყველა ჩვეულებისა იმ განსხვავებით, რომ მართალნი მაშინ სიხოვადო ფერისცვლებითა გამობრწყინდებიან, ვითარცა მზე, ხოლო ცოდვილნი, თუმცა მიიღებენ სასუფევლსა უხრწნელსა, ფერცვლილსა, როგორც მართალნი, მაგრამ მსუბუქად, ბნელად და უმსგავსოდ.

ესრეთ, ძმანო ქრისტიანენო, ვისაც გვსურს გვეღირსოს მიწვევა დიდებულსა ფერისცვლებისადმი მომავალს დროში, წინასწარვე შეეცადოთ და მოვამზადოთ ჩვენი თავი შეუგინებელის ცხოვრებითა, სხვა-და-სხვა კეთილის საქმეებით, რომელსაც გვასწავებს წმიდა სახარება, და ნუ შეუდგებით სხვა და სხვა ქვეყნის ბოროტმოქმედებას. ამინ!

მატიანე

საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ჩისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი, არქიეპისკოპოსი პავლე ამ წელში მარტყოფის მონასტრიდამ, სადაც ზაფხულობით ბრძანდება ხოლმე, მალე დაბრუნდა. ძალაქიდამ ამ აგვისტოს თვის ოცდა ორ რიცხვებში ის წაბრძანდა აბასთუმნისკენ; ახალ-ციხეში დადა ეკკლესიებს; ერთი თათრის მოლა, ძველიდგან ქართველი, აქ მიგებებია ექსარხოსს და განუცხადებია მისთვის სურვილი ქრისტიანობის მიღებისა და აგრეთვე მოლას განუცხადებია, რომ სხვებსაც აქვსთ იმედი, რომ ექსარხოსი მამობრივ მზრუნველობას აღმოუჩენს მათაც. ბორჯომში ექსარხოსს უნახავს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. ამ თვის ოცდა შვიდს მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა დაბრუნებულა თბილისში.

***

ამ თვის ოცდა ათს საქართველოს ექსარხოსი გაემგზავრა აფხაზეთისკენ პიცუნდის სობოროს საკურთხად. ოცდა ათს, ნაშუადღეს, გამობრძანდა თბილისიდამ. სურამიდამ განსაკუთრებული პოეზდით წაბრძანდა ბათუმამდის და იქიდამ ზღვის პარაზოდით გაემგზავრა. ამ სობოროს კურთხევაზე არის მიპატიჟებული მისი ყოველად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი ბაბრიელიც.

***

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ძუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბატ. ნატროეეი გადაუყვანიათ თბილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობის ადგილზე; მის ადგილზე გადმოუყვანიათ ოზურგეთის სასწავლებლიდამ მასწავლებელი ბატ. ა. ბორგაძე.

***

სამეგრელოს სასწავლებლის ზედამხედველი ბატ. ბრიაზნოი გადაყვანილ იქმნა მისი თხოვნით ტეერის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და მის ადგილზე, როგორც ამბობენ, ინიშნება ოზურგეთის სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ბ. სოსინსკი. სოსინსკის ადგილზე ინიშნება იმავე სასწავლებლის მასწავლებელი ბ. ალადოვი.

***

როგორც ისმის, წელს ყველა სასწავლებლებს მრავალი ყმაწვილები მოაწყდა, რომ გამხდარიყვნენ ლირსნი სკოლის სკამზე დასხდომისა, მაგრამ ადგილის უმექონლობისა გამო მრავალს მათგანს ეთქვა უარი.

***

ამ წელში თბილისის სასულიერო საქალებო სასწავლებელში შეასრულა ქორსი ერთმა იმერელმა დოდონაძის ქალმა, რომელიც ამავე სასწავლებელში იქმნა დანიშნული აღმზრდელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით სცხოვრობს კაცი.

მოთხრობა გრაფი ლ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

(გაგრძელება)

VIII თავი.

Ავიდა ერთი წელი, გავიდა მეორე, სცხოვრობს ისევ მიხეილი სიმონთან მეექვსე წელიწადი. სცხოვრობს უწინდულათ. არსად არ დადის, მეტს არაფერს ლაპარაკობს და სულ ორჯერ გაიღიმა მარტო: ერთხელ, როდესაც დედა-კაცმა ვახშამი აჭამა და მეორეც ბატონის შემოსელაზე. ვერ ძღება სიმონი თავისი მოხელის სიყვარულით და არც კითხავს მეტს: საიდან არის იგი; მხოლოთ ერთის ეშინია, არ წავიდეს მისაგან მიხეილი. სხედან ერთხელ შინ. დედა-კაცი ფეჩში თუჯიას დგამს, ბოვშები კი სახარაზოში დარბიან, ფანჯარებში იცქირებიან. სიმონი ფხეკს ერთ ფანჯარასთან და მიხეილი მეორე ფანჯარასთან ქუსლს ადგამს.

მოირბინა ბავშმა დუქანში მიხეილთან, დაეყრდნო მხარზე და დაიწყო ფანჯარაში ცქერა.

ძიაე მიხეილ, უყურე, ეაჭრის ცოლი პატარა ქალებით ჩვენკენ მოდის. აი პატარა ქალი კოჭლიც არის.

სთქვა თუ არა ეს ბავშმა, მიხეილმა გაადგო სამუშეევარი ხელიდგან და დაიწყო ქუჩაში ცქერა და გაუკვირდა სიმონს. აქამდის სულ არ იხედებოდა ფანჯარაში და ახლა კი სულ არ შორდება, უცქერის რაღაცას. მაიხედა სიმონმაც ფანჯარაში: ხედავს მართლა, მოდის მის ეზოსაკენ დედა-კაცი, წმიდათ ჩაცმულია, მოჰყავს ხელით ორი პატარა ქალი ქურქებში გახვეულნი და აბრეშუმის თავსაფრებით. პატარა ქალები ერთმანეთში არ განირჩეოდნენ. მხოლოთ ერთს მარცხენა ფეხი ქონდა გაფუქებული—როცა მიდიოდა ცოტას კოჭლობდა. შემოვიდა ეს დედა-კაცი დერეფანში, მოძებნა კარები, გამოსწია აქეთ საკეტს და გააღო. თავის წინ გაუშვა ორი პატარა ქალი და შემდეგ თვითონ შეეიდა ოთახში.

— ბამარჯობა მასპინძლებო!

— ბოხოვთ დაბრძანდეთ. რა გნებავსთ?

დაჯდა დედა-კაცი სტოლთან, შემოესიენ მუხლებთან პატარა ქალებიც, რადგან სხვა კაცის რცხვენოდათ.

— აი ამ პატარა ქალებისათვის მინდა ტყავის ჩექმების შეკერეა ამ გაზაფხულზედ.

— შეიძლება, თუმც ასე პატარაებისათვის ჩვენ ჯერ არ შეკვეკერია ჩექმები, მაგრამ მაინც შეიძლება.

აი მიხეილია ჩემი მოხელე.

შეხედა სიმონმა მიხეილს და ხედავს: მიხეილს სამუშეევარი გაუგდია ხელიდგან, უცქერის პატარა ქალებს, თვალს არ აშორებს. ბაუკვირდა სიმონს მიხეილის ქცევა.

მართლა მშვენიერი ქალებია: შავ-თვალებიანი, ჩასუქებულნი,—წითლები, ქურქიც და თავსაფარიც მათზე მშვენიერია, მაგრამ სიმონი მაინც ვერ მიხვდა, თუ რისთვის უცქერის მათ ასე მიხეილი, თითქო კარგი ნაცნობები იყოს.

ბაუკვირდა კიდევ სიმონს და დაუწყო დედა-კაცს ლაპარაკი—მუსაიფი. ბაურიგდა—აიღო ზომა. აიყვანა დედა-კაცმა კოჭლი ქალიშვილი და ამბობს:

— აი ამას ორი ზომა აართვი. კოჭლ ფეხზე ერთი ჩექმა შეუკერე და სწორზე კი სამი. ამათ ფეხები ერთი აქვსთ. ესენი ტყუპებია.

აიღო სიმონმა ზომა და ამბობს კოჭლზედ:

— რისაგან დაემართა ამ ქალიშვილს ეს? ძალი რა მშვენიერია.

დაბადებიდამ ხომ არა აქვს?

— არა—დედამ მოჭეჭყა.

შემოერია ლაპარაკში მატრონაც, უნდოდა გაეგო, ვისი იყვნენ ასე ლამაზი ქალიშვილები და ან ვინ არის ეს ქალი და ამბობს:

— როგორ, შენ ამათი დედა არა ხარ?

— მე არც დედა ვარ და არც ნათესავი მაგათი. ესენი სულ სხვებია, ნაშვილები მყავს.

— შენი შვილები არ არის და როგორ გეცოდება ასე.

— როგორ არ უნდა შეეიბრალო ესენი—მე ჩემის ძუძუთი მყავს გაზდილი. ჩემი საკუთარი შვილი მყავდა და მომიკვდა, მაგრამ ის ისე არ მეცოდებოდა, როგორც ესენი მეცოდებიან.

IX თავი.

დაიწყო დედა-კაცმა მუსაიფი: ექვსი წლის წინეთ, ერთი კვირის განმავლობაში დაობლდნენ საწყლები: მამა რომ სამშაბათს დამარხეს, დედა პარასკევს გარდაეცვალათ. დარჩენ სამი დღისანი დედ-მამის სიკვდილის შემდეგ. მე ამ დროს ჩემ ქმართან ვცხოვრებდი გლეხობაში. მეზობლები ხშირი მყავდა. ამათი მამა მარტო ხელი გლეხი იყო, ჭალებში მუშაობდა. უეცრივ დაეცა მას ხე და ქვეშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიმწყვარია და მთლათ გაჭეჭყა ძლიერს შინ ცოცხალი მოათრიეს, მოჰკვდა მაშინვე, დედაც იმ კვირაშიე გარდაჰყვა მუცელს, რადგან ეს ორი ტყუპი დაებადნენ. სიღარიბე, ხელ-მარტოობა, მარტო ერთი დედა-კაცი იყო, არც მოხუცებული ქალი და არც პატარა ქალიშვილები.

«მარტო შობა შვილი და მარტოც მოჰკვდა.»

წაედი დილას მეზობლის ამბის შესატყობათ, შეედიგარ ქოხში და ის საწყალი კი გაცივებულიყო კიდეც. და როცა ჰკვდებოდა, დაწოლოდა ამ პატარა ქალს ფეხზე და ფეხი გაუბრუნდა. შეგროვდა ხალხი, დაბანეს, დასწმინდეს, კუბო გაუკეთეს და დასაფლავეს. ყველაფერი კეთილმა ხალხმა შეასრულა. დარჩნენ პატარა ქალები. სად უნდა წაგვეყვანა ესენი? და დედა-კაცებში მარტო მე ვიყავი ბავშიანი. პირველი ყმაწვილი რვა კვირე ვარჩინე. დროებით ჩემთან წაეიყვანე ისინი. შეგროვდნენ გლეხები, იფიქრეს, იფიქრეს თუ რა უნდა ექნათ ამ ბავშებისათუის და შემდეგ მითხრეს მე: «მარიამ, ჯერ გაყვდეს შენ ეს ყმაწვილები და ჩვენ დრო მოგვეცი, რომ კიდეე მოვიფიქროთ რამე მაგაზე. მეც ერთხელ ვაწოვე ძუძუ ამ სწორ ფეხიანს და კოჭლისათვის კი სულაც არ მიწოვებია ძუძუ. მაგის გაზდას არც კი ვფიქრობდი. ეფიქროს, რისთვის უნდა შესწუხდეს ანგელოზური სული, შემეცოდა იგი. დაუწყე ზრდა ერთ ჩემსას და ორს ამათ და აღვზარდე. ახალგაზდა ვიყავი, ძალა და ღონე ჩემში იყო და საჭმელ-სასმელიც კარგი მქონდა. და რძეც ღმერთმა იმდენი მომცა, რომ ხან-დის-ხან კიდეც მექცეოდა. ოჩს ვაწოვებდი და მესამე კი მიცდიდა. მომშორდება ერთი, მესამეს მიეცემდი ძუძუს. და ისე მოახდინა ღმერთმა, რომ ესენი აღვზარდე და ჩემი კი ორი წლისა დავმარხე.

X თავი.

და მეტი შვილი ღმერთს არ მოუცია. შემოსავალი კი თან-და-თან მომემატა. აი ახლა აქ ამ წისქვილში ვსცხოვრებთ ეაჯართან. ჯამაგირი კარგი მაქვს, ცხოვრებაც კარგი; შვილები კი არ მყავს. როგორ შემეძლო მარტო ცხოვრება, რომ ეს პატარა ქალები არ მყავდეს! როგორ არ უნდა მიყვარდეს ესენი? ჩემთვის ესენი როგორც თაფლი სამთელში, ისე არიან.

მიიხუტა გულზე დედა-კაცმა ცალი ხელით ეს კოჭლი ქალიშვილი და ცალი ხელით დაიწყო ცრემლის ლოყაზე წმენდა.»

ამოიოხრა მატრონამ და ამბობს:

«ჩანს რომ ანდაზა ტყვილი ნათქვამი არ არის: უდედ-მამოთ შეიძლება სიცოცხლე და ცხოვრება და შიმერთოთ კი არა.»

ამათ ერთმანეთის ლაპარაკის დროს, ერთი ეეცრათ რაღაც განათლდა და გაბრწყინდა ის კუთხე ქოხისა, სადაც მიხეილი იჯდა. მიიხედეს ყველამ მისკენ და ხედავენ: ზის მიხეილი, ხელები მუხლებზედ უწყვია, ზეით იცქირება და ღიმილებს.

თეოფილე ხუსკივაძე.

შეწირულებანი.

ეკენ მიეიღეთ ბლაღოჩინის დეკანოზის იოსებ ვაცაძისაგან 10ბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შაგირდთა დამხმარე «ძმობის» სასარგებლოდ 15 მან. და 33 კაპ., რომელიც შეკრებილა შემდეგ პირთაგან:

დეკანოზი იოსებ გაცაძისაგან	2 მ.	
მღვდლის რომანოზ გულბანისაგან	1 მ.	
მღვ.-მონაზონის დანიილ ახვლედიანისაგან	1 მ.	
მღვდლის პარონ მესხისაგან	»	50 კ.
მღვდლის ანტონ ქურციკიძისაგან	1 მ.	»
მღვდლის სპირიდონ გაგაშელოვისაგან	1 მ.	»
მღვდლის გიორგი ჭყოიძისაგან	»	50 კ.
მღვდლის გაიოზ ძიმისტარაშვილისაგან	»	50 კ.
მღვდლის გიორგი მარგანისაგან	1 მ.	»
მღვდლის ლუკა ფოფხაძისაგან	1 მ.	»
მღვდლის სპირიდონ წერეთლისაგან	1 მ.	»
მღვდლის ლუკა ფარეიშვილისაგან	1 მ.	»
დიაკონის ვასილ ცხვედიანისაგან	»	50 კ.
მედავითნე როსტომ გგეშიანისაგან	»	20 კ.
მედავითნე კოსტანტინე მდივნიშვილისაგან	»	10 კ.
მღვდელ-მონაზონის თეოფანესაგან	1 მ.	»
მედავითნის ნიკიფორე კაშიანისაგან	»	10 კ.
მედავითნე გიორგი ფალიანისაგან	»	10 კ.
მედავითნე ბესარიონ გულედანისაგან	»	10 კ.
მედავითნე მაქსიმე გგეშიანისაგან	»	10 კ.
მედავითნე ერმალო ჭაჭლიანმა	»	10 კ.
მედავითნე ბესარიონ ფანდიანისაგან	»	60 კ.
მედავითნე თომა ლომთაძისაგან	»	40 კ.
მედავითნე რომანოზ ფოფხაძისაგან	»	20 კ.
მედავითნე ბიკტორ ბერაძისაგან	»	13 კ.
მედავითნე ილარიონ წიურაძისაგან	»	20 კ.
სულ	15 მ.	33 კ.

ამასთანავე შემოიტანა მღვდელმა გერასიმე ხუსკივაძემ საწევრო ფული 1885 წლისა ხუთი მანეთი, რომელნიც ერთად მიქცეულ იქმნენ ჩვენგან კუთვნილებისამებრ.

სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

ინსტრუქცია მედავითნეთა მოვალეობაზე.

(გაგრძელება.)

Ოგორ უნდა ეპურობდეს თავის მღვდელს მედავითნე? თავის მღვდელს მედავითნე უნდა აქცევდეს პატივისცემით, და თავაზიანად. სალხინო შესვვდრის დროს უნდა ქუდ მოხდით მიიდოს მისკენ კურთხევა, უნდა გამოცხადდეს მღვდელთან პირველ დასპრებაზედვე, უნდა აღსრულებდეს მორჩილებით ყოველს მიხს სამსახურისამებრ ბრძანებას; ერთი დღითაც არ უნდა გაშორდეს მედავითნე სამრევლოს თავის მღვდლის ნება დურთველად და თუ ორი ან სამი დღით შორდება თავის სამრევლოს, მაშინ უთუოდ ადგილობითი ბოდიშინის ნება უნდა აიღოს. ბოდიშინიც მაშინ მისცემს მასს ნებას, როდესაც დარწმუნდება, რომ მის მაგიერი მოსამსახურე ეკლესიაში ჭეშვს მღვდელს. მედავითნე უნდა ესწრებოდეს მღვდელს ყოველ მღვდელ-მოქმედებაზე სამრევლოში, ამისთვის, როდესაც თავის სახლიდან გადის, უნდა სტოვებდეს ცნობას, თუ სად შეიძლება მონახონ იგი; როდესაც მღვდელი მიდის სამრევლოში საქმეებზედ ანუ დასაბრუნებლად მრევლთა, მედავითნე თან უნდა ახდეს ნიადაგ მას.

როდესაც საჩივარი ანუ დასპარი შესვდება მედავითნეს მღვდელთან წილის მიღებაზე, ყოველთვის თავაზიანად უნდა აქცევდეს ის მღვდელს და არასოდეს უტეხად და უზრდელად არ უნდა ელაპარაკოს. ამისთანა შემთხვევაში მედავითნე უნდა მიიქცეს ადგილობით ბოდიშინოსან და მისკენ ელოდეს საქმის გარჩევას ან დასმობებას, მაგრამ თვითონ არ უნდა გაუბედოს მღვდელს წინააღმდეგი დასპარი და საჩივარიც ამისთანა შემთხვევაში უნდა შეიტანოს ბოდიშინოსან არა უგვიანეს ერთი თვისა. მტერობისა და უმეცარობისა გამო არასოდეს არ უნდა აჩვენოს მედავითნემ თავის მღვდელზე მრევლთაგანნი და სასტიკად უნდა ერიდებოდეს თავის ბიროვნული ანგარიშისა გამო მღვდლის წუენინებას და მის დამდაბლებას ხალხის თვალში. თუ ეკლესიაზე არის მეორე მღვდელი, მედავითნე მეორე მღვდელსაც ისე პატივით და თავაზით უნდა აქცევდეს, როგორც პირველს. როდესაც მედავითნეს შესვდება მისადა ბოდიშინთან ანუ თავის მღვდელთან სასლში, ის უნდა აცადოს დასპარაკის დროს თავი დაიკავოს ზრდილობით და წესიერად, როგორც კანონისაგან მოითხოვება.

ბრიჩეტნიკის და დიაკვნის მოვალეობა საეკლესიო საბუთების შედგენის შესახებ.

Ოველივე საწერი საქმე ეკლესიისა მედავითნის მიუცილებელ მოვალეობას შეადგენს. მისი ვალდებულება არის, რომ მეტრიკაში ჩასწეროს დაბადებულები და მოსთლილები, გვირგვინის კურთხევა ან გარდაცვალება; აგრეთვე მისი მოვალეობაა ყოველს შემოდგომაზე ჩამოიაროს სამრევლოში ან შესასწორეს აღსარებითი სიაზე მრევლნი და შეადგინოს სასწორით აღსარებითი სიები. მისი მოვალეობაა თავ-თავის დროზე შეადგინოს, მიცემული ფორმისა მებრ, კრილოვის უწყების ოთხი ეგზემპლარი: ერთი ეკლესიაში დასატოვებლად, ერთი ადგილობითი ბოდიშინის განცხადარიაში დასაჩენად, ერთი ადგილობითი ეპისკოპოსის განცხადარიაში გასაგზავნად და ერთიც (ჩვენში) სინოდალური კანტორაში გასაგზავნად ადგილობითი ბოდიშინისაგან. თუ ეკლესიაზედ არის წიგნთ-სატკვი, მისი მმართველი აგრეთვე გასწავლის საკითხავი წიგნებისა მრევლზე და პატარა ეკლესიის და სატბისა ბრიჩეტნიკის მოვალეობაა. თუ სტარროსტამ წერა არ იცის, ბრიჩეტნიკმა უარი არ უნდა უთხრას შესაფერ-გასაგზავნ წიგნის წარმოებაზე და ანგარიშების შთაწერაზე და გაწერაზე.

თუ ბრიჩეტნიკმა ამბების აღსრულება ვერ შეიძლო უტოდინარობისა გამო, ან არ ისურვა ამ მოვალეობათა აღსრულება, მაშინ მღვდელს შეუძლია მედავითნის სარჯით და ანგარიშით დაიქირავოს სხვა ბერი. მედავითნეს არ შეუძლია მოძღვრის დაუკითხვად მისცეს ვინმე მრევლთაგანს საკითხავად ეკლესიაიდან წიგნი, ან მღვდლის ნება დურთველად ვისმეს აჩვენოს საეკლესიო საბუთები და მისცეს ცნობა მის წადოვანებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებანი.

გამოცემა გიორგი ქართველიშვილისა

ახლად დაიბეჭდა ჰ ისყიდება «დროების» რედაქციაში.

გაზუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შეესებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დივიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი.

ძველის საქართველოს სახოგადო ქართით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან,

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

გამოვიდა და ისყიდება

ქართული სახელმძღვანელო სადმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი ადთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღვ. ნესტორ უუბანეიშვილისაგან. ისყიდება თბილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და ორპირში—წიგნის შემდგენელის ბინაზე.

(10—1)

ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

ქართული ქრისტომატია

უმცროს კლასებისათვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეგზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება.

(10—1)

შინაარსი: იმერეთის ეპისკოპოსის ოცდა ხუთის წლის მსახურებისა გამო.—წერილი რედაქტორთან.—სენაკის მაზრიდამ.—ახალ სენაკიდამ.—ზუგდიდიდამ.—ჯორის მაზრიდამ.—მოძღვრება ბაპტისტების წინააღმდეგ.—მოკლე მოძღვრება.—მატიანე.—რით ცხოვრებს ხალხი.—შეწირულებანი.—მედავითნეთა მოკალდობაზედ.—განცხადებანი.

Дозв. цензурою Кутаисъ, Августа 30, 1885 г.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მხწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ჰ ფერადისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 9843

მწყემსი

№ 17

№ 17 1883—1906 წ. 15 სექტემბერი.

შინაარსი.

სალიტერატურო განყოფილება: კიდევ საქართველოს ეკლესიაზე, (მართებლობის გამოცხადება).—ჩვენი სიტყვა.—ტოლსტოი ტოლსტოის წინააღმდეგ.—სოციალიზმი და ქრისტიანობა.—მცირე შენიშვნა, (კულაშის საბლ. სამღ. დადგენილებისა გამო).—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე**: რა არის ეოველივეზე უდიდესი ამ ქვეყანაზე? მღ. პ. ელბაქიძისა.—ადამიანი, როგორც სულიერ-ხორციელი, გონიერი, ზნეობითი, თავისუფალი და პიროვანი არსება, ი. ბალუევისა.—განცხადება.

კიდევ საქართველოს ეკლესიაზე.

(მართებლობის გამოცხადება.)

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის შესახებ შეამდგომლობისამებრ ყოფილის ექსარხოსის ნიკოლოზისა, რომელსაც სთხოვდენ მას იმერეთის, გურია-სამეგრელოს, გორის და ალავერდის ეპისკოპოსები, ხელმწიფე იმპერატორმა უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის უქვეშევრდომილესის მოხსენებაზე, თერთმეტს ამა აგვისტოს თვესა, უმაღლესად კეთილ ინება: გამოეცხადოს ხსენებულ მღვდელთ-მთავრებს, რომ კითხვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგინების შესახებ გარდაეცეს განსასჯელად ადგილობით მომავალ რუსეთის საეკლესიო კრებას.

* * *

უწმიდესმა სინოდმა თავის დადგენილებით 18 იანვრიდან, 1906 წლისა, № 259, დააწესა განსაკუთრებული საბჭო განსასჯელად და მოსაწესრიგებლად საქართველოს საექსარხოსოში ეკლესიის საქმეთა მოსკოვის მიტროპოლიტის ვლადიმერის თავმჯდომარეობით, კიევის მიტროპოლიტის ფლავიანესაგან, რომელნიც მსახურებდენ კავკასიაში, აწ უკვე ვლადიმირის. მთავარ ეპისკოპოზის ნიკოლოზისა და ქართველ ეპისკოპოსთა იმერეთის ეპარქიის ლეონიდისა და სუხუმის—კირიონისაგან. უწმიდესმა სინოდმა მიიღო-რა სახეში ამ საბჭოსაგან შემუშავებული სხვა-და-სხვა ზომები საეკლესიო საქმეთა მმართვა-გამგეობისა და სამრევლო და სასულიერო სასწავლებელთა კეთილად მოწყობისათვის საექსარხოსოში ინება, ეხლავე სანამ საექსარხოსოს საქმეები გარდასწყდებოდეს მომავალ ადგილობრივ რუსეთის საზოგადო საეკლესიო კრებაზე აღსრულებულ იქმნეს შემდეგი ზომები: 1) რომ სრულიად აღდგენილი იყოს მღვდემთავართა უფლებანი საექსარხოსოში გადაკეთდეს დამოუკიდებელ ეპარქიებად იმერეთისა, გურია-სამეგრელოისა და სუხუმის ეპარქიები. ყოველ\ დამოუკიდებელ ეპისკოპოსებთან საექსარხოსოში დაწესდეს დღევანდელს დროს არსებულის სასულიერო კონსისტორიების მსგავსად საეპარქიო სამართველონი, შედგენილი სამი წევრისაგან—სამღვდლო პირთაგან, რომელსაც ირჩევს ადგილობითი მღვდელთ-მთავარი და ამტკიცებს ექსარხოსი საქართველოისა. კანცელარიები ამ სამართველოთა უნდა მოეწყოს დღეს არსებული ეპარქიის კანცელარიებისაგან რამდენიმე მოსამსახურე პირთა მომატებით. ყოველივე საქმე, რომელიც ექვემდებარება სასულიერო კონსისტორიის წესდების ძალით საეპარქიო სასულიერო მთავრობის გამგეობას, გარდაეცეს იმერეთის, გურია-სამეგრელოის და სუხუმის ეპარქიების სამმართველოებს. მიენდოს კანტორას, რომ ეხლავე შეუდგეს თან-და-თან გარდაცემას აღუსრულებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეთა დანიშნულებისამებრ. ქართლ-კახეთის და იმერეთის სინოდის კანტორა გადაკეთდეს ამ სახით, რომ იგი სამი ნაილი წევრით აწარმოებდეს სასულიერო კონსისტორიის საქმეებს საეკლესიოსში და ერთად საეკლესიოსის ყველა ეპისკოპოსებთან, რომელნიც უნდა იწოდებოდენ წევრებად კანტორისა, ეკლესიოსის თავმჯდომარეობით უნდა მართებდენ ყოველ საეკლესიო დაწესებულებათა, რომელსაც ექვემდებარებიან ყველა ეპარქიები საეკლესიოსოში. წევრები კანტორისა დაიპარებიან საქართველოს ეკლესიოსისგან საჭიროებისამებრ ორჯერ ან სამჯერ წელიწადში. კანტორის გამგეობას ექვემდებარებიან შემდეგი საქმეები: ა) მსჯელობა საზოგადო კითხვათა დაკავისა და გავრცელებისა მართლმადიდებლის სარწმუნოებისა კავკასიაში, ამაღლება მწყემსთა და სამწყსოთა ზნეობრივი და სარწმუნოებრივი მდგომარეობისა, განხილვა ამის შესახებ შესანიშნავ საქმეთა "მოხსენებითა უწმიდესი სინოდისადმი; ბ) საჩივრები მღვდელმთავრების განკარგულებაზე როგორც სასულიერო ისე საერო პირთაგან შემოტანილნი; გ) საჩივრები სასულიერო პირთაგან თავის მღვდეთ-მთავრებზე უკანონოდ დაჯარიმებისა და დასჯისათვის; დ) საჩივრები სასულიერო წოდებისაგან უკანონოდ სასამართლოების განჩინებათა-გამო რომელნიც ექვემდებარებიან უწმიდესი სინოდის გარდაწყვეტილებას; ე) საქმეები, რომელნიც შეეხებიან ხაზინიდან გამოსულის ფულების გაყოფას ეპარქიებთა-შორის და სინოდის სპეციალური ფულების გაყოფას. სხვა საქმეებისამებრ, რომელნიც ექვემდებარებიან სინოდის გარდაწყვეტილებას ეპარქიის მღვდელთ მთავრები მოახსენებენ უწმიდეს სინოდს ეკლესიოსის საშუალებით. 2) მოეთხოვოს სამასწავლებლო საჭოს დაჩქარეს დაბოლოებითი გარდაწყვეტილება სკოლების შესახებ საეკლესიოსოში. 3) მოემატოს საეკლესიოსის სასულიერო სასწავლებლებში სწავლება საეკლესიო ღვთის მსახურების ენაზე და ადგილობითი გალობას საეკლესიო სლავიანური ენის მაგიერ. მიექცეს ყურადღება, რომ განავითარებდენ პრაქტიკულად მოწაფეთა ქართულად ქადაგებაში და შეასწავლონ მოწაფეთ წირვისა და სხვა ღვთის მსახურების წესები ქართულ ენაზე, რომ ასე მომზადებულთა შეასრულონ ღვთის მსახურება ქართულს ენაზედ წესიერად და წარმოსთქვან მშვენივრად ქადაგებანი.

დაარსონ ყველგან კომისიები „დაბადების" გადასასათარგმნელად ადგილობით ენებზე და ამ კომისიებმა მოაწყონ საქმე სიდმრთო და ღვთის მსახურების წიგნები იბეჭდებოდეს საკმაოდ ყველა ეკლესიებისთვის და საგალობლო წიგნები.

* * *

ვინაიდგან უქაზი სინოდისაგან მიღებულია სინოდის კანტორის გაუქმებაზე და კონსისტორიის დაარსებაზე ამ დღეებში აღნიშნულ კანტორაში მიყოფენ ხელს გაარჩიონ საქმეები იმერეთისა და გურია-სამეგრელოისა გასაგზავნელად დანიშნულებისამებრ აღნიშნულ სამართველოებში.

ეს მართებლობის განცხადებანი დაუბეჭდავს რა გაზეთ „Речь"-ს თავის მხრით საჭიროდ დაუნახავს ეძღვნა შემდეგი სიტყვა ამ კითხვის გამო.

„ჩვენ ვესწრებით, ამბობს გაზეთი, არა ჩვეულებრივ სანახავებს: მთელი ნაციონალური ეკლესია — საქართველოსი გამოვიდა საბრძოლველად უწმიდეს სინოდთან. საქართველოს სამღვდელოების კრებამ დაადგინა, რომ არ მიიღოს ახლად დანიშნული საქართველოს კათედრაზე ეპისკოპოსი ნიკონი საქართველოს ეკლესიის ეპარხოსად. მაგრამ არა მიმხედველი ამისა ეპისკოპოსი ნიკონი უკვე მივიდა თბილისში. რადგან არც ერთმა მხარემ არ დაუთმო ამისათვის შესაძლებელია ორნაირი მოქმედება: დატუსაღება, გადასახლება, ეგზეკუცია, დამკვიდრება ქრისტეს ტახტის გამგისა კათედრაზე ხიშტებით. შეიძლება მოხდეს ახალი მწვალებლობაც მართლ-მადიდებელ ეკლესიაში და გამოცხადება მთელი საქართველოს ეკლესიისა მწვალებლებლად. დღევანდელს არსებულს ღრმა პოლიტიკურ და ნაციონალურ კრიზის კავკასიაში მიემატება კიდევ ერთი საშიშრობა. ეხლანდელ დავას საქართველოს სამღვდელოებისას რუსეთის სინოდთან, უეჭველია აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა და შედეგია ქართველთა ხალხის თვით შეგნებისა. რვა-ასი წლის განმავლობაში ქართველების ეკლესია იყო თავისუფალი გამგე თავის საქმეებისა და დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა რუსეთთან შემოერთების დროსაც 1801 წელსა. ათი წლის შემდეგ შემოერთებისა ბიუროკრატიმ წაართვა ქართველების ხალხს ეკლესიური თავისუფლება და დაუმორჩილა ბიუროკრატიულ დაწესებულებას — სინოდს. უმფროსობა რუსის ეპისკოპოსობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინოდისა საქართველოს ხალხისა და სასულიერო უწყებისათვის არის მხოლოდ შემოღებული ქართველების გარუსებისათვის, რომლითაც დიდი ხნის განმავლობაში ბრკოლდება და იხშობა ყოველივე განვითარება ქართველთა ხალხისა და სასულიერო ცხოვრების მიმდინარეობისა. რასაკვირველია, განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ საქართველოს სამღვდელოებაშიაც გამოცხადდა ძლიერი მისწრაფება აღდგინებისათვის თავის ეკლესიის დამოუკიდებლობისა, რომელსაც აქვს ამაზე სრული იურიდიული და ხალხსანური უფლება... სვინდისის თავისუფლების გამოცხადების შემდეგ და კონსტიტუციონური წესების შემოღებისა რუსეთში ქართველების სურვილი იქონიონ დამოუკიდებელი ეკლესია სრულებით კანონიერია, მხოლოდ ჯინიანობა და ერთად მხოლოდ არაფერზე დამყარებული უარის თქმა სასულიერო ბიუროკრატიისა ვერ ხედავს თავის უმიზნო მოქმედებას თუ როგორ ტყუვილა **უბრალოდ** ეღობება წინ საქართველოს ეკლესიას რომელსაც სწყურია ეკლესიის თავისუფლება და კანონიერი მისი უფლების აღდგენა. არ შეიძლება გამამართლოს კაცმა ძალით შეპყრობა საქართველოს საეკლესიოისა ბიუროკრატიული კანცელარიით; ამ შემთხვევაში უადგილია ფინანსიური ანგარიშების მიღება სახეში, ვინაიდგან საქართველოს ეკლესია უზრუნველყოფილია თავისი საკუთარი ხალხის ქონებით. მაშ რით ხელმძღვანელობენ, როცა უარს ეუბნებიან ქართველებს ეკლესიის განთავისუფლებაზე? ეს არის მხოლოდ ბიუროკრატიის კანცელარიის ერთად-ერთი დაჯინებული ჩვეულება, დამყარებული პოლიციურ ძალ-მომრეობაზე. და ნუ თუ შესაძლებელია ხალხისა და საზოგადოდ სახელმწიფოს ინტერესებისათვის ცეცხლის შეკეთება კიდევ ამ დაშორებულ ქვეყანაში — კავკასიაში?"

ჩვენი საქ�.

ძლიერ გასაკვირვალია, რომ სინოდის განკარგულება იმერეთის და გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსების უფლების მინიჭების გარდაწყვეტილება იანვრის თვიდან დღემდისინ არ გამოცხადებულა. თუ მართლა სრული უფლება მიენიჭათ ამ ეპარქიის ეპისკოპოსებს ექსარხოსის და კანტორის შესაბნახავად რაღა საჭიროა ფულების ხარჯვა. თუ სამი ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს მიენიჭა ასი წლის შემდეგ წართმეული უფლებები ქართლ-კახეთის ეპარქიამ რაღა დაშავა, რომ მას არა ყავს სრული უფლების მქონე ეპისკოპოსები? ბევრი რამ არის მკითხველისათვის გამოურკვეველი ამ ახალ „რეფორმების" შემოღების საქმეში. დიაღ, საჭიროა ეხლავე გამოირკვეს ყოველივე გაუგებელი, თორემ მარტო არხივის ქაღალდების გამოყოფა სინოდალნი კანტორისაგან და თავ-თავის ეპარქიებში მათი დაბრუნება, ამასთან სამი აღრჩეული მღვდლისაგან კომიტეტი (ისიც ეპისკოპოსებისაგან აღრჩეულები) ეპარქიის საქმეების მოსაწესრიგებლად ეკლესიის საქმეს ვერ დაეხმარება და სარწმუნოებისა და ქრისტიანულ ზნეობის საქმეს წაღმა ვერ დაბრუნებს. სინოდალნი კანტორორაში უკანასკნელ დროს ძლიერ ბევრი წევრები დანიშნეს, ეგონათ, რასაკვირველია, საქმე კარგად წავაო, მაგრამ კარგად კიარა სულ უკუღმა წავიდა საქმე და ორას ორმოცდა ათი ათასი მანეთიც გაიფლანგა... ვინ გვაძლევს ამ ფულებს?... სინოდი თუ ექსარხოსები?..

ბევრი კეთილი კაცია რუსეთში. ჩვენი გაჭირვება და ჩვენი დაჩაგვრა ისე აწუხებს, როგორც თავიანთ მოძმეთა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბიუროკრატიულ ნიადაგზე აღზრდილი სასულიერო წოდებაში კი ძლიერ იშვიათად მოინახება ისეთი პირები, რომ სახარების მცნებისამებრ უყურებდენ ქართველებს, როგორც თავიანთ მოძმეებს. ქართველები, ლეკები, ჩაჩნები, კერპთაყვანის მცემლები—ოთტიაკები და ყაზანელი თათრები ერთია მათთვის! არავითარი გარჩევა ქართველებისათვის მათთვის არ არსებობს! რა ხეირს უნდა მოელოდეს კაცი როდესაც ამისთანა კაცებს ჩაუვარდება გადასაწყვეტად ქართველების ეკლესიის განთავისუფლების საქმე? ყოველი სასულიერო პირი, რომელიც მსახურებდა საქართველოში საქართველოს ეკლესიის წეწაგლეჯით, ჩაგვრით, ათას გვარ ცილის დაწამებით და დაბეზღებით ღირსი გამხდარან დიდი ადგილის მიღებისა და რა კეთილს იტყვიან, როცა მათ კითხავენ ამ ეკლესიაზე და ამ ხალხზე რამეს? საქართველოს ეკლესია დიდს უბედურებას ითმენდა, რომ ხანდისხან ხელმწიფეებს არ გამოეგვათ ხოლმე თავი და არ აელაგმათ ზოგიერთ დაწესებულებათა განკარგულებანი. უკანასკნელ დროს ხელმწიფისაგან უმაღლესად დამტკიცებული წესდებულებანი სინოდმა გააუქმა და ამით სულ დაეცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარწმუნოება და კეთილზნეობა როგორც ხალხში ისე სამღვდელოებაში..

გასაოცარი და გასაკვირველია როგორ ვერ გაიგეს და რატომ არ შეიგნებენ ამდენი ხანი, რომ სინოდის კანტორას და ექსარხოსობას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია და არც მოაქვს საქართველოში არც სახელმწიფოსათვის, არც ეკკლესიისათვის და არც ხალხისთვის. რა უნდა გააკეთოს კანტორამ და ექსარხოსებმა, როდესაც იმისთანა საპირო წიგნი როგორიც არს „დვეთნი“ და „კურთხევანი“ ვერ დაუბეჭდია და ვერ დაუკმაყოფილებია მთხოვნელები ოცდა ხუთი წლის განმავლობაში? რისგან ხდება ეს? იმისგან, რომ არც არაფერი თვითონ შეუძლიათ და არც სხვას აძლევენ ნებას. ეხლა იწერებიან: კომისიები დანიშნეთ და დაბადება გადათარგ^ნეთ ადგილობრივ ენებზეო! მშვენიერად გადათარგმნილი დაბადება გვქონდა და ისე საზიზღრად დაამახინჯა კანტორამ დაბეჭდვის დროს, რომ სრულებით დაბადებას აღარ გავს. აკრძალული უნდა იყოს მისი გაყიდვა, ჩვენის აზრით, თუმცა დიდი ფული დაჯდა მისი დაბეჭდვა. დაინტერესებულ პირებს ურჩევთ წაიკითხონ ყ-დ სამღვდელო პეტრეს მოხსენება კანტორაში, შეტანილი 1885 წელში კანტორისგან დაბეჭდილ დაბადების შესახებ გასაშტერებელი შეცდომებით. თუ მშვენიერად ნათარგმნი დაბადება გააფუჭეს, როგორ მოახერხებენ აფხაზურ და თათრულ უნაზე მის გადათარგმნას?..

(გაგრძელება იქნება).

ტოლსტოი ტოლსტოის წინააღმდეგ.

თავის მოწოდებაში სამღვდელოებისადმი ტოლსტოიმ, სხვათა შორის, ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია დედამიწასთან გაასწორა. „ნეტავი თუ მოიძებნებოდეს დედა-მიწაზე იმაზე უფრო საზიანო წიგნია, ამბობს იგი. ამ წიგნს ასწავლიან ყოველს ქრისტიანეს, როგორც ახალგაზდას, ისე დიდებსაც“.

ტოლსტოის ამ დასკვნით დაბადებაზე შეიძლება გავითვალისწინოთ მისი შეხედულება ამ წიგნზე წინეთ და ახლა. ერთს დროს ისიც ხომ ასწავლიდა საღმრთო ისტორიას იასნაია პოლიანის სკოლაში. აბა მოვიგონოთ რა აზრის იყო იგი იმ დროს ამ საგანზე? აი რას სწერდა იგი ამაზე თავის სტატიაში Яснополянская школа за ноябрь и декабрь мѣсяцы“

საღმრთო ისტორიის სწავლების შესახებ, ამბობდა ტოლსტოი, შემდეგი უნდა ითქვას: წინაპირველად ის, რომ რატომ გადიან პირველში ძველს აღთქმას. მიუხედავად იმისა, რომ საღმრთო ისტორიის სწავლება ითხოვებოდა როგორც მოწაფეებისაგან, ისე მათის მშობლებისაგან, ყველა საზეპიროებზე დაბადება უფრო ითვისებდა ბავშვის გონებას და გულის ყური, როგორც ეს დამანახვა სამის წლის გამოცდილებამა. მე ვსინჯე ახალი აღთქმა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია. ვსინჯე ყველასაგან მოწონებული ჩვენს დროში ბუნების მოვლენათა ახსნა-განმარტება, მაგრამ ეს ყველაფერი ავიწყდებოდათ და უგულოთ ისმენდენ. ისეთი სიხარულით მოჰყვებოდენ ძველს აღთქმას ბავშვები როგორც სახლში, ისე სკოლაში და იმფერად ინახსომებდენ, რომ ორს თვეს შემდეგ თავისით სწერდენ რვეულებში საღმრთო ისტორიას თითქმის უკლებლად.

ჩემის ფიქრით კაცთა მოდგმის სიყმაწვილის წიგნი ყოველთვის დარჩება საუკეთესო საყმაწვილო წიგნად ყოველის ადამიანისათვის. ამ წიგნის გადაცემა ჩემის ფიქრით შეუძლებელია. გადასხვაფერება, შემოკლება დაბადებისა როგორც ამას ჩადიან ზონტაიგის და სხვ. სახელმძღვანელოებში საზარალოდ მიმაჩნია ჩემის შეხედულებით. წაიკითხეთ დაბადებაში ქვეყნის შექმნაზე და აგრეთვე შემოკლებულ საღმრთო ისტორიაში და აქედამ ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად შეუძლებელია დაბადების გადასხვაფერება. საღმრთო ისტორიაში ისეა ტექსტები, რომ თუ არ ზეპირად სხვანაირად მათი შესწავლა არ შეიძლება: დაბადებაში ბავშვის თვალის წინ იშლება ცხოველი დიდებული სურათი, რომელსაც ვერასოდეს ვერ ამოფხვრის კაცის გულიდან. გამოკლება საღმრთო ისტორიაში არ მოხერხდება სრულიად ამით მხოლოდ ჩვენ დავარღვევთ სილაზაეოს და ხასიათს საღმრთო წერილისას. რათაა, მაგალითად გამოტოვებული ყველა საღმრთო ისტორიებში ის, რომ როდესაც არაფერი იყო სული წმიდა იქცეოდა უფსკრულზეო, რომ ღმერთმა მეშვიდე დღეს განისვენა და იყო ღილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მწუხრი. რათაა გამოტოვებული ის, რომ ღმერთმა ჩაბერა თავისი უკვდავი სული ადამსაო, რომ ადამს ძილის ეროს გვერდი გამოართვაო. დაბადება უნდა ჰკითხონ კაი ბავშვებს, რომ გაგებულ იქმნას, თუ რამდენად მიუცილებელი და ჟეშმარიტი იქნება მათთვის იგი. შეიძლება ზნეობა წამხდარ ქალიშვილებისათვის არ შეიძლება დაბადების კითხვა, მაგრამ გლეხის შვილებისათვის კი სულ კარგია და არც ერთი სიტყვა გამომიშვია როდესაც იმათ ეკითხებდი. ზურგს უკან არავინ არ ხარხალებდა და გულ დამშვიდებული ისმენდენ ლოთის და მისი ასულების ისტორიის და ისტორია იუდასი შიშს გვრის ადამიანს და არა სიცილს...

რა ცხადი და გასაგებია, „განსაკუთრებით ყმაწვილისათვის და ამასთანავე შეხამებული და სერიოზული!...

მისთვის, რომ ყმაწვილი მთელი თვის არსებით მასწავლებელს მიენდოს უნდა გადაუშალო მას ფარდის ისეთი მხარე, რომლის მეთხებით დახშული იყო მისთვის ყოველივე სიმშვენიერე იმ გაფიქრებათა, ცოდნათა და პოეზიისა, რომელთადმი უნდა მიეტოდეს მოძღვრება. მხოლოდ მაშინ როდესაც მუდამ ამ მოელვარე სინათლისაკენ ექმნება მოსწავლეს ყურადღება მიქცეული მაშინ შეუძლია მას გასწიოს შრომა ისეთი, როგორც ჩვენ მიერ მისგან მოითხოვება.

რა საშვალება გვაქვს ჩვენ მისთვის, რომ მოწაფეების წინაშე ავხადოთ ფარდა?

როდესაც დაუწყე მათ დაბადების კითხვა მაშინ სრულიად დავიმორჩილე ისინი. აიხსნა თუ არა ფარდა ჩემსკენ იწყეს ლტოლვილება მათ. მათ შეიყვარეს წიგნიც, მოძღვრებაც და მეც. მე დამრჩენოდა მხოლოდ ხელმძღვანელობა გამეწია მათთვის ქვეყნ. ძველი აღთქმის შემდეგ მე მოუთხარ ახალი აღთქმა და მათ უფრო და უფრო შემიყვარეს მეცა და მოძღვრებაცა. შემდეგ მოუყევი საზოგადო, რუსეთის, საბუნების მეტყველო ისტორიის დაბადებას შემდეგ ყველაფერს ისმენდენ, ყოველივე სწამდათ, სულ მემუდარებოდენ, ქვეყნ ამეხსნა, ამით მათ უკანასკნელ თვალის წინ გადაუშლელათ ხროვანების, ცოდნის და ჰაზრის პერსპექტივები. შესაძლებელია ეს შემთხვევითი იყო. შეიძლება სხვა შკოლებში რომ სხვა გზით დამეწყო სწავლება უფრო მეტს ნაყოფს მივიღებდი. შეიძლება მაგრამ ესეთი შემთხვევები მეორდებოდენ სრულიად უცვლელად ყოველივე შკოლაში და ოჯახში. ასე რომ შემთხვევას ეს სრულიადაც არ მიეწერება. ახალი ქვეყანა რომ გააცნო ბავშვებს და მეცადინაობით შეყვარება მისი ცოდნა დაბადების გარდა არც ერთი წიგნი არაა, მე ვამბობ მათზედაც, რომელთაც არ სწამთ დაბადება ისე როგორც გამოცხადება. არა, მე არ შემიძლია მიუთეთო რომელიმე ნაწარმოებზე, რომელსაც შეეძლო შეთანხმება ასეთი პოეტიურად კაცის აზროვანების ის მხარეები, როგორც ამას ვხედავთ დაბადებაში. ბუნების გავლენთა კითხვები განიმარტებიან ამ წიგნის მეთხებით, ყოველივე პირვანდელი დამოკიდებულებანი კაცთა ერთი მეორეში, ოჯახობისა, სახელმწიფოებსა, და სარწმუნოებასა პირველად ამ წიგნში ვკითხულობთ. აზრთა—დასკვნა, სიბრძნე, ბავშვურის კილოზე პირველად იპყრობს ყმაწვილის გონებას, დავითის ფსალმუნთა ლირაში მოქმედობს არამც თუ მოზარდ მოწაფეებზე, დიდებზედაც მაგრამ გარდა ამისა თვითეულზე ამ წიგნიდამ პირველად ეცნობა ეპოსის სილაზათეს შეუდარებელის სიმარჯვით და ძალით. ვის არ მოუვა ცრემლები იოსების ისტორიისა და ძმებთან მისის შეხვედრის წაკითხვის დროს, ვინ არ მოუთხრობს გულსაკლავ ისტორიას სამსონის შეპყრობასა გაკრეპას, რომელმაც (სამსონმა) იძია რა შური მტერზე თვითონაც დაიღუპა და მტრებიც ააოხრა სასახლის ნანგრევებში და კიდევ რამდენი ასი სხვა შთაბეჭდილებანია, რომლებთაც ჩვენ დედის ძუძუსავით აღვიზარდეთ. დეე ისინი, ვინც უარჰყოფენ დაბადების აღმზრდელობითი მნიშვნელობას, ვინც, ამბობს, რომ დაბადებამ მოიჭამა თავის დროო, დეე მათ გამოიგონონ ისეთი წიგნი, ისეთი მოთხრობები, რომლებიც ხსნიან ბუნების მოვლენათა ანუ საზოგადო ისტორიიდან, ანუ ოცნებიდან, რომელიც ისე მოიტაცებენ გონებას, როგორც დაბადება იტყვევებს გულსა და გონებას და მაშინ ჩვენც დავეთანხმებით, რომ დაბადებამ დრო მოიჭამათქო.

ისეთი მოუხერხებელია ჩვენს საზოგადოებაში უდაბადებოდ ყმაწვილისა და კაცის განვითარება, როგორც შეუძლებელია უჭომეროთ საბერძნეთის საზოგადოებაში. დაბადება ერთად ერთი წიგნი პირველი დაწყებითი სწავლისათვის დაბადება უნდა სამაგალითო როგორც ფორმით, ისე შინაარსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრივ ყველა საყმაწვილო სახელმძღვანელოებში და ბავშვების საკითხავ წიგნებში. მდაბიო ხალხურ ენაზე დაბადების გადათარგმნა მიუცილებელია. ამისთანა თარგმნით შეიქნებოდა ჩვენს დროში ახალი ეპოქა რუსეთის ერთა ისტორიაში.

მართალია ყველამ უწყის, რომ ლ. ტოლსტოი განუდგა ძველს თავის ღმერთებს. მაგრამ წარმოსადგენია განა რომ იმ აღტაცებაში, რომელიც მას წინათ მოსდიოდა დაბადებაზე, ამ ჟამად სიმართლის ერთი ნაპერწკალი მაინც აღარ ჩანს? რითი განსხვავდებიან იმ დროინდელი მაშინ „და საამჯერო ახლა“? მით, რომ ახლა მას აღარ მიაჩნია ჭეშმარიტად საღმრთო ისტორია? „მაგრამ ის მაშინაც“ როგორც თითონ ამბობს, ურწმუნო ნიგილისტი იყო. მიუხედავად ამისა თითონ მას სწამდა დაბადება და ამბობდა, რომ ურწმუნოებმაც უნდა დაინახონ მასში აუცილებელი და უდიდესი ზნეობრივ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ესეთი მნიშვნელობა დარჩენია მას დღემდისინაც.

მდ. კ. ანთაძე

სოციალიზმი და ქრისტიანობა.

ჩვენი ცხოვრების უდიდესი ბოროტება,—ამბობენ სოციალისტები,—არის უთანასწორობა. ერთი, მაგ., ნაკლებ შრომობს, თითქმის არაფერს აკეთებს და ყოველივე ჭარბათ აქვს; მეორე კი, დაწყებული დაბადებიდან, ყოველ ცისმარე დღე მუშაობს, იშვიათად ისვენებს და მაინც თავს ვერ ირჩენს.

რათაა ესეთი გარჩევა? განა ყველანი ერთი ღვთის შვილები არ არიან?

ამ უსამართლოების მიზეზი, ამბობენ სოციალისტები, აწ არსებული წეს-წყობილებაა. ახლა, როგორც ვიცით, მიწა და საწარმოო იარაღები უმცირესობის საკუთრებას შეადგენენ. კერძო საკუთრება ჰყოფს ხალხს კლასებად და წოდებებად, იწვევს მათ შორის დაუსრულებელ ბრძოლას და მძულვარებას, ერთს მეორეს აჩაგვრიებს, ერთს მეორეზე აბატონებს და სხვ. ხალხის კეთილდღეობის და წარმატებისთვის საჭიროა მოისპოს კერძო საკუთრება და ყველაფერი საზოგადოების ხელში გადავიდეს. მაშინ მოისპობა ერთის მეორეზე ბატონობა, მუშა ხალხი განთავისუფლდება მონობიდან და დამყარდება ეკონომიური თავისუფლება. თავისუფლება შეჰქმნის ყველას მესაკუთრედ და გაუქმებს იმ პირობებს, რომლებიც ერთს აძლევს მმართველობაში და კანონმდებლობაში მონაწილეობა მიიღოს, მეორეს კი არა; ეს იქმნება პოლიტიკური თავისუფლების დასაწყისი.

სოციალისტების სწავლით, სამართლიანობა მოითხოვს, რომ უმცირესობის ინტერესები უმრავლესობის ინტერესებზე მაღლა არ იყოს დაყენებული. სწორეთ ამ სამართლიანობის დარღვევა არის პირდაპირი შედეგი მემკვიდრეობის შესახებ არსებულ წესისა. ეს წესი უნდა გაუქმდეს და მის მაღლად ყველას თანასწორი უფლება მიეცეს მიწის მფლობელობაზე, როდესაც მიწა იქნება საზოგადო და იმაზე ყველას თანაბარი უფლება ექნება, მაშინ ის უკეთესად იქმნება შემუშავებული, რადგანაც ყველა მთელი ძალა უფრო ერთგულად და მუყაითად მოეკიდება საქმეს, ვიდრე ახლანდელი დაქირავებული მუშები.

მიწის საზოგადოების ხელში გადასვლის შემდეგ, სოციალისტების სწავლით, უნდა საზოგადოებისვე ხელში გადავიდეს ყველა საწარმოო საშუალებანი და ამასთანავე მოისპოს მემკვიდრეობა, რომლის არსებობაც შეუძლებელია კერძო საკუთრების გაუქმების შემდეგ.

რაკი მიწა, ყველა საწარმოო იარაღები და საშუალებანი დაეკუთნება მთელს საზოგადოებას, აუცილებლად განხორციელდება სოციალიზმის მესამე მოთხოვნილებაც: წარმოების საამხანაგო ორგანიზაცია.

საზოგადოების ეკონომიური ორგანიზაციის ცვლილებასთან ერდთად მოხდება სრული ცვლილება მთელ სახელმწიფო წესწყობილებაში.

ახალი სახელმწიფო იქნება რესპუბლიკანური. ამ სახელმწიფოში ყველას თანაბარი უფლება ექნება.

II

ახლა განვიხილოთ, როგორ უნდა შეხედოს ქრისტიანობამ სოციალიზმს.

სოციალიზმი მთლად მატერიალისტური სწავლაა. მას არ სწამს უზენაესი არსება, იგი ქადაგობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უღვთოებას. სოციალისტურ იდეალებში სარწმუნოებას ადგილი არა აქვს დათმობილი. ეს ადგილი უკავია თაყვანისცემას მთელ კაცობრიობის წინაშე. განახლებული, სოციალისტიურად მოწყობილი საზოგადოება—აი ის უმაღლესი არსება, რომელიც სოციალისტებს სწამთ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ბევრი რამაა საზოგადო სოციალიზმის და ქრისტიანობის შორის.

ყოვლის უპირველეს ამ მგზავსებას ჩვენა ვხედავთ შეხედულებაში ქვეყნიერს ცხოვრებაზე. ქრისტიანობა, სოციალიზმივით, ხედავს, რომ კაცი ტანჯვა-მწუხარებაში იმყოფება. მთელი ახალი აღთქმა ამბობს, რომ დედამიწაზე უსამართლოებაა გბატონებული. მთელი ქრისტიანული სწავლა მიმართულია იმისკენ, რომ უჩვენოს ხალხს საშუალება გამოვიდეს გაჭირვებულს მდგომარეობიდან.

ქრისტიანობაც საკუთრებას უყურებს, როგორც ბოროტებას. „უადვილეს არს,—სთქვა ქრისტემ,—აქლემი განსვლად ხვრელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესვლად სასუფეველსა ცათასა (მათ. 19, 24)". ქრისტიანობა უბრძანებს მდიდრებს უარ ჰყონ საკუთრება: „წარვედ,—უთხრა ქრისტემ ვინმე მდიდარს,—და განჰყიდე მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა (მათ. 19, 21)". იესო ქრისტეს არ ჰქონდა საკუთრება. და მერე შეუდგენ ქრისტეს.

ქრისტეს მოძღვრებამ კერძო საკუთრების უარის ყოფის შესახებ ნაყოფი ადრე გამოიღო.—მაშინ, როდესაც დაარსდა პირველი ქრისტიანული საზოგადოება. „მრავალ მორწმუნეთ ჰქონდათ გული და გონება ერთი; და არცა ერთმან ვინ სთქვა [illegible]გები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათ ზედ. არა ვინ იყო ნაკლულევან მათ შორის, რამეთუ ყოველნი, რომელნი იგი მფლობელ იყვნენ დაბნებისა, კინა სახლთებისა და ყოველისა მონაგებისა, განეიყიდეს და განუყოფდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რა უსმდა (სქ. მოც. II. 44—45; IV, 32, 44)".

თანასწორობი ძმობა და თავისუფლების იდეები—ახალ აღთქმის იდეებია; ამ იდეებზეა დაფუძნებული მთელი ქრისტიანობა.

პირველად ქრისტემა სთქვა, რომ ყველა ხალხი თანაბარია: ყველანი იშვენ ერთის დედამისაგან, ყველამ ერთნაირად გადუხვია სიმართლეს, ყველასთვის საჭიროა ხსნა.

ძმობა—ეს სიტყვა ძვირფასი და ცნობილია ყველა ქრისტიანისთვის. ძმობის იდეას ქრისტიანობაში საფუძველად აქვს სიყვარული; ქრისტიანობა თხოულობს მოყვისათვის თავის განწირვას.

ესევე უნდა ითქვას თავისუფლების შესახებ. ქრისტიანობა სრულს თავისუფლებას ღაღადებს. ქრისტიანობის ნამდვილი იდეალი არის ხალხთა თავისუფალი კავშირი. როგორც სოციალიზმის, ისე ქრისტიანობის სურვილია გაახორციელოს თავისუფლების იდეალი და შეხსნას ხალხს მონობის ბორკილი მარტო ფაქტიურად კი არა, არამედ იურიდიულადაც.

ქრისტიანობის შეხედულობით, არც ერთ არსებულ სახელმწიფოს მმართველობის ფორმა არაა იდეალური; მაინც იმ იდეალთან ახლო დგას დესპოტიური თვითმპყრობელობა კი არა, არამედ დემოკრატიული რესპუბლიკა, თავისუფალი კავშირი თვითმმართველ საზოგადოებისა. („სიტყვა")

მცირე შენიშვნა.

(გულაშის საბ. სამდ. დადგენილობისა გამო)

> მამამ ანდერძად დამიგდო: განურჩევლად ყველას ვაამო, სახლის პატრონს, სადაც ვიცხოვრებ, უფროს, რომელთანაც ვიმსახურებ, მისის ტანისამოსის მწმედ ფარეშს, მეკარეს, მეეზოვეს, უბედურების ასაცილებლად მეეზოვის ძადლს, რომ არ მიღრინოს.
>
> მალჩალინი.

† გაზეთ „შრომის" 89 №-ში არის მოთავსებული კულაშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრების დადგენილებები, რომლებიც საკმაო არის ინსინუაციებით და მოახლური პირმოთნეობით, უეჭველად ვისამე გულის მოსაგებად. კულაშელ მღვდლებს სხვათა და სხვათა ბრძნულ და მომწიფებულ, დროის შესაფერ დადგენილებათა შორის, შემდეგიც დაუდგენიათ: „გამოეცხადოს კულაშის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების მხრით უგულითადესი მადლობა ეპისკოპოზს ლეონიდს მამაცურ და მედგარ ბრძოლისათვის ივერიის ეკკლესიისათვის ავტოკეფალიის მინიჭებისა გამო?" (ნუ თუ კულაშელმა მღვდლებმა კიდევაც მიინიჭეს?).

ნურავინ იფიქრებს, რომ ქართული ეკლესიისათვის ავტოკეფალობისათვის ბრძოლაში, ლეონიდ ეპისკოპოზის ღვაწლს ვამცირებდეთ. არა, ამისაგან ღმერთმა დაგვიფაროს! მაგრამ ამავე დროს არ შეგიძლია ზიზღით არ აღვნიშნოთ კულაშელი მამების ღა მათი ლიდერის დეკ. ერ. კანდელაკის მოლჩალინისებური ლაქიობა, თავის უფროსის გულის მოსაგებად. მგონი რომ არც ეპის. ლეონიდი დაურჩეს ამაზედ მადლიერი; რადგანაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისათვის თუ ვინმე იბრძვის, მგონი, მთელი საქართველოს სამღვდელოება უფრო მედგრათ და თავგამოდებულად უნდა იბრძოდეს, რაც მთელი ქვეყნიერობისათვისაც ცხადი შეიქმნა, ვინემ კერძო პირი, თუნდა ეპისკოპოსიც. მაგრამ კულაშელი მოლჩალინები უამისოდ ხომ თავს ვერ გამოიჩენდენ და ვერც არავინ შეიტყობდა ამ ქვეყნად მათ არსებობას? მოგეხსენებათ ესრედ წოდებული „მანია გრანდიოზა“—თავ-განდიდების სენი, რას არ ჩაადენინებს ადამიანს. ბერძენს გეროსტრატს ხომ დიდებული ეფესოს ტაძარი დაუწვევინა, რა არის და თავის პაწაწკინტელი სულელი ვინაობა შთამომავლობისათვის გადაეცა!

კულაშელი მღვდლები რიხიანათა ბრძანებენ: „გამოეცხადოს გაფრთხიდება იმერეთის სამღვდელოების რწმუნებულთა, რათა მათ იმოქმედონ ეპისკოპოს ლეონიდთან ერთად და არა პაატიულათ, რადგან ყოველგვარ მათგან წამოყენებულ „პირად კინკლაობას“ შეუძლიან არა სასურველ წერტილამდის მიიყვანოს სურვილი სამღვდელოების ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ: გამოეცხადოს ზიზღი ყველა იმათ, რომელთაც სამღვდელოების შარშანდელ კრებაზე ქუთაისში იმდენი კადნიერება გამოიჩინეს, რომ ცუდის მხრით მოიხსენიეს ეპის. ლეონიდი“...

ნუ თუ კულაშელი მღვდლები აგეთი შოვიკანური ჭახირი ნეტარ ხსენებულ დონკიხოტის ქარის წისქვილებთან ბრძოლას არ გაგონებს მკითხველო? რაში აფრთხილებენ კულაშელი მამები სამღვდელოების რწმუნებულთან? ფაქტზე მიგვითითონ, რომელშიც მათი პირადი კინკლაობა იხატებოდეს, თორემ უფაქტოდ ამ დროში, არამც თუ უსუსურების, არამედ ავტორიტეტებისაც არავის რამე სჯერა კულაშელ წვეროსან ლიბერალებს შემდეგიც დაუდგენიათ: „სამუდამოდ მოისპოს ხალხისაგან ძალ-მომრეობით*) ფულის გადახდევინება, როგორც „დრამა“ სამღვდელოების სასარგებლოდ“. კარგი და პატიოსანი, ამაზე უკეთესი რა იქნება, რომ ადამიანმა, ისიც მღვდელ-მსახურმა, თავის გულისათვის სხვა არავინ შეაწუხოს! მაგრამ ამასთანავე, რატომ იმის წამალიც არ გვიჩვენეს კულაშელმა ოქროპირებმა, რომ უკუქმოთ და უპუროთ, როგორ იცხოვრონ იმ მღვდლებმა, რომელთაც არავითარი ჯამაგირი არ აქვთ დანიშნული? მაძღარს მღვდელს მშიერი დიაკვანი მაძღარი ეგონა, ისრე ხომ არ მოგდით წმინდა მამებო?

კმარა, რომელი ერთი უნდა ვიტიროთ, კულაშელი მამების ფარისეველობა და პირფშვრობა, თუ ყოვლის სიკეთის მტერი სასულიერო წოდებაში მაგრად ფეხმოკიდებული მექრთამეობა! დასასრულ, კულაშელ ოქროპირების ზნეობა პატიოს. ნების აღსანიშნავად შემდეგსაც მოვიყვან: მიენდოს, ბრძანებენ, მომავალ წლიდანაც სახელმწიფო ჯამაგირის გამოტანა და დარიგება დეკ. ერმალოზ კანდელაკს“. როდის დადგება ჩვენი სამღვდელოებისთვის, ის ნეტარი დრო. როდესაც იგი, მცირე წლოვანი ბავშვივით, სააპეკუნო აღარ იქმნება! რას ვაი ვაგლახით სამღვდელოება, თვითოეულის კრებულის სახელობაზედ, კრედიტის გახსნას მოესწრო და მაინც არ იქმნა და აღარ ეშვება. . . . . ჯამაგირების აღება გვარიან შემოსავლიან ბოსტანს შეადგენს ბლაღოჩინებისთვისაო, და ალბად ისინიც ამტომ ეწევიან, ასრე ერთგულად, ასეთ მძიმე უანგარო შრომას?! რადგანაც გაეყიდოს გატეხილი სჯობია, პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ დეკ. ე. კანდელაკს არა მცირედი ღვაწლი და

*) ბლაღოჩინად ყოფილი ერმალოზ კანდელაკი ეღირსა საღმრთო სჯულის მასწავლებლობას ქუთაისის გიმნაზიაში და მრევლის მღვდლობას თავი დაანება. დღეს მისთვის დრამის ფული აღარ არის საკმარო. წინეთ „საკურთხებიდან“ ტაბლებიც მიჰქონდა და დღეს, რადგან მას დრამა აღარ მიეცემა თავის გამოსაჩენად აცხადებს, რომ დრამის ფულების მოკრეფა მოისპოსო! მისი საბლაღოჩინო სამღვდელოებაც, რომელსაც არ ესმის თავისი ნაბლაღოჩინარის ვერაგული განზრახვა და დიდ-კაცების ლაქიაობა ხელს აწერენ მისგან შეთხზულ დადგენილებაზე. რომლის შინაარსი სრულებით არ ესმისთ. დიაღ, ასეთი ცბიერობით გააქვს თავისი-ანგარები ზოგიერთ ქარაფშუტა ბლაღოჩინებს!..

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამსახური მიუძღვის სამღვდელოების "გამოლჩანინებაში". ერთი რამ კინალამ დამავიწყდა! მამა ერმალოზი იმერეთის სამღვდელოებამ ქუთ. სასულიერო სემინარიის წევრად დანიშნა. ამ შემთხვევის გამო თავბრუ დაეხვა და მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, გაიქცა და ეს ამბავი გაბრიელ ეპის. ახარა. მან უთხრა. »რა გიხარია, ბოვში ხომ არა ხარ, როცა რამე გააკეთო მაშინ იმხიარულეო" და სხვა. გააკეთა კი არა, სემენარიის რექტორმა, რიღაცას გამო, ერთი მაგარი სიტყვა უთხრა და ერმალოზს კინალამ შიშით გული არ გაუსქდა! ის იყო და ის, იმ დღის შემდეგ მისი თვალი სემინარიაში აღარავის უნახავს. აი, აგეთი მხდალი, ლაჩარი, უფროსის ფეხის მლოკავი, ჩანჩურა და მედროვე სხვებს უკიეინებს და ტყუილა უბრალოთ საყვედურებს უცხადებს. კიდევ ერთი რამ მ. ერმალოზის დასახსიათებლად. როდესაც ყოველის შემძლე ვოსტოროგოი ჩვენში ბრძანებლობდა, მამა ერმალოზიც საქვეყნოდ გაიძახოდა: „ვოსტორგოვისთანა ყოველ ნაირად განათლებული კაცი სასულიერო წოდებაში არ მოიძებნებაო". ნეტავი ყოველმხრივ განათლება ქართველთა სიძულვილი და მტრობა ხომ არ ეგონა მ. ე. ბლაღოჩინს. მამაო ერმალოზ, ერთს გირჩევ ძმურად, თავის ქერქში დადექით, როგორც ძველი (წარღვნის წინა დროინდელი) აღთქმის და მიმართულების კაცი. ახლანდელ დროში აგრე ადვილათ, თქვენ რომა გგონიათ, ვეღარავის, მოაბუუებთ და ვერც თვალს აუხვევთ! ამ ხანად ეს იკმარეთ და მერე სხვა იქნება. („სიტყვა")

ჟურნალ-გაზეთებიდან

რა ხდება სტავროპოლის გუბერნიაში? როდესაც ალიხანოვ-ავარსკი გუბერნიორი და მთინაირი „გმირები" მთელ იმერეთს ანადგურებდნენ, როდესაც გენ. ორლოვი ბალტიის მხარეს შეესია, ხალხს მუსრს ავლებდა და სოფლებში ქვას-ქვაზე არ არჩენდა, ამნაირ მოქმედების გასამართლებლათ მთავრობა იძახდა, „ინოროდცები" ხელმწიფის წინააღმდეგ ბუნტობენო. რენენკაფი ციმბირს „ამშვიდებდა" და მიზეზათ ის მოყავდა, რომ პოლიტიკური დამნაშავე „ეიდები" ქვეყანას აბუნტებენო. ამჟამათ იმერეთის, ბალტიის მხარის და ციმბირის ამბები ხდება წმინდა წყლის რუსებით, შეურეველ „მოსკალებით" დასახლებულ გუბერნიაში—სტავროპოლის გუბ. აი რას იწერება „ნოვი პუტ"-ის კორესპონდენტი: „სტავროპოლში განუწყვეტლივ იკრიბებიან ჯარები; ქალაქში სამხედრო ბანაკის სახე მიიღო". სოფლებში თურმე დამსჯელი რაზმები დაუარეზანიათ. ერთ ამ რაზმთაგანის „საგმირო საქმეს„ ამნაირათ აგვიწერს კორესპონდენტი: „როცა დამსჯელი ექსპედიცია სოფ. კონსტანტინოვკაში მოვიდა, რაზმის უფროსმა გლეხებს მოსთხოვა: „მომეცით ხელში აგიტატორები და აგრარულ უწესოების მოთავენი". გლეხებმა ეს ბრძანება განიხილეს და გადასწყვიტეს: „ჯერ ერთი, აგიტატორების მიცემა ხომ გამცემლობა იქნებაო, მეორე ის, რომ აგიტატორებს ბოროტება არა ჩაუდენიათ რაო. ამ მოსაზრებით უარი შეუთვალეს ბრძანების ასრულებაზე. მაშინ რაზმს უბრძანეს, ზარბაზნები დაუშინეთ სოფელსო, ზარბაზნები აღრიალდა... ალიაქოთი ატყდა... თავზარდაცემულმა გლეხებმა სახლ-კარს თავი მიანებეს და მინდორში გაცვივდენ; ზოგიერთი გამოვარდებოდა თუ-არა სახლიდან, მაშინვე მკვდარი დაეცემოდა. აქა-იქ ეყარა გასისხლიანებული გვამები ბავშვების, დედა,კაცების და მოხუცებულებისა; მალე აპრიალდა გლეხების ქოხები და სოფელს ზემოთ ავარდა ბოლი. თითქმის მთელი სოფელი გაოხრდა, ძალიან ბევრი მოკლული და დაჭრილი".

ეხლა რაღას მოიმიზეზებს მთავრობა? ეხლაც იტყვის, „ინოროდცები" ბუნტობენო? ეხლაც იტყვის, „ეიდების" ბრალიაო? მისდა სამწუხაროთ, სტავროპოლის გუბერნიაში იშვიათად შეხვდება ვინმე უცხო ტომის კაცს, ან „ეიდს". ვიმეორებთ, ეს გუბერნია სულ წმინდა რუსებით არის დასახლებული. რა პასუხს გასცემენ დამსჯელ რაზმის უფროსები სალდათებს, როდესაც ისინი იკითხავენ, რა ბრალი მიუძღვით ამ საწყალ გლეხებს, ეგრე უწყალოთ რომ ვეპყრობითო?

* * *

მოსწავლე ახალგაზდების ტაქტიკა. საუნივერსიტეტო ქალაქებში ნელ-ნელა გროვდება მოსწავლე ახალგაზდობა. რუსეთის მოსწავლე ახალგაზდობა სამართლიანათ ითვლება პროლეტარიატთან ერთად ყველაზე ცოცხალ, ყველაზე ფხიზელ, ყველაზე რევოლიუციონურ ელემენტათ. მას ტყუილათ არ უწოდებენ „საზოგადო ცხოვრების ბარომეტრს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის რევოლიუციაში უნივერსიტეტს დიდი სამსახური მიუძღვის და ყველას იმედი აქვს, რომ სტუდენტობა არ უღალატებს თავის ტრადიციას. მართლაც ეს მოლოდინი ღღითი-ღღე მართდება. რამდენათაც უფრო ირკვევა სტუდენტების სულის კვეთება, მით უფრო მტკიცდება, რომ სტუდენტები ისევ ის არიან რაც იყვნენ. ტაქტიკა, რომელსაც გარკვევით და იშვიათი ერთსულოვნებით ადგება სტუდენტობა ყველა ქალაქებში, საუკეთესოდ უნდა ჩითვალოს. ეს ის ტაქტიკაა, რომელიც წამოაყენა „ისკრამ" შარშან გაზაფხულზე. ეს ტაქტიკა იმ აზრზეა აშენებული, რომ სტუდენტების გაფიცვებმა დრო მოიკლა, რო ეს ბრძოლის იარაღი დაძველდა და გამოსადეგი აღარ არის. პოლიტიკური მომენტი მოითხოვს, რომ დიდ ქალაქებში რაც შეიძლება მეტმა მოსწავლე ახალგაზდობამ მოიყაროს თავი. ამისათვის კი საჭიროა, რომ უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნას. დაეთმოს თუ არა უნივერსიტეტის დარბაზები ხალხს მიტინგების გასამართავად? ამ კითხვაზე ყველგან ამნაირათ უპასუხებენ: ჯერ-ჯერობით მიტინგების გამართვა უნივერსიტეტების ეხლავე დაკეტვას გამოიწვევს, ამიტომ სასურველია ჯერ-ჯერობით ცოტა თავი შევიკავოთ; რაწამს პოლიტიკური მომენტი მოითხოვს უნივერსიტეტში სახალხო მიტინგების გამართვას, სტუდენტობა თავის ვალს არ უღალატებსო. მეცადინეობის შესახებ სტუდენტობა იმ აზრს ადგია, ვისაც სურს და შეუძლიან, იმეცადინოს, არავინ მას ხელს არ შეუშლისო. ამნაირი აზრები მეფობს ამ ჟამად სტუდენტობაში. ამნაირი რეზოლიუციები იმარჯვებს სტუდენტების ყრილობებზე. პეტერბურგის უნივერსიტეტში სოც.-დემოკრატებისაგან წამოყენებულ რეზოლიუციას 1573 ხმიდან 1203 ხმა ამოსცლია; შრომის ჯგუფისაგან წამოყენებულ რეზოლიუციას კი 141. სოც.-დემოკ. რეზოლიუციას გაუმარჯვნია აგრეთვე მოსკოვის უნივერსიტეტში, პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში, ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში და ეკატერინოსლავის სამთო ინსტიტუტში. ის ერთსულოვნება, რომელიც სტუდენტობამ გამოიჩინა ამ ტაქტიკის მიღებაში, ამტკიცებს, რა სწორი ყოფილა სოც.-დემოკრატებისაგან წამოყენებული ტაქტიკა.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** გზათა სამინისტროს განკარგულებით თფილისის ტეხნიკური სასწავლებელი დროებით დაიხურა და ყველა ძველი მოწაფეები დაითხოვეს. გუშინწინ, ათ სექტემბერს სასწავლებელი გაეხრიკა პოლიციამ და ორი მოწაფე შელიცკი და მიტიაგინი დააპატიმრა.

*** სასულიერო სემანარიაში გუშინ უკვე დაიწყო სწავლა. სწავლის წინ პარაკლისი გადაიხადეს, რომლის შემდეგ რეკტორმა სიტყვა წარმოსთქვა. წრეულს პირველ კლასში 58 კაცი მიიღეს. მე-6 კლასში სულ 3 კაცია. სწავლის დასრულების მოწმობა მისცეს მ. კინწურაშვილს.

*** მოსკოვის პერიოდულ გამოცემების ყველა რედაქტორებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ ისინი არ გამოაქვეყნებენ იმ აფიცრების სახელებს, რომლებიც სამხედრო-საველე სასამართლოების წევრები არიან.

*** მთავრობის წრეებში ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ საარჩევნო წესი უნდა შეიცვალოს. უნდა დაწესდეს ან ცენზიანი (სიმდიდრის მიხედვით) არჩევნები, ან საყოველთაო საარჩევნო უფლება. ბევრივე იმ აზრის მომხრენი არიან, რომ სოფელში ორხარისხიანი არჩევნები უნდა დაწესდეს, ქალაქებში კი პირდაპირი. შინაგან საქმეთა სამინისტროში მზადდება პროექტები ამ წესების შესახებ, ჯერ კი გადაწყვეტილი არა არის—რა.

*** ლატიშურ გაზეთში გამოქვეყნებულია მასწავლებელთა საზოგადოების მიერ შეკრებილი ცნობები. დამსჯელ რაზმებს დაუხვრეტია 29 ლატიშელი მასწავლებელი, ჩამოუხრჩვიათ—5, კატორგაში გაუგზავნიათ—1, გაუროზგიათ—42, ციხეში ჩაუმწყვდევიათ—94, სამშობლოდან—144; დახვრეტილებში ერთს დაარტყეს 40 მათრახი მეორეს—240. სულ 1800 მასწავლებლიდან 362-მა კაცმა მიიღო სასჯელი.

*** **შვეიცარიის მთავრობამ** უარი შემოუთვალა კადეტების ც. კ.-ტს შვეიცარიის საზღვრებში პარტიულ სიეზდის გამართვაზე, პოლიტიკურ საერთაშორისო მოსაზრებით. დაწვრილებით პასუხში შვეიცარიის მთავრობა აღნიშნავს, რომ შვეიცარიის საზოგადოება არ თანაუგრძნობს არც იმ საბრძოლველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასშეალებებს, რომლებსაც ხმარობენ რუსეთში პოლიტიკური პარტიები, არც იმ ანარხიას, რომელიც გამეფებულია რუსეთში. მთავრობა შიშობს, ვაი თუ ყველა გავლენიან ოპოზიციონურ პარტიის სიეზდის ნების დართვამ სტოკჰოლმში საერთაშორისო გაბეწვავება გამოიწვიოსო.

*** 1 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზარელი ამბები მიიღო სტავროპოლის გუბერნიიდან. დებეშების შინაარსს საიდუმლოთ ინახავენ. მხოლოდ ის კი გამოაშკარავდა, რომ სტროპოლის გუბერ. დაჭერილია პატარ-პატარა დამსჯელ რაზმებით, რომ გადამწვარია და კიდევაც სწვავენ რამდენსამე დიდ სოფელს, რომლებსაც არტილერიით წაუკიდეს ცეცხლი. („გრიგალი")

*** გაზეთების სიტყვით სტოლიპინის სახლში მომხდარ აფეთქების საქმეზე დაიჭირეს 12 კაცი. ყველა ისინი გამოტყდენ მონაწილეობის მიღებაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო ებრაელის ქალი, რომელიც უარყოფდა წინეთ მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ბოლოს სხვებმა დაადეს ხელი, როგორც ხელმძღვანელს.

*** ** კურსკის** თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ თავად-აზნაურთა სიიდან გამორიცხა დუმის ყოფილი დეპუტატები ფონ-რუტცენი, შირკოვი, თავ. დოლგორუკოვი და იანუშკინი, რადგან მათ ვიბორგის მანიფესტზე მოაწერეს ხელი.

*** **ხარბინის** ქალაქის სატუსაღოდან გაიქცენ კალანდაძე და გეორგაძე, რომელთაც უვადო კატორღა ქონდათ გადაწყვეტილი.

*** ექსარხოსის კანცელარიის მმართველმა ტრელინმა ქალაღდი შეიტანა სამსახურიდან გადაყენების შესახებ. ტრელინი ამ ადგილზე ქუთაისის სასულიერო სემინარიიდან გადმოიყვანეს, სადაც ის უფროს კლასებში ღვთის-მეტყველებას ასწავლიდა.

*** ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების საგანგებო კრებაზ იმერეთის ეპისკოსს დაუნიშნავს სამს ოკტომბერს, გადასაწყვეტად იმ კითხვის გამო უნდა იარსებოს იმერეთის ეპარქიის საქალებო სასწავლებელმა თუ არა. ეს კითხვა სამღვდელოების წარმომადგენლების კრებას ორ-სამ გზით აქვს გარდაწყვეტილი და რაღა საჭირო იყო ამისათვის კიდევ კრების მოხდენა არ ვიცით. ამას წინეთ მთელს სამღვდელოებას შეეკითხენ და ამ სასწავლებლის შენახვაზე ყველამ უარი განაცხადა პროგრამის შეუცვლელად. ეხლა, ამბობენ, პროგრამა შეცვალესო, მაგრამ ეს მართალი არ არის და სამღვდელოების მოტყუებაც საძნელოა...

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საქრწმუნოებასა და კეთილმზნეობაზე.

რა არის ყოველივეზე უდიდესი ამ ქვეყანაზე?

(გაგრძელება*)

საყვარულის თვისება.

შემდეგ საყვარულის შედარებისა სიტყვა ხელოვნებასთან, წინასწარმეტყველებასთან, საიდუმლოებასთან, ცოდნასთან და საერწმუნოებასთან, მოც. სამს მოკლე მუხლებში გვიხატავს ამ უდიდესი კეთილისა შინაარსსა. იგი გვიჩვენებს ჩვენ, რომ საყვარული რთულია, როგორც რთულია მზის სინათლის შუქი; ჩვენ ვიცით, რომ შუშის პრიზმა, მიიღებს რა მზის სხივებისა სინათლესა, ჰყოფს მას სხვა და სხვა ფერებად: წითლად, ცისფრად, ყვითლად და მწვანედ—ყველა ცისარტყელის ფერებად. მსგავსსავე ვხედავთ აქ. მოციქული ატარებს საყვარულის სულიერსა სხივსა თავის ჭკუის პრიზმაში—და სხივი გამოდის იქიდგან გაყოფილი თავთავის ნაწილებად. ამ ცოტა სიტყვებში ჩვენს წინ არის სპეკტრი საყვარულისა. შევხედოთ მისსა ნაწილებსა. მოც. პავლე გვიხატავს ჩვენ საყვარულისა სურათსა ცხრა ფერადათ:

მოთმინება... „საყვარული სულ-გრძელ არს."
მოწყალება... „და ტკბილ"
დიდსულოვნება... „საყვარულსა არა შურან"
სიმდაბლე... „საყვარული არა მაღლობინ, არა განლაღნის"
გაზდილობა... „არა სარცხვენელ იქმნის"
უანგარობა... „არა ეძიებს თავისასა"
სიმშვიდე... „არა განრისხნის"
კეთილსულოვნება... „არად შერაცხის ბოროტი"

*) იხ. „მწყემსი" № 15—16, 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიწრფელე... „არა უხარის სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა“

მოთმინება, მოწყალება, დიდსულოვნება, სიმდაბლე, გაზდილობა, უანგარობა, სიმშვიდე, კეთილსულოვნება, სიწრფელე—ასეთია ცალცალკე ნაწილები სრული ადამიანისა. თქვენ ხედავთ რომ ყველა მათ აქვსთ სახეში ჩვენი აწმყო ცხოვრება, ჩვენი ერთმანეთში დამოკიდებულება. შეეხებიან დღეევანდელსა და არა უშორეს ხვალისა დღისა, და არა უცნობელსა ჩვენგნით ჯერეთ მომავალ საუკუნოსა. ჩვენ ბევრი გვესმის ღვთისა სიყვარულზე: ქრისტე აბმობს ბევრს ხალხის სიყვარულზედაც. ჩვენ უმეტესად ვცდილობთ შერიგებისათვის ცასთან, ხოლო იესო ქრისტემ გვიანდერძა კიდევ მეტი, დავიცვათ მშვიდობა ურთიერთ შორის. ქრისტიანული სარწმუნოება (религія) არა არს უცხო, გარეული ჩვენთვის; ესაა ქრისტეს სულით ჩვენ შორის შექმნილი კურთხევა ჩვენი დღიური ცხოვრებისა, შეძენა აწმყო ქვეყნიერებაში საუკუნოის ხატისა. ყოველივეზე უდიდესი კეთილი არ არის ჩვენთვის გარესკნელი ნივთი; ესაა სიმაღლე, ესაა ცხოვრება ჩვენს შორის, ესაა განათლება ყოველთა ჩვენთა დაუბოლოვებელ სიტყვათა და მოქმედებათა, რისგანაც ერთდება ჩვენი ქვეყნიური არსება.

განვიხილოთ მოკლედ ცალცალკე ნაწილები სიყვარულისა.

სიყვარული მოთმინება არს. ეს მისი მიუცილებელი თვისებაა, მას არ შეუძლია იყოს სხვანაირი: ის „სულ გრძელ არს“, ყოველთვის მზად არის პასუხი გასცეს პირველსავე მოწოდებაზე, მაგრამ მას შეუძლია მოცდა, ის მომთმენია, სიმშვიდე მისი ტანსაცმელია; წყნარი გული—მისი მორთულობაა... ის ყველაფერს ითმენს, ყველაფერს ერწმუნება, ყველაფრის იმედი აქვს. იმას საკვირველი გამჭრიახობა აქვს, ამისათვის იმას შეუძლია მოთმენა. მოწყალება, ეს მომქმედი სიყვარულია. შეგიმჩნევიათ თქვენ თუ რამდენად სავსეა კეთილი საქმითა ქრისტეს ცხოვრება? მან თავისი სიცოცხლე სულ ერთიანად გაატარა სამოწყალო საქმეებში. გადაათვალიერეთ სახარება და თქვენ შეხედავთ, რომ უმეტესი ნაწილი თავისი ცხოვრებისა ქრისტემ მოიხმარა მასზედ, რომ გაებედნიერებია ხალხი. ბედნიერებაზე მაღლა სდგას ერთი—სიშვიდე; ადამიანის გაწმედა ჩვენს უფლებაში არაა, მაგრამ ბედნიერება ჩვენთა მოყვასთა და ამისათვის ჩვენი საკუთარიც, ღმერთმა შესამჩნევლად მოგვცა ჩვენ ხელში.

„საუკეთესო, რაიცა კაცს შეუძლია ქმნას თავის ზეციური მამისათვის“, ამბობს ვიღაცა, „ესაა მოწყალება მისი დანარჩენი შვილებისადმი“. რისთვის არის ჩვენ შორის ასე ცოტა მოწყალება თავის მოყვრისადმი? ამაში ხომ ასე ძრიელ საჭიროებს ქვეყნიერება? შემთხვევა კეთილი საქმის ჩადენისა ხომ ჩნდება ყოველ წამში, და ეს ასე ადვილია, ასე ნაბდვილი და სასარგელო. როგორ უხვად საჩუქრდება მოწყალება! ამ ქვეყნად არ არის ისეთი მართალი, ისეთი უხვი—პატიოსანი მევალე, როგორიცაა სიყვარული. „სიყვარული არა სადა დაყვარდებას“. სიყვარულშია სარგებელიც, ბედნიერებაც და ცხოვრებაც. „სიყვარული“, ამბობს პოეტი, „არის მომქმედი ძალა სიცოცხლისა“.

„სადაც სიყვარულია ღმერთიც იქ სუფევს“. სიყვარულში მყოფი იმყოფება ღმერთთან, ღმერთია სიყვარული. ამისათვის იქმოდეთ სიყვარულისა საქმეებსა. იქმოდეთ მათ განურჩევლად, უანგარიშოდ, დაუყონებლივ. აძლევდეთ სიუხვითა სიყვარულსა ღარიბებსა—ეს ხომ ადვილი საქმეა; ასაჩუქრებდეთ მითი მდიდრებსა—ისინი სხვებზე უფრო საჭიროებენ მაშინ; გიყვარდესთ პირველად თქვენნი სწორნი, რაიცა ხშირად არ არის ადვილი. ჩვენ, შეიძლება, სულ ცოტას ვაკეთებდეთ მათთვის, ვისთანაც ჩვენ გაცხდება ცხოვრება. იცხოვრეთ სხვისი სიხარულითა; არ გაუშვათ არც ერთი შემთხვევა, რომ არ მოუტანოთ მათ ბედნიერება. ასეთი მუდმივ მზად ყოფნა სხვის შესაწყვეტელად შეადგენ ერთს უმშვენიერესსა სიყვარულსა [illegible] ლობასა. „მე ვცხოვრობ მხოლოდ ერ[illegible] 29 [illegible] ჩემთვის ამ გზით შესაძლოა— აქ კეთილი სიტყვა, იქ კეთილი საქმე – არ გაუშვებ ამ შეძლებას, რადგან მეორეთ არ შემხვდება გავლა ამ გზითა“.

დიდსულოვნება. „სიყვარულსა არა შურნ“; იგი მშვიდია, აღუშფოთებელი, ვაკეთებთ რა კეთილსა, ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ სხვებიც მასვე აკეთებენ, და აკეთებენ, შეიძლება ჩვენზედ უკეთეს. ნუ შეგშურდებათ მათთვის. შური, ესაა არა კეთილის სურვილი მათთვის, ვინც მოქმედობს ჩვენთან ერთ მხარეზე. როგორ ცუდად გვფარავს ჩვენ ამა სრულიად არა ქრისტიანულის გრძნობისაგან ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა ქრისტეს გულისათვის! იქმოდეთ კეთილსა საქმესა, დაიცევით თავი—ამ ჩვენ უღირს მიდრეკილებათაგან, ივარჯიშეთ დიდსულოვნობაში, რომელიც რჩება ხოლმე სხვების უკან. ამ ერთისაკენ უნდა მიშურება—ქრისტიანული კეთილისადმი, რომელსაც „არა შურნ“.

ისწავლეთ რა ყველა ესენი, იმეცადინეთ სიმდაბლისათვის—დაბეჭდეთ თქვენი ბაგენი და დაივწყეთ თავიანთ კეთილ საქმეებზე. თუ გამოიჩინეთ მოწყალება, გულოვნება, მოფერება, დარჩეს ყველა ესენი დაფარულად. თუ თქვენმა სიყვარულმა გაანათა აქ თუ იქ, დაფარეთ კიდევ იგი ბნელში. ჭეშმარიტი სიყვარული ემალება თავისს თავსა, მას ეშინია თავის ქმაყოფილებისა.

„იგი არა მაღლოინ, არა განლაღნის“.

პირველ შეხედვაზე გვეჩვენება საუცხოვოთ შეხვედრა გაზდილობისა უმაღლესი კეთილისა მეხუთე თვისებად. ეს არის სიყვარული საერთო ცხოვრებაში, სიყვარული კეთილთა ზნეთა მიმართ. „სიყვარული არა სარცხვენელ იქმნების“. ვიღაცამ ზდილობას დაარქვა წვრილმანთა სიყვარული. მთელი სიდიდმლო ჭეშმარიტი გაზდილობისა ანუ თავმდაბლობისა მასში მდგომარეობს, რომ გქონდეს მოსიყვარულე გული. სიყვარულსა არ შეუძლია იქმნეს გაუზდელად. შეიძლება შეიყვანო სრულიად გაუნათლებელი ადამიანი ძრიელ განათლებულ საზოგადოებაში და თუ მის გულში იმალება საუნჯე სიყვარულისა, ის არ დაარღვევს ზდილობის კანონსა, მისთვის რომ არ შეუძლია იყოს უზრდელად. კარლეილმა სთქვა რობერს ბერნსზე, რომ მთელს ევროპაში მასზე ჭეშმარიტი დეენტლმენი არ მოიძებნებაო.

რითი, ბატონეთი ეს პოეტი გლეხი? მითი, რომ მისი თბილი ფული იცავდა მთელს ღვთის ქმნილებასა: და მინდვრის თაგვი გადამრბენი მისი გუთნის წინ და მოზარდე მისი სახლის ახლოს მყრალი ყავილი—ყველა ესეები იყო საგნად მისი მოსიყვარულე ყურადღებისა. აი სათავე ამა კაცისა ჯილდოთა ყველა უკეთესთა გარეგანთა მოქცევათა. უბრალო მიწის მუშა—პოეტი, ქვემო შოტლანდიისა ასეთი მოწმობით პოვილობდა თავისუფალ მიღებას ამორჩეულ სასტუმროში და არსად არ არღვევდა ზრდილობის კანონებსა.

უანგარება—„სიყვარული არა ეძიებს თავისასა. ის არ ეძებს არც იმასა, რაც ერგება მას კანონით. ყველა ჩვენგანს აქვს თავისი საკუთრებანი, მაგრამ არიან წამები, როდესაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა, უმაღლესი კანონის შესრულებისათვის, უარი ვჰყოთ ჩვენსა საკუთრებასაც. მაგრამ მოც. პავლე არ გვიწოდებს ჩვენ მისთვის რათა უარი ვჰყოთ ჩვენსა კუთვნილებასა. სიყვარული მოითხოვს უმეტესსა. მან არა იცის-რა ჩვენს კუთვნილებაზე, იმან უნდა გვასწავლოს ჩვენ, რათა მთლად დავივიწყოთ მათზე, უკუ-ვაგდოთ ყოველი ძებნა და სურვილი საკუთრებისა, გაშორება თავიანთ საკუთრებითგან ყოველთვის არაა ძრიელ ძნელი საქმე, მისთვის რომ ეს კუთვნილებანი ხშირად არიან სრულიად გარეგანი თვისებანი. ძნელია ჩვენთვის მიცემა თავის თავისა და კიდევ უძნელესი არის არარაის ძებნა თავისათვის, დათმობა ჩვენთა კუთვნილებათა, თავის-თავად, არის დაგვიანებული საქმე ჭეშმარიტი უანგარობისაგან. როდესაც მოვძებნით, მივეხზეთ, დავიმახურებთ თავისასა, ჩვენ კიდევაც მივიღებთ საჩუქარსა. მაშინ შეიძლება არც კი იქნება ძრიელ დიდ მსხვერპლად უარის-ყოფა ჩვენთა საკუთრებათა. მაგრამ არა ძებნა მათი, მეცადინეობა მათზე, რაც შეგვშვენის ჩვენ, არამედ მასზე, რომ სხვებმა მიიღონ თავისი—ეს ხელოვნებაა! —„მეცადინეობ შენ უდიდესზედ“? ამბობს წინასწარმეტყველი „ნუ მოელი“ და რისთვის? მისთვის რომ ქვეყნიერებაში არ არის ამაღლება; ამ ქვეყნიერებაზე არა შეიძლება რა იყოს უდიდესი. უდიდესია მხოლოდ ერთი უანგარო სიყვარული. თითქმის თავის განწირვაც თავის-თავად არა არის-რა; ეს თითქმის შემცდარობაა. მხოლოდ უმაღლესსა მიზანსა ანუ კიდევ დიდსა სიყვარულსა შეუძლიათ გაამართლონ ამისი მსგავსი მსხვერპლი.

თუ ამას წინეთ მე ვთქვი, რომ უძნელესია სრულიად ძებნა თავისი საკუთრებისა, მინამ ძებნის შემდეგ გაშორება მისგან, ახლა მე უნდა დავიბრუნო. უკანვე ჩემი სიტყვები; ისინი ეკუთვნიან მხოლოდ იმისთანა გულსა, რომლიდგანაც სრულიად არ გამქრალა თავ-მოყვარეობა. სიყვარულისათვის არ არის სიძნელე, არაფერი არ შეადგენს მისსა მსხვერპლსა. მე მრწამს, რომ ქრისტეს ტვირთი მსუბუქია; ხოლო რაა ესეთი მისი ტვირთი, თუ არა ცხოვრება მისი სულისათანა? ჰო, მე ვფიქრობ, რომ მისი გზა უადვილესია სხვა გზაზე, მე ვფიქრობ კიდევ, რომ მის გზას მოაქეს სხვაზე უმეტესი ბედნიერება. და არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერი მას ისე ცხადათ და გარკვევით არ უჩვენებია ჩვენთვის, როგორც ის, რომ ჩვენი ბედნიერება შესდგება არა შეძენაში, არა დაფლობაში, არამედ მიცემაში. მე ვიმეორებ: არა დაფლობაში, არა შეძენაში მდგომარეობს ჩვენი ბედნიერება, არამედ მიცემაში! ყოფნა ბედნიერად ჩვენ ყველას გვსურს, მაგრამ უმეტესი ჩვენგანი მიდის ბედნიერებისაკენ არა ნამდვილი გზით. ისინი ფიქრობენ, რომ ბედ. ნიერება მდგომარეობს მასში, რომ ჰქონდესთ ბევრი ფული და ყოველივე ქონება და დაიმსახურონ სხვისი პატივის ცემა. ბედნიერება კი შესდგება მიცემაში და სამსახურში. „ვისაც თქვენგანს უნდა პირველ ყოფად“, ამბობს მაცხოვარი „იყოს ყოველთა მონად“. ვისაც უნდა ბედნიერად ყოფა, მას უნდა ახსოვდეს, რომ ამისთვის არის მხოლოთ ერთი გზა, —რომ უნეტარესია, უბედნიერესია ის, ვინც აძლევს, მინემ ის, ვინც იღებს.

(გაგრძელება იქნება)

მდ. ჰდ. ედბაქაძე.

ადამიანი, როგორც სულიერ-ხორციელი, გონიერი, ზნეობითი, თავისუფალი და პიროვანი არსება.

ყოველი ადამიანი იბადება დედა-მიწაზე იმ წესის ძალითა, რომელიც დაარსებულია შემოქმედისაგან. ადამიანი გრძნობს, რომ იგი არის სულიერ-ხორციელი არსება, ხოლო მოქმედება იმ ძალისა, რომელიცა აჩენს მას, რჩება მისთვის მიუწდომელ საიდუმლოდ... სული არის მთლად სიცოცხლე, უკვდავი არსება. იგი აცხოველებს სხეულსა; როგორც თვის იარაღსა. მის საშუალობით სული, უხილავი არსება, მოქმედებს ხილულ ქვეყანაზე. ის სამწუხარო მოვლენა, რომელ'საც აუცილებლად ექვემდებარება ადამიანი,— მისი სიკვდილი, შედეგია მის ცოდვისა, არის მხოლოდ დროებითი განშორება სულისა სხეულისგან, შემდეგში, ღვთისგან დანიშნულ ჟამს, იგინი, შემოქმედის ძალითა, ისევ შეერთებიან საუკუნო სულიერი ცხოვრებისთვის. სული ადამიანისა, როგორც შემკული მშვენიერი ნიჭიერებითა, წარმოადგენს ღვთის მსგავსებასა და ამიტომ იგი არის მაღალი ღირსების არსება.

გონება არის ნიჭი ადამიანის სულის და არა მისი სხეულისა. გონებით კაცი ჰაზრობს, სჯის, ლაპარაკობს, მოქმედებს. კაცი აცხადებს თვის ჰაზრსა სხვადასხვაგვარად: სიტყვით, წერით, მოძრაობით, ნივთიერად. ყოველი ნივთი, კაცისაგან გაკეთებული, შეიცავს რომელთამე ჰაზრთა. რომ წამოდგეს როგორიმე ნივთი, უთუოდ საჭიროა ჰაზრი, ანუ ნიჭი შეგნებითი მოქმედებისა, რომელიცა აქვს ადამიანსა, ანუ საჭიროა ალღო, მდაბალი ნიჭი, შეძლება შეუგნებელი მოქმედებისა, რომელიც აქვს პირუტყვსა. ფუტკარი ალღოთი, შეუგნებლა, აკეთებს თაფლსა და ცვილსა. ვინ არ იცის სიტკბო თაფლისა, სილამაზე თაფლის გოლისა? ნუთუ საქმენი ადამიანისა, როგორც გონიერი არსებისა, არ უნდა იყვეს მეტად უმჯობესნი და ტკბილნი-საყვარელნი?!... ავიღოთ, მაგ., რომელიმე შენობა. ყოველი ნაწილი მისი არის გამოხატვა კაცის-ამშენებლის ჰაზრისა, არის მის გონიერ-შეგნებითი მოქმედების ბეჭედი. რომ აიწეროს ამ შენობის შინაარსი, შესდგება მრთელი წიგნი. აქედგან ადამიანმა, როგორც გონიერმა არსებამ, უნდა წარმოიდგინოს, ვით უდიდესი და მიუწდომელია გონება ღვთისა, რომელმანც შეჭმნა ესოდენ მშვენიერი სამყარო, რომელიც ასე ცხადად წარმოადგენს სიმაღლეს, სიღრმეს და სივრცესა ღვთაების ჰაზრობისასა,—უნდა წარმოიდგინოს ეს ყოველი ადამიანმა და გონივრულად ირწმუნოს შემოქმედის არსებობა, მით შეასრულოს ბუნებითი მოვალეობა, როგორც გონიერმა არსებამ.

ადამიანის ზნეობა სწარმოებს მისი გონებისგან, გულისგან და ნებისგან. რასაც კაცი ფიქრობს გონებით, რასაც სურვობს გულით, რასაც მოქმედებს თავისუფალი ნებით, ეს ყოველი შეადგენს მის ზნეობას, მის ყოფა-ქცევას. საუბედურად კაცი არის დაცემული არსება-ცოდვილი. იგი ხშირად ფიქრობს, სურვობს და მოქმედებს არა ისე, როგორც მოითხოვს მისი მაღალი კაცობრივი წოდება, არამედ ამცირებს თვის ღირსებასა ცუდის, ბოროტის მოჰაზრებითა, სურვილითა და მოქმედებითა. დაცემული კაცის ბუნებაში სწარმოებს ბრძოლა კეთილისა თან ებრძვის ბოროტს როდესაც კაცი თვის ბუნებაში ებრძვის და სძლევს მას, მაშინ ზნეობა კაცისა არის კარგი, სასურველი და საყვარელი, ხოლო როდესაც ბოროტი სძლევს კაცსა. მაშინ ზნეობა მისი არის ცუდი, საზიზღარი და მავნებელი, სიკეთით კაცი ემსგავსება თვის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოქმედ—ღმერთსა და იმზადებს მით სანატერელ ცოცდადებასა; ბოროტობით კი კაცი ემსგავსება ეშმაკსა და შეიქმნება მისი თანაზიარი საუკუნო ტანჯვაში. ამიტომ კაცი, როგორც გონიერი და ზნეობითი არსება, ვალდებულია, რომ ებრძოლოს ბოროტსა და სძლიოს იგი, რომ არა სცოდოს, თვისვე და სხვათა საკნებელად. ბრძოლა ბოროტებასთან არის ეშმიერი და საჭირო სწავლა კაცისთვის. მან სიცოცხლიდანვე უნდა იწყოს ეს სწავლა და გაგრძოს სიკვდილამდინ, რომელიც სპობს ამ ბრძოლასა. კაცმა ღრმად უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ კეთილი არის საფუძველი მის ნეტარი უკვდავებისა. ამიტომ იგი უნდა იყვეს კეთილ და არა ბოროტი ზნეობისა...

კაცის სული თავისუფლად მოქმედებს როგორც თვის შინაგან ბუნებაში, ისე გარეგნად, მოქმედებს იგი როგორც თვის სხეულში, ისე გარეგან ქვეყანაში, სხეულის შემწეობითა. არა სხეულნი, არა იარაღნი გრძნობათა, არამედ თვით სული ხედავს, ისმენს, ყნოსავს, განარჩევს გემოვნებათა; შეეხება იგივე სული ნივთიერ სიმაგრესა, სინაზესა; გრძნობს აგრეთვე სითბოსა და სიცივესა, წყურვილსა და შიმშილსა, ტკივილსა; შეიგნებს მწუხარებასა და სიხარულსა. როდესაც სხეული საღია ან არ არის როგორმე შევიწროვებული, მაშინ იგი ემორჩილება სულსა და ასრულებს მის ნებასა, ხოლო გარეგანი შევიწროება აბრკოლებს სხეულის სამსახურსა, მაგ., როდესაც კაცს თვალები აკონული აქვს ან ყურები დაკობილნი, მაშინ ამ იარაღთ ვერ მიაქვთ სულთან გარეგან საგანთ აღბეჭდვა, ამიტომ სული ვერახედავს გარეგანთ საგნებსა, არ ესმის მას გარეგანი ხმა. ხოლო სული თვის შინაგან ბუნებაში ყოველთვის თავისუფლად, დაუბრკოლებლად მოქმედებს. არა რომელ ძალას, ამ ქვეყანაში მოქმედსა, არ შეუძლიან აღუკრძალოს სულსა, ფიქრი, სურვილი, სიყვარული, სარწმუნოება, სასოება, გრძნობა წყურვილისა, შიმშილისა. სითბოსი, სიცივისა, შეგნება მწუხარებისა ან სიხარულისა. სული აგრეთვე თავისუფალია ბოროტთან ბრძოლაში, როდესაც კაცი შეიგნებს თავის დანიშნულის ღირსებასა, როდესაც იგი დარწმუნდება, რომ ღირსება კაცისა მდგომარეობს კეთილში და არა ბოროტში, მაშინ იგი, შეიარაღებული ამ ჭეშმარიტებითა, ადვილად ებრძვის თვის ბუნებაში ბოროტსა და სძლევს მას. ეს ბრძოლა და ძლეგა ბოროტისა არის პირველი და უკანასკნელი სახსარი, რომლის საშუალობითაც შეიძლება დამყარება შინაგანი და გარეგანი სიმშვიდისა. ვერავითარი სამოქალაქო წეს-დებულება ვერ მიანიჭებს საზოგადოებასა ამ მშვიდობასა, თუ მის კერძო წევრნი არ იქმნებიან აღზრდილნი შინაგან, თვისვე ბუნების ბრძოლაში. ასრეთი აღზრდა საზოგადოების წევრთა შესაძლებელი შეიქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც იგივე საზოგადოება კაცობრივ სწავლა-მეცნიერებას შეაზავებს ქრისტე-მაცხოვარის-ზეციერის სწავლითა და ამ სწავლას შეიყვანს კერძო პირთა სისხლში და ხორცში, დაამყარებს მათ იმ ჭეშმარიტებაზე, რომ ღირსება კაცის თავისუფლობისა მოითხოვს ბოროტის შეძულებასა, ხოლო კეთილის შეყვარებასა, როგორც შვენის გონიერს, ზნეობითს და თავისუფალ არსებასა. ჩვენის ჰაზრით ყოველი ჭეშმარიტად განათლებული გვამი მოვალეა, რომ შესწიროს ამ საგანსა თვისი გონებითი შრომა გამოსაყვანად ერისა ზნეობითი სიბნელისგან, იმ სიბნელისგან, რომლისა—გამოც იტანჯება თვით საზოგადოება...

გონება, ზნეობა და თავისუფლება არიან ისეთნი ნიჭნი კაცის სულისა, რომ იგინი აიყვანენ კაცსა პიროვნობის მაღალ ხარისხზედა, რომელსაც მოკლებულია პირუტყვი. კაცი, როგორც პიროვანი არსება, შეიგნებს თვის ვინაობას, იცის, ვინ არის თვით იგი და ვინ არის სხვა ადამიანი. შეიგნებს კაცი თვის სულიერ-ხორციელობას, გონივრობას, ზნეობას და თავისუფლობას. კაცი განარჩევს თავისთავს აგრეთვე პირუტყვთან და ნივთიერებათაგან. ამიტომ ყოველი ადამიანი, როგორც პიროვანი არსება, თვით პირად მოჰაზრობს, სურვობს, მოქმედობს, სწუხს, ხარობს, იტანჯება ან განცხრება. ყოველი ადამიანი თვით პირად, და არა სხვა ვინმე, არის პასუხის მგებელი ღვთისა და კაცთა წინაშე კარგის ანუ ცუდის ზნეობისთვის. პიროვნების ღირსება ვალდებულ ჰყოფს კაცსა რომ, იცნას მან უზენაესი პიროვანი არსება, ღმერთი-შემოქმედი, ის არსება, რომელსაც არამ თუ ესმის ადამიანის ლოცვა-ვედრება, არამედ იცის მან ადამიანის დაფარული ჰაზრიცა, იცის აწინდელი, მომავალი და წარსული ყოველის ადამიანისა და არის მსჯული ადამიანის მოქმედებათა როგორც ბოროტთა, ისე კეთილთა. ეს ჭეშმარიტება ყოველთვის უნდა ახსოვდეს კაცსა. იგი არისცხოვრების მნათობი, რომელიც უჩვენებს კაცსა ბოროტის ენებასა და კეთილის სარგებლობასა.

ი. ბალუკეი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისყიდებიან

დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ყვირილაში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში.

1. საეკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთის-მშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვანის სრულს თვეთა მტკიცედებში არიან ჩართულნი საქართველ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 30 კ. და უყდოთ . . . 25 კ.
2. წესი სნეულის ზიარებისა და ვრცელი პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ,
3. Oცხ:ლთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 20—
4. ქონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 30 კ. კარგი ყდით . . 50 ›
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 ›

2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზე, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა საეკლესიო-სამრევლო და სხვა პირველ დასწყის სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლებ ს ნიშნებით ყდით ფასი . . 55 კ.
3. დაწყებითი გაკეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . 20 კ.

3. სამეურნეოო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განხილული, მოწონებული და ნება-დართულია კავკასიის საექიმო რჩევისაგან ყდით ფასი . . . 1 ?.
2. დარიგება მხედველობის დაცვასა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—
3. ჯანმრთელობა და ავადმყოფობა ექიმის საუბარი . . . . . 5 კ.

4. შესანიშნავი მონასტრები და ეკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . 15 კ.
2. ბელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 15 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ათონელ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწაფეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ვარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის-მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოველად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოველად წმ. ღვთის-მშობლ-სა, 2—
10. ხელთუქნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

F9843

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

№ 6—7

6—7 1883—1906 წ. 15 აპრილი.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გამოცხადების შემდეგ დიდი გამჭრიახობა მართებს მწყემსთა.

ყველამ ვიცით, რომ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება დიდი ბედნიერება არის ხალხისათვის. ამას ბევრი დამტკიცება არ უნდა. ვინ იტყვის იმას, რომ სიბნელეს სინათლე არა სჯობდეს? მაგრამ, წარმოიდგინეთ, ზოგიერთებისათვის ბევრად უფრო სასურველია სიბნელე ვიდრე დღე. იმ საქმეს, რომელსაც იგი ბნელეში ადვილად შეასრულებს— სინათლეზე ვერ გაბედავს და ამისათვის ზოგისთვის ბნელე უფრო სანატრელია ვინემ დღე. აიღეთ დღევანდელი საომარი იარაღები. ერთის მხრით ხედავ, რომ კაცის გონებას ბევრი რამ გამოუგონია ხალხის საბედნიეროდ, მაგრამ იგივე ხალხის სასიკეთოდ გამოგონებული ხალხის საუბედუროდ და გასაქლეტად იხმარებიან! სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლია, მაგრამ იქ, სადაც ამ სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლების შეგნება არ არსებობს, სარგებლობის მაგიერ ზარალის მომტანია. ზოგიერთებს უკეთესართად ესმის სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. ზოგის სურვილია რაც ენაზე მოადგება თავისუფლად იქადაგოს და ბეჭდოს, არავის ნება არა ჰქონდეს დაშლისა. ზოგი ფიქრობს, რომ იმის სურვილზეა დამოკიდებული რამდენიც უნდა იცრუოს, რამდენიც უნდა გლანძღოს და რამდენიც სურს ცილი გწამოს. თუ მას ამის უფლებას არ მისცემენ, მაშ არ ყოფილა თავისუფლება სიტყვისა და ბეჭდვისა!.. დიაღ, ასე ესმისთ ზოგიერთებს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. შეგნებულ და განათლებულ ხალხში რამდენიც გინდა რაოშე, იცრუე და ათასნაირი სისულელე იქადაგე შენს დაწერილს ყურადღებას არ მიაქცევენ, მაგრამ უბედურება არის გაუნათლებელ ხალხში, სადაც დაბეჭდილი თუ რამე ნახეს ყოველივე ჭეშმარიტებად მიაჩნიათ.

აიღეთ უცხოეთისა და ჩვენი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთები და გულდასმით გადაიკითხეთ ყოველივე რასაც სწერენ დიდი დღესასწაულების გამო. რა საოცარი განსხვავება არის! აიღეთ ყველაზე დაწინაურებული და განათლებული ხალხი ინგლისელები, რასა სწერენ ჟურნალ-გაზეთებში აღდგომისა და სხვა შესანიშნავ დღესასწაულებისაგამო. გაბედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისეთ უხიაგს, უპატიურად ხსენებას, როგორც ქრისტესას ისე სხვა სათაყვანო წმიდათა, ამასთან ისეთ გულის აღმაშფოთებელს სარწმუნოების და ხალხის რწმენის დაცინვას და ქირდათ აღებას არასოდეს არ შეხვდებით რასაც თქვენ, სამწუხაროდ, ხშირად შეხვდებით ჩვენ ქართულ გაზეთებში. თათრებისა და ურიების გამოცემებში, რომ ამის მსგავსი ვნახოთ დაბეჭდილი, რასაკვირველია, არ არის საწყენი, მაგრამ ქართველების გაზეთებში, იმ ქართველების გაზეთებში, რომელთაც დიდ მორწმუნე ქრისტიანებად მოაქვთ თავი—დიდად საწყენი და სამწუხაროა.

აიღეთ, მაგალითებრ მე-7 ნომერი ახლად დაბადებული გაზეთის „შრომ"-ისა. მოწინავე სტატია ვითომ თავვამოდებით იცავს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობას. მაგრამ რამდენიმე სიტყვის შემდეგ სრულებით უარს ჰყოფს არა თუ ქრისტიანობას, არამედ ყოველგვარ ბარწმუნოებას. უარს ყოფს საიდუმლოების საჭიროებას. ერთი სიტყვით ძლიერ სასარგებლოდ მიაჩნია ველური ხალხების რელიგიური მდგომარეობა. ქრისტიანობის სარწმუ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოება მიიჩნია უმთავრეს იარაღად ეხლანდელი სახელმწიფოის რეჟიმისა და მონობისა. ამ სტატიის ავტორს ჯერეთ კიდევ ვერ შეუგნია, რომ ქრისტიანობის სარწმუნოება წინააღმდეგია ყოველგვარი მონობისა და იქ, სადაც ქრისტიანობის სხივმა შეაშუქა, მონობა უკვე მოისპო...

აიღეთ, მაგალითებრ, 2 აპრილის გაზეთი სოციალ-დემოკრატებისა (იგულისხმეთ პროლეტარიატები). რას სწერენ სტატიაში „ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ.“ იესო ქრისტე გამოყავთ პირდაპირ სოციალ-დემოკრატად, რომელიც დაიბადა, აღიზარდა და მხოლოდ იმას ქადაგებდა, რომ პროლეტარიატები მთელი ქვეყნისა შეკრებილიყვნენ და მათთვის მიეცა იმ დროის მდიდარი კაცების, სახელმწიფო და საეკლესიო მამულები და ისე მოეწყო მათი ცხოვრება, რომ ხელის ბანის მეტი შრომა აღარ დასჭირებოდათ ბედნიერი ცხოვრებისათვის! მაგრამ სჯობს თვითონ „ელვა“ ვალაპარაკოთ მკითხველთან.

«ჩვენ ვხედავთ იესოს ზაკვითა და ჯაშუშობით გაცემულს თავის მტრების, ე. ი. ხალხის მტარავლების ხელში, შეპყრობილს, ტანჯულ-წამებულს, გვემულს და სიკვდილით დასჯილს, ჯვარზე გაკრული, და პასუხით ყოველივე ამისა მის მიმქრალ და პატიოსან პირის სახეს ჩვენ ვკითხულობთ გაბედულ და მრისხანე სიტყვებს: „ნუ გეშინინ მათგან (ე. ი. ძლიერთა ამა ქვეყნისა), რომელთა მოსწყვიდენ ხორცნი, ხოლო სულისა (მადლობა ღმერთს! სულის არსებობის რწმენა კიდევ შეუჩენია ავტორს) ვერ ხელმწიფების მოკვლად“ (მათ. 10, 28). აი ვინ იყო იესო და აი როგორ და რისთვის იქნა იგი წამებული! მთელი მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა თავიდან ბოლომდე იგივეა, რაც ყოველ-დღე ჩვენ გარშემო ხდება. ესი ათასი წელი გავიდა მას შემდეგ, და თითქო ამ მხრით არავითარი ცვლილება არ მომხდარა. იგივე დევნა, იგივე წამება სიმართლისათვის“! (ჩვენ გვასწავლიდენ და ევროპაც აღიარებს, რომ ქრისტეს აქეთ არის 1906 წელიწადი და „ელვის“ თანამშრომელის გამოკვლევით ესი ათასი წელიწადი ყოფილა თურმე. დიაღ, მართალს ამბობენ ჩვენნი სოციალ-დემოკრატები, რომ ევროპა დიდი ხანია უკან ჩამოგვრჩაო!).

„ჩვენ ვხედავთ, განაგრძობს ავტორი, ქრისტეს ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ, ხალხის მძარცველებს და მტანჯველებს, მატყუარებს და მზაკერებს. იმათ დაირქვეს იესოს სახელი მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მოძღვრება წაებილწათ და შეურაცხყოთ ანგარებით და ვერცხლის მოყვარეობით დაბრმავებულნი ისინი ქრისტეს სახელით აწამებენ ტანჯვენ იმათ, ვინც თავის დანიშნულებას ხალხის სამსახურში ხედავს, ვისაც ხალხის მონობისაგან განთავისუფლება თავის უწმიდეს მოვალეობათ გაუხდია».

და რა გასაკვირვალია ამისთანა პირების ნიღაბ აფარებულობა? განა მარქს ცოტა ყავს ამისთანა ნიღაბ აფარებული პირები? ცოტანი ბრძანდებოდენ ნაბდებში გამოხვეულნი მქადაგებელნი თავ-პირ ახვეულნი, რომელთაც თვალების მეტი არა უჩანდათ ლ ქადაგების შემდეგ ფულებს კრებავდენ ერთიერთისათვის? ბოლოს ამ მქადაგებელთა მოციქულებმა ხომ დაიწყეს იარაღების წართმევა, ფულების აკრება და სავაჭრო მაღაზიებიდან ყვირილაში და სხვა დაბებში სათბურების, ნაბდების, კალოშების, თეთრეულობის, დაკრილების სახვევათ, შეგროვება. განა ცოტა შეკრებეს? სად წაიღეს და ფულები ვის მისცეს? ამბობენ ერთობამ გადაყლაპაო. დიაღ, ასე იყო ქრისტეს დროსაც, კეთილი კაცებიც იყვნენ და ბოროტებიც. მაგრამ ის ხუცები და მღვდელთმთავრები, რომელსაც გულისხმობს ავტორი სრულებით არ ყოფილან ქრისტეს დროს. თუ ავტორი ურიების მღვდელმთავრებსა და ხახამებზე ამბობს უნდა ნათლად აცხადებდეს ამას და ჩირქს არ უნდა სცხებდეს მთელს წოდებას, რომელთა შორის უმრავლესობა არაფერ შუაშია.

როცა საჭიროა ავტორისათვის მაშინ ქრისტეს აღმერთებს და როცა არა—სრულებით უარს-ყოფს. თუ რამე სახარებაში ნახა თავის აზრის წინააღმდეგი ამას ქრისტეს კი არ მიაწერს, არამედ მღვდლების განასწორებად და ჩამატებულად ჩასთვლის.

ერთი სტუდენტი კრებაზე მიმტკიცებდა, რომ იესო ქრისტე ხანჯლით ხელში ხალხს იწვევდა ბიუროკრატების წინაღმდეგო. რა უნდა სთქვას ამისთანა მქადაგებელზე კაცმა? აფსუს სტუდენტის წოდებავ!..

„ის მაღალი ზნეობრივი პრინციპები, ბრძანებს ავტორი, რომლებსაც იესო ქადაგებდა, თავის-თავად კარგი იყვნენ, მაგრამ ცხოვრებაში ისინი ყოვლად უშნაარსო ტრუიზმებათ გადაიქცენ და ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაკარგეს. და მართლაც რა გავლენა უნდა ქონდეს სიყვარულზე და ძმობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქადაგებას იმ კაცისაგან, რომელიც თავისი პირადი წმინდა კლასობრივ ინტერესების სასარგებლოთ თავისი ქვეშევრდომების ოფლით იკვებება? ყოველივე ამას ბოლო მოელება, მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ნივთიერ პირობებში ძირითადი ცვლილება მოხდება. ასეთ ცვლილებას განიცდის თანამედროვე საზოგადოება. ამიტომ მოახლოვებულია ის დრო, როცა ხალხის მედგარი იერიში სამუდამოთ წალეკავს ყველა წინანდელ უსამართლოობას, მოსპობს მჩაგვრელებს და დამყარდება სამართლიანობა".

დიალ, მართალს ბრძანებს ავტორი! ყოველ ქადაგებას ხალხის პროლეტარიატობაზე მაშინ ექმნება ნიადაგი როცა ხალხის უმრავლესობა გაპროლეტარებული იქმნება. როცა ხალხში პროლეტარი სრულებით არ მოიპოვება და არც ერთს პროლეტარად გახდომა არა სურს იქ ქადაგებას არავითარი ნიადაგი არ აქვს. ის დრო როცა ყველა ხალხები პროლეტარებად გახდებიან, რასაკვირველია, სოციალ-დემოკრატებს გარდა, ვინაიდგან იმათ დიდი ქონებაც რომ შეიძინონ უფლება ექნებათ.) ძლიერ შორს არის ჩვენგან. ამდენი ხანია იბრძვის ქვეყნის პროლეტარიატები, რომ სხვისი სიმდიდრე ხელში ჩაიგდონ, მაგრამ ვერას გახდენ. ჩვენში უკვე დაწყებული ყოფილა, როგორც მოგვითხრობს საალდგომო სტატიაში ავტორი და ამ ცოტა ხანში ერთი იერიშით უკვე ბოლო მოელება და სამუდამოთ წაილეკება ყველა წინანდელი უსამართლოება, მოისპობიან მჩაგვრელები და დამყარდება სამართლიანობაო. პირველი იერიში უკვე გვაჩვენეს სოციალ-დემოკრათებმა და სოციალ-რევოლიუციონერებმა, რომლითაც მეტის-მეტად ისახელეს თავი და ამ უკანასკნელ იერიშსაც, თუ შვეესწარით, ვნახავთ რა იქნება. ჩვენ ვეტვობთ, რომ ამ მეორე „ძლიერმა იერიშმა" სულ მოსპოს უმართლოება და ქონებითი უთანასწორობა ხალხში!.. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში არ მოხდება ის რაც სხვაგან არ მომხდარა...

მამაშვილურად ურჩევთ ამისთანა სტატიების მწერლებს, ნუ დაიწყებენ წერას ისეთ საგნებზე, რომელიც მათ არ შეუსწავლიათ და არ იციან. უნდა ახსოვდეს ყველას, რომ ჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს. რა საჭიროა წინ და წინ გამოცხადება, რომ უკანასკნელი იერიშით იგინი ყველაფერს წალეკავენ? ამას რომ წაიკთხავენ მოემზადებიან და ვაი თუ ეს უკანასკნელი იერიშიც ისეთი «დიდებული» აღმოჩნდეს, როგორიც იყო პირველი... ურჩევ ამგვარ მწერლებს გადაიკითხონ ყველა წიგნები საფრანგეთის და სხვა ევროპის ხალხების მოძრაობაზე, რევოლიუციაზე, შეადარონ ჩვენი ქვეყანა უცხოეთის ქვეყნებს, მათი მდგომარეობა ეხლანდელ ჩვენი ხალხის მდგომარეობას, აიცილონ თაკიდან ის მიუტევებელი შეცდომები რაც მოუვიდათ მათ და თვითონ ჩვენ სოციალ-დემოკრატებსაც. ვურჩევ ყველას ნუ დარწმუნდებიან ყაზახების, სალდათების და ჟანდარმების მომხრეობაზე და გულახდილად ნუ მოუთხრობენ თავიანთ ავლა-დიდებას... ხომ დარწმუნდენ ეხლა თუ რით გადაუხადეს ყაზახებმა მუსიკით შეგებება და მიხაილოვში გამასპინძლებით პატივისცემა? საფრანგეთში მარტო ხალხმა გაიტანა თავისი სურვილი თუ ჯარმა უშველა?..

ზოგიერთი ჩვენი კორესპოდენტების სიხარულს დასასრული არა ჰქონდა იმის გამო, რომ ახალმა თაობამ დაიკავა მართვა-გამგეობა ცხინვალში, ყვირილაში და ჭიათურაში. ყველას ყურადღება უნდა ჰქონოდა მიქცეული პეტერბურგზე, მოსკოვზე და ვარშავაზე, თორემ რას მიქვიან ონი, ცხინვალი და ყვირილა!.. ამას ეხლა კი-არ ვამბობთ ჩვენ—დიდი ხანია ამას ვამბობდით და ვამტკიცებდით, რომ ჩვენი ხალხის ორ თვეში განათლება არ გვწამდა. ყოველთვის ვამბობდით და ვიტყვით, საჭიროა დიდი წინ დახედულობა, გამჭრიახობა და შორს გამჭვრეტელობა და ყველაზე საჭიროა ერთობა, ძმობა, ერთსულობა, ერთგულობა და არა ერთმანეთის აკლება და ერთმანეთის გადამტერება. არა მრწამს, რომ ჩვენში ხალხის მოძრაობამ მიაღწიოს თავის საწადელს ვიდრემდის სამი მილიონი თათრები და სპარსელები და მილიონ-ნახევარზე მეტი სომხები მტრად გვეყოლება. თუ რამე იქნება ისევ რუსეთიდან იქნება და ჩვენ საქმეს ისე უნდა უყურებდეთ როგორც პოლონელები და სხვა განაპირა ქვეყნის შვენებული მცხოვრებნი.

დიალ, ძლიერ კარგი რამ არის სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება, მაგრამ თუ კაცი გონებით განვითარებას მოკლებულია მაშინ იგი ხალხს ნაცვლად სარგებლობისა ვნების მეტს არას მოუტანს. უნდა შეიგნოს ყველამ, რომ ხალხის სარწმუნოების ქირდათ აღება უფსკრულს აარსებს ხალხსა და ამის-

თანა მოქადაგეთა შორის. მაგალითი არ ყოფილა, რომ რამდენიმე მქადაგებელს უხალხოთ ქვეყანა გადაებრუნებიოს და ეს ჩვენშიაც არასოდეს არ მოხდება. საჭიროა ერთსულობა, ერთგულობა, ძმობა, თანასწორობა, სიმართლე და სიყვარულობა. უამათოდ არსად არა გაკეთებულა-რა და არც ჩვენში გაკეთდება. უნდა გვახსოვდეს ყველას ისიც, რომ ქვეყანაზე უმართლოების სრულებით მოსპობა და გათანასწორება შეუძლებელია იქ, საცა კაცის ბუნება მოშლილია, როგორც გვასწავლის სამღვთო წერილი, და ხალხის ქეყანაზე ანგელოზებად გარდაქმნა ყოვლად შეუძლებელია.

სოფლის ხუცესი.

სინიდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში.

შესავალი.

კაცობრიული პრინციპი სინიდისის თავისუფლებისა, საზოგადოთ, და ქრისტიანობრივი მოძღვრების დედა-აზრი, კერძოთ, მოითხოვს, რათა სრულის სისწორით იქნეს მოხაზული ის უფლებრივი საზღვარი, რომელსაც არ უნდა გადაშორდეს თავის საქმეში არც ეკლესია სახელმწიფოსაკენ და არც სახელმწიფო ეკლესიისაკენ. ეკლესია წარმოადგენს თვით-არსსს და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელს სარწმუნოებრივს საზოგადოებას. აგრეთვე სახელმწიფო წარმოადგენს თვით-.რსსა და ეკლესიისაგან დამოუკიდებელს პოლიტიკურს ორგანიზმს. პირველი არა ჰგავს უკანასკნელს არც მიზნით, არც წყობილებით და არც იარაღით. უკანასკნელი განსხვავდება პირველისაგან როგორც მიზნით, ისე წყობილებით და იარაღით. და აი, სწორეთ ამ სხვა დასხვაობით აიხსნება ის გარემოება, რომ ეს ორი უუდიდესი ორგანიზმი, ეკლესია და სახელმწიფო, ერთიმეორის ვვერდით არსებობს, თვიუვეული მათგანი თავთავის სფერაში დამოუკიდებლათ მოქმედებს და არც ერთს არ შეუძლია, სხვის სფერაში კანონიერი განკარგულება მოახდინოს. აქ ფუნქციათა და უფლებათა სრული განცალკევებაა. აქ უფლებათა აღრევა არ შეიძლება, ისე როგორც არ შეიძლება არც მიზანთა და საშუალებათა აღრევა*).

ასეთია იდეალური ურთიერთობა ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომც სახელმწიფოს უფლება არა ჰქონდეს, ეკლესიას რაიმე განსაზღვრულს ურთიერთობაში ჩაუდგეს, მასთან მტკიცედ გადაჭრილი განწყობილება დაიჭიროს.

არ უნდა დაივიწყოთ, რომ როგორც ეკლესიას, ისე სახელმწიფოს ერთსა და იმავე ადამიანთაგან აქვს საქმე. ერთი შეეხება მას როგორც რელიგიურს და ზნეობრივ პიროვნებას, მეორე კი—როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ არსებას. მაგრამ როგორც პოლიტიკურ-მოქალაქობრივი მხარე, ისე სარწმუნოებრივ-ზნეობრივი თვისებანი,—ეს ხომ ორი სხვადასხვა მხარეა ერთისა და იმავე ცოცხალი არსებისა, ამათი მატარებელი ხომ ერთი და იგივე ადამიანია. აქედან თავისთავათ გამომდინარებს შემდეგი აუცილებელი მოვლენა: როცა რომლისამე სახელმწიფოს ქვეშევრდომი ეკლესიის წევრი ხდება, იგი ამის ძალით სრულებითაც ვალდებული არაა თავისი ოჯახი დაუტოვოს, თავისი საზოგადოება ანუ ხალხი და ხელობა უარ-ჰყოს, თავისი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებანი უკუ-აგდოს. ქრისტიანი მონათვლის შემდეგაც იმავე ოჯახისა, ერისა ,ს სახელმწიფოს წევრი რჩება, რომელსაც მონათვლამდე ეკუთვნოდა.—მართალია, თავისი მიზნით ეკლესია „არა ამის სოფლისაგანი არს“, მაგრამ იგი მაინც ამ ქვეყნად არსებობს; მას არა აქვს სახელმწრფო ტერიტორიისაგან განშორებული ტერიტორია, არამედ იძულებულია იმავე სახელმწიფოთა საზღვრებ შორის იარსებოს და ამ ქვეყნიურ დაწესებულებებთან მეზობლობა იქონიოს.

მეორე მხრით, თავისი მიზნის მისახწევად ეკლესიას აუცილებლად სჭირდება: თავისუფლება სიტყვისა და ქადაგების, ხელშეუხებლობა საღვთისმსახურო და სოორგანიზაციო კრების, აგება, შემკობა და შენახვა სამლოცველო შენობის, უზრუნველ-ყოფა საეკლესიო იერარქიის ანუ სამღვდელოების, რასაც რასაკვირველია, ნივთიერი საშუალებანი ან ქონება სჭირია. ხოლო ეს ისეთი პირობებია,

*) უფრო ვრცლათ იხ. ჩვენი წერილი—‹სინიდისისა და ეკლესიის თავისუფლება› („საქ. საექსარხ. მოამბე“-ში. 1906 წ. №№ 1—2.). ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც ეკლესიას ერთგვარ კორპორატიულ დაწესებულებად ჰხდის, სახელმწიფოში კორპორატიულ უფლებათა მოპოვებას აიძულებს. ამ მხვივ ეკლესიას არ შეუძლია, სახელმწიფოს გვერდი აუაროს, მის იურისდიკციასთან საქმე არ დაიჭიროს. სახელმწიფოსათვის საჭიროა იცოდეს, თუ რა კორპორაციაა ეს კორპორაცია, როგორია მისი მიზანი? შესაძლოა, თუ არა, სახელმწიფოს ჭეშმარიტ ინტერესთა დაურღვევლათ, ამ კორპორაციას ნება დაერთოს, შესაძლოა თუ არა—მას კორპორატიულ-ქონებრივ უფლებანი მიეცეს და სხვა.

აქ იწყება უფლებრივი დამოკიდებულებანი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, მაგრამ ამავე მუხლში ედება საზღვარი აღნიშნულ დამოკიდებულებათა ხარისხსაც. ეკლესია დამოკიდებულებაში უდგება სახელმწიფო კანონმდებლობას მხოლოდ როგორც კერძო ძმობა ანუ კავშირი, და სახელმწიფოს უფლება აქვს შეეხოს მას, მხოლოდ როგორც კერძო კავშირს ანუ საზოგადოებას. ამას იქით სახელმწიფო ვერ გადაშორდება, უკეთუ სურს კანონიერ ნიადაგზე დარჩეს. სახელდობრ, სახელმწიფოს შეუძლია, ეკლესია ნება დრთულ საზოგადოებად აღიაროს, შეუძლია რამოდენამე მფარველობაც გაუწიოს; მაგრამ, როგორი ურთიერთობაც გინდა ჰქონდეს ეკლესიას, სახელმწიფოს უფლება არა აქვს, ამ კორპორაციას წეს-წყობილება შეუცვალოს, მის შინაგანს გამგეობას, კანონმდებლობასა და სამართალს დარაჯი მიუჩინოს, მის სწავლა-მოძღვრებაში ცვლილება რამ შეიტანოს, მისი ქონებრივი უფლებანი, თვით ეკლესიის დაუკითხვად, ძირიანად შეატრიალოს, შეზღუდოს ანუ გააუქმოს და სხვა. სახელმწიფო ვალდებულია, მხოლოდ უზრუნველყოს ეკლესიის წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და საეკლესიო დაწესებულებათა ხელშეუხებლობა ეკლესიის გარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; ამაზე მეტი სახელმწიფოს არც მოეთხოვება და არც ეუფლება. ეკლესია არ უნდა დაბრმაოს საერო მთავრობის მხრივ კეთილმა განწყობილებამ; იგი მუდამ უნდა სცდილობდეს ეს კეთილ-განწყობილება ზომას არ გადააჭარბოს; მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ეკლესიაში როგორც წევრად შემოსვლა, ისე მართვა-გამგეობა და სწავლა-მოძღვრება, ყველაფერი გულწრფელ ქრისტიანულ სიყვარულსა ზ თავისუფალ რწმენაზე უნდა იყოს დამყარებული, ყველაფერი წმინდა ზნეობრივი მოტივებისაგან უნდა გამომდინარეობდეს. ამის გამო ეკლესია უნდა ერიდოს სახელმწიფოსაგან ან კერძო გავლენიან პირთაგან იმნაირი პრივილეგიებისა და დახმარების მიღებას, რომელიც მის წევრთა და იერარქიის მოქმედებას ამ წმინდა ზნეობრივ და სარწმუნოებრივს ხასიათს დაუკარგავს.

ვთქვათ, რომელმამე სახელმწიფომ ქრისტიანობა ნება დრთულ სარწმუნოებად აღიარა. გავიდა რამდენიმე ხანი და სახელმწიფომ ამ სარწმუნოებას მფარველობა დაუწყო. თუ ეს მფარველობა მხოლოდ გარეშე მტერთა შემოსევისაგან დაცვაში გამოიხატება, მაშინ, რასაკვირველია, ქრისტიანობა სრულიადაც არაფერს დაჰკარგავს. მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ქრისტიანები უბრალო მფარველობას არ დასჯერდენ და სახელმწიფოს მოსთხოვეს, რათა მან აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქრისტიანობის გავრცელებაში, სხვა რჯულის მიმდევარ ქვეშევრდომებს ძალა დაატანოს ან პოლიტიკური და ქონებრივი უპირატესობანი აღუთქვას მათ, უკეთუ იგინი ქრისტიანობას მიიღებენ. ვთქვათ, ეს თხოვნა სახელმწიფომაც შეიწყნარა და ახალი სარწმუნოების მიმდევართ დაუწყო სხვადასხვა პრივილეგიების ბოძება, სამსახურში იგინი უფრო წინ დააყენა, მათ მოძღვრებსა და მასწავლებლებს ხაზინიდან ჯამაგირები დაუნიშნა, ხოლო მათი სამლოცველო სახლები სახელმწიფო ხარჯით შეამკო ან აღაშენა და სხვა. რა თქმა უნდა, ბევრი ქვეშევრდომი ქრისტიანობაზე გადმოვა, მაგრამ როგორი იქნება ეს გადმოსვლა? რა ზნეობრივი ღირსებისანი იქნებიან ის პირნი, რომელნიც ახლა ამ სარწმუნოებისაკენ გამოსწევენ ბევრი ისეთი ელემენტი გამოეშურება, რომელსაც აღარც ძველი სარწმუნოება მიაჩნია და ახლისაკენ კი მხოლოდ პოლიტიკური პრივილეგიები და ქონებრივი სარგებლობა იზიდავს. ცხადია, ესევე ბედი ეწევა ქრისტეს მიმდევარ სამღვდელოებასაც: იერარქიული ადგილების დაჭერას ეკლესიაში ბევრნი ისეთი პირნი მოისურვებენ, რომელთაც ხშირათ პატივმოყვარეობა და ქონებრივ-პოლიტიკური ანგარიშები ამოძრავებსთ. რაღა სალაპარაკოა, რომ ამ შემთხვევაში ეკლესია ბევრს ვერაფერს მოიგებს, პირიქით მისი საქმე დაცემის გზას დაადგება, მის წევრთა ზნეობრივ-სარწმუნოებრივი დონე შესამჩნევად დაიწევს; მისი ხელმძღვანელი იერარქია საერო მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობის ყურმოჭრილ მონად და პატივ-მოყვარე მატერიალისტთა ბრბოდ გადაიქცევა.—კიდევ უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩავარდება ეკლესია და კერძოთ მისი იერარქია, უკეთუ ამ უკანასკნელს სახელმწიფო რომელიმე სამოქალაქო ხელის-უფლებით დატვირთავს, საერო ადმინისტრატიული უფლებებით შემოსავს, რადგან ამ შემთხვევაში საეკლესიო იერარქია საერო მთავრობაზე დამოკიდებული გახდება, მის წინაშე პასუხის მგებელი შეიქნება, რის გამოც საერო მთავრობას ყოველთვის ექნება საბუთი სამღვდელო პირთა არჩევნებში ჩაერიოს, მორწმუნეთა მიერ არჩეული კანდიტატი არ დაამტკიცოს, მათთვის სასარგებლოსა და მოსაწონ მღვდელს ანუ მღვდელმთავარს რაიმე სამოქალაქო-ადმინისტრატიული ხრიკი მოსდვას და სამსახურიდან გადააყენოს ან გადასახლოს და სხვა. ერთი სიტყვით, აქ სამღვდელოება გახდება არა მარტო მონა საერო მთავრობისა, არამედ მისი პოლიტიკური მისწრაფების პირდაპირი იარაღიც, გაბატონებულ კლასთა ინტერესების დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი წოდება. და ეს ხომ პირდაპირი უარის-ყოფა იქნება იმ დიდებული პრინციპისა, რომელიც ქრისტიანობამ ამცნო ქვეყანას, როდესაც ერთხელ და საუკუნოთ აღიარა სრული განცალკევება საღმწერლებისა და პოლიტიკისა, სახელმწიფოსი და ეკლესიისა.

ყოველსავე ზემო თქმულიდან, ვგონებთ, საკმაოთ გამოირკვა, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს და რა საზღვარს არ უნდა გადაშორდეს მფარველობითი კანწყობიდან სახელმწიფოსი ეკლესიასთან, რას უნდა აძლევდეს პირველი უკანასკნელს და რას უნდა სჯერდებოდეს უკანასკნელი პირველისაგან: სახელმწიფო ვალდებულია მხოლოდ უზრნველ-ჰყოს ეკლესიის წევრთა ნამდვილი სარწმუნოებრივი თავისუფლება და საეკლესიო დაწესებულებათა ხელ-შეუხლებლობა ეკლესიის კარეშე მდგომ პირთა და დაწესებულებათაგან; ამაზე მეტი სახელმწიფოს არც ეუფლება და არც მოეთხოვება. ეს უნდა ითქვას საზოგადოთ ყოველგვარ სახელმწიფოზე, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოზე, რომელნიც თავის თავს ქრიისტიანობის მომხრედ აღიარებენ.

სახელმწიფოთა სწორეთ ამ ჯგუფს ეკუთვნის ბიზანტის იმპერია, ჩვენს წყაროებში «საბერძნეთად» წოდებული, რომელმაც თითქმის $11^1/_2$ საუკუნის განმავლობაში (313—1453 წწ.) ატარა ქრისტიანობის დროშა აფრიკაევროპის აღმოსავლეთ ნაწილსა და წინაა აზიაში, სანამ მის ნაოხარზე საბოლოოთ არ დამკვიდრდა მაჰმადიანთა სახელმწიფო—ოსმალეთი. ბიზანტიიდან მივიღეთ ქრისტიანობა ჩვენ, ქართველებმა (323—326 წელს[3]); იქიდანვე მიიღო აღნიშნული სარწმუნოება რუსეთმაც (988 წს), რომლის ხელშიაც დღეს ვიმყოფებით. როგორც რუსეთი, ისე საქართველო დიდხანს იმყოფებოდა ბიზანტიის კულტურულ გავლენის ქვეშ; კერძოთ, მოსკოვის მონარქები და პეტერბურგის იმპერატორები თავის თავს ყოველთვის ისე უცქეროდენ, როგორც ბიზანტიის იმპერატორთა მემკვიდრეებს, და მუდამ-ამ სცდილობდენ თვისი ურთიერთობა ეკლესიასთან იმავე წესით მოეწყოთ, როგორც ბიზანტიის იმპერიაში იყო მოწყობილი. დღესაც რუსის ზოგიერთი კანონისტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რუსეთის ეკლესის აწ არსებულს ანორმალურს სახელმწიფოებრივ მდგომარეობას ბიზანტიის იმპერატორთა კანონმდებლობასა და პრაკტიკაში მოუპოონ გასამართლებელი საფუძველი, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს გამართლება მეტათ ცალმხრივია და ზოგიერთ შემთხვევაში ბერძნულისა და ლათინური ტექსტის ტენდენციურ თარგმანზეა დამყარებული. მაშასადამე, თუ გვსურს, ჩვენი ეკლესის წარსულისა და აწმყო სახელმწიფოებრივ მდგომარეობის ნამდვილი ფასი შევიგნოთ, აუცილებლად საჭიროა გავიცნოთ, თუ როგორის კანონებით იყო უზრუნველ-ყოფილი და როგორი სახით ხორციელდებოდა შრაკტიკულად სინდისისა და ეკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში. ესევე მიმოხილვა შეგვაგზენებინებს, თუ როგორს შეცდომებს უნდა მოერიდოს შემდეგში ჩვენი ეკლესია სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოწესრიგების დროს.

რომ შრომა მეტისმეტათ არ გაგვიგრძელდეს, მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ შემდეგს ექვს უმთავრეს საკითხს:

I—როგორ უცქეროდენ ბიზანტიის იმპერატორები ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას?

II—როგორ სწარმოებდა ბიზანტიაში ქრისტიანობის გავრცელება?

III—იყო თუ არა ეკლესია თავისუფალი თავის კანონმდებლობაში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV—იყო თუ არა ეკლესია თავისუფალი სასულიერო სამართალში?

V—რა პრივილეგიებით სარგებლობდა ბიზანტიაში საეკლესიო იერარქია და როგორის წესით სწარმოებდა მისი წევრების არჩევა?

VI—დასასრულ, როგორი იყო ეკლესის ქონებრივი უფლებანი და რამდენათ იყო თავისუფალი ეკლესია თავის ქონებათა მართვა-გამგეობაში?

პირველს საკითხს აზრათ აქვს, გამოარკვიოს ბიზანტიის იმპერატორთა თეორეტიული შეხედულება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაზე. დანარჩენი საკითხები კი იმავე იმპერატორთა პრაკტიკულს მდგომარეობას შეეხება; სახელდობრ. მათ აქვთ აზრად გაარკვიონ, თუ რამდენათ შესძლეს ბიზანტიის იმპერატორებმა პრაკტიკულათ განხორციელება იმ პრინციპისა, რომელსაც თეორიაში აღიარებდენ. ვეცდებით უმეტესათ ფაკტების ენით ვილაპარაკოთ.

ახალი ხრიკი გლეხების ცარცვა-გლეჯისა.—გაგიგონიათ დამნაშავე თვითონ მირბოდეს სატუსაღოში?

სექტემბერი, ოქტომბერი და ნოემბერი ეს შემოდგომის თვეები შესანიშნავია ყველა მუშაკთათვის ვისაც უმუშავნია, დაუთესია და თავის ხელით გაუკეთებია რამე. ამ თვეებში ყველა მუშაკი მოიმკის და შეკრებავს ნაყოფს თავის დათესილისა და დამუშავებულისას. ვინც დროებას ატარებდა, ხელი არ გაუნძრევია იმან რაღა უნდა მოიმკოს? მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მუქთა მჭამლები, ეს თავიანთ კუჭის მონები უფრო ბევრს იმკიან და შეიკრებენ! გლეხი კრებავს და იმკის თავის ნაოფლარს, მაგრამ ეს საზოგადოების წრუბლები უფრო მეტს კრებავენ საცოდავი ყრუ და შეუგნებელი გლეხებისგან. დადგება თუ არა ნოემბრის თვე სასალდათო კენჭის ამოღებისა, ეს მუქთა მჭამლები მოიყრიან თავს და დაუახლოვდებიან სასალდათო კაცების ნათესავებს და მშობლებს და არ შეიძლება ფულები არ დასტყუონ. ზოგიერთების ვერაგობა და „მაშენიკური“ მოქმედება გამოაშკარავდა და გვეგონა თუ თავს დაანებებდენ, მაგრამ არ იქნა! ეხლა ისეთი ხრიკები გამოიგონეს, რომ ვეღარაფერს უგებენ და «მაშენიკების» საქციელი დაუსჯელად რჩება. საპიროდ მიგვაჩნია ეს ახალი ხრიკი ამ ვაკბატონებისა გამოვაქვეყნოთ, რომ იქნება ყრუ ხალხმა შეიგნოს რამე და ასე არ იცარცვებოდეს. აი რაში მდგომარეობს ეს ახალი ხრიკი. ერთ თუთხმეტიოდე საღ სასალდათო ბიჭებს დაპირდებიან, რომ ისინი როგორმე დაიმალონ, ასე, ორი კვირითი და მათ მაგიერად სხვას წაყვანინებენ. თვითონ-კი კენჭის გარეშე ესწრებიან და ტყობილობენ თუ ვინ წაიყვანეს ამ დამალული კაცების მაგიერ საღავათიანები და მეტი ნომრის ბილეთის მქონენი. როცა წაიყვანებენ აღრჩეულ სალდათებს მიუგზავნიან ამ დამალულ კაცების მაგიერ წაყვანილების მამას, დედას და ძმებს და დაიწყებენ ვაპრობას, თუ რამდენს მისცემენ, რომ მათი შვილი ანუ ძმა, რომ დაბრუნონ და განათავისუფლონ? გადაწყვეტენ „სასყიდელს“ თავის შრომისათვის ასი მანეთიდან ორას მანეთამდე და ისეთ პირობებს შეკრავენ, რომ უარის თქმა აღარ შეიძლება. მერმე ეტყვიან დამალულებს, რომ მათ სატიკი დასჯა მოელისთ თუ არ გამოეცხადენ მთავრობას. ისინიც მიდიან. გამოცხადებულთ აგზავნიან როგორც საღ კაცებს და დაბალი რიცხვის კენჭის მიმღებთ. ვინც დიდი რიცხვის ბილეთის ამღებნი იყვნენ ჭ საღავათიანები წაყვანილნი იმათ გზიდან და ხშირად რუსეთიდანაც აბრუნებენ უკან. ეს ბატონები ერთსა და იმავე დროს ფულსაც ხვეტენ „მაშენიკობით“ და საქმის გამრიგე კაცების სახელითაც გამოდიან საზოგადოებაში და დაბალი ხალხის გულშემატკივარად ეჩვენებიან ხალხს!..

გაგიგონიათ, მკითხველო, რომ დამნაშავე კაცი თვითონ გაქცეულიყოს სატუსაღოში და ეთხოვოს მთავრობისათვის: „შენი ჭირიმე გამიღეთ სატუსაღოს კარი და დამატუსაღეთო“? თქვენ მეტყვით, რომ ეს არასოდეს არ მომხდარაო. მე დაგიმტკიცებთ, რომ ეს ნამდვილად მოხდა ყვირილაში. დილის თერთმეტ საათზე მივარდა ერთი კაცი სატუსაღოს ჭიშკართან და ყარაულს დაუწყო თხოვნა: „შენი ჭირიმე შემიყვანეთ სატუსაღოშიო“. წადი და მაზრის უფროს თხოვეო, უთხრა ყარაულმა. შევარდა მაზრის უფროსთან და თხოვა: მიხედეთ, იწამეთ ღმერთი, დასასჯელი კაცი ვარ და დამამწყვრიეთ სატუსაღოშიო.

—საიდანა ხარ და ვინ გამოგზავნა, უთხრა უმფროსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ჭიათურიდან გამომგზავნეს და გთხოვთ შენი ჭირიმე დამამწყვრიეთ სატუსაღოში და მერე გამომკითხეთ...

გოცდა ყველა, მაგრამ აუსრულეს თხოვნა და შეიყვანეს სატუსაღოში. ეშველა საწყალს და დამშვიდებით ამოისუნთქა!

—ეხლა მოგახსენებთ ბატონო დამშვიდებით, დაიწყო დატ.ესაღებულმა, ჭიათურაში დაგვიჭირეს რვა კაცამდის და წამოგვიყვანეს ვაგონით შორაპანამდის. შორაპანში დაებარებიათ ყაზახები. რამდენიმე ყაზახებმა ჩემთან ვინც იყვნენ დაჭერილნი ისინი წამოიყვანეს და მე ორ ყაზახს ჩამაბარეს და წინ და წინ ცალკე წამომიყვანეს. სხვა ტუსაღები უკან ჩამოარჩინეს იმ ყაზახებმა და მე მარტო წამომიყვანეს. ვიგრძნე ჩემი უბედურება, ისინი როგორც მომაფარებდენ პატარა გორას იქვე გამომამთხოვებდენ წუთი სოფელს. მერე ვინ რას ეტყოდა? იტყოდენ გაიქცაო და ამით გათავდებოდა ჩემი საქმე!.. ამისთანა შემთხვევა ხომ ბევრი მომხდარა? პატარა ჩიგვნარი დვინახე და მოვკურცხლე რაც ძალი და ღონე მქონდა. ბევრჯერ მესროლეს, მაგრამ ხან აქეთ გაუხტენი და ხან იქით და ღვთის მადლით, ავიცილე. ბევრი მდიეს, მაგრამ ისინი როგორ მომეწეოდენ! ღვთის მადლით ეხლა ქე გადავრჩი იმათ ხელისაგან და შენი ჭირიმე თუ აქ მოვიდენ კარი არ გაუღოთ, თორემ მომკვლენ...

ბევრი ხანი არ გამოსულა მოატანეს ამ ყაზახებმაც. სანამ სატუსაღოსთან მოვიდოდენ ყვირილის ბაზარში ეკითხებოდენ: ტუსაღი ხომ არ დაგინახავსთო, მაგრამ არავინ არაფერი არ იცოდა ამის შესახებ ბაზარში. შეხვდა ამ ყაზახს ფოჩტალიონი რუსი, რომელიც წერილებს დაატარებდა დასარიგებლად. ამას კითხა ხომ არ გინახავს გაქცეული კაცი, ფოჩტალიონს გაუკვირდა და უთხრა არ მინახავსო. როგორ თუ არ გინახავს, და იმდენი სცემეს, რომ ერთი თვე ზეზე არ ამდგარა. სატუსაღოს, რომ მიუახლოვდა უთხრეს, რომ აქ მოვიდა ერთი ტუსაღიო და როცა დარწმუნდა, რომ იმთგან გაქცეული ტუსაღი იქ იყო, ბევრი იბრაგუნა მუში გულზე, მაგრამ ვინ გამოუყვანდა სატუსაღოდან, მით უმეტეს როცა გაიგეს გაქცეულისაგან ყველაფერი ამბავი... დიდ, ბევრი რამ ხდება ჩვენში, რომელსაც შემდეგი თაობა არ დაიჯერებს!..

მწარე ფიქრები.

ხშირად გაიგონებ კაცი: „რა კარგი იქნებოდა, რომ კაცის სიკვდილი არ გაჩენილიყო? ყველანი ვიცხოვრებდით მშვენივრად და ვიქნებოდით! რამდენი ნასწავლი კაცები გვეყოლებოდა, რომ ყველა ფილოსოფოსები და ნასწავლი კაცები არ მომკვდარიყვნენ?“ ერთის მხრით, რომ გასინჯავ კაცის ამისთანა სურვილს უნებლიეთ ეთანხმები. მაგრამ მეორეს მხრით, რომ დაუკვირდები საქმეს რწმუნდები, რომ ღვთისაგან უმჯობესად არის გაჩენილი ყოველივე და საცოდავ კაცს სრულებით არ შეუძლია ღვთისგან დაარსებული წეს-წყობილება დაიწუნოს და მისმა სუსტმა გონებამ რამე უკეთესად მოიფიქროს! რამდენი პოროტი და ქვეყნის დამღუპველი მოშორებულა ამ ქვეყანას სიკვდილით? რა იქნებოდა, რომ ის მტარვალები, რომელნიც ხალხის საუბედუროდ სცხოვრებდენ ქვეყანაზე, არ მოშორებოდენ ქვეყანას და სულ ნიადაგ ეცხოვრათ? მაშინ ხომ ჯოჯოხეთი ამ ქვეყნად იქნებოდა დამკვიდრებული? ვინც ერთხელ დაიჭერდა რომელიმე დიდ ადგილს მას ხომ იგი სხვას აღარ დაუთმობდა? ამასთან განა მოხუცებულთა შეეძლოთ რამეს გაკეთება ახალგაზდებთან ერთად? ყოველად შეუძლებელი იქნებოდა მაშინ ქვეყანაზე ცხოვრება და საქმის გაკეთება. ახალგაზდობა მაშინ განა დაუჯერებდა მოხუცებულთ და იმათ რჩევაზე გაივლიდა და შეასრულებდა რამეს? არასოდეს. ახალგაზდობა მოხუცებულთა რჩევას არასოდეს არ მოისმენდა და თავის გამოუცდელობით უთუოდ საქმეს წაახდენდა და ბოლოს ფათერაკს დაიბრალებდა!..

დაეკვირდით კარგად ხალხის ცხოვრებას თუ არ დარწმუნდეთ ჩვენი ნათქვამის სიმართლეში. ქვეყანაზე რაც უბედურება ხდება უმეტეს ნაწილად გამოუცდელობის ბრალია. რომ მოხუცებულთა და ნასწავლთ გამოცდილ კაცთა დაჯერება ყოფილიყო დარწმუნდით, ის უბედურება ჩვენ კუთხეს ასცილდებოდა, რაც ეხლა მას მიადგა და რომელმაც ასე გაათახსირა იგი. ყველა შეგნებული, ყველა მოხუცი, ყველა ნასწავლი ურჩევდა ჩვენს ახალთაობას, ჩვენს მოქადაგეებს და „ხალხის განმათავისუფლებელთ“, რომ ჭკუვიანად ემოქმედნათ, წინ დახედვით მოქცეულიყვნენ, გამჭრიახობა და შორს გამჭვრეტელობა გამოეჩინათ. მაგრამ ვინ გაგიგონა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგონებას ვინღა დაეძებდა სხვა რამე მეტსაც რომ არ დაგმუქრებოდენ. თუ სიცოცხლეს შეგარჩენდენ ათასნაირ უხიაგ სახელს გიწოდებდენ. მთელი ხალხის გულშემატკივარს ხალხის მტრად მოგნათლავდენ, უკუღმართ კაცთა შორის პირველად დაგსახავდენ და ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობის წინაალმდეგად ჩაგრიცხავდენ... ცხადათ ხედავდი თუ რა საფრთხეს და უბედურობას გვიმზადებდა ეს მოძრაობა, მაგრამ განა შეგეძლო ამის ჩაგონება ზოგიერთებისათვის? სრულებით არა. რამდენჯერ უმტკიცებდი ამ მოქადაგეთა, რომ ის არ მოხდება ჩვენში რაც არ ყოფილა და არ მომხდარა ევროპაში და ამერიკაში-მეთქი. მაგრამ ჩვენი ბატონი მქადაგებლები ყოველთვის ამას გაიძახოდენ: „ევროპა დიდი ხანია ჩამოგვრჩა და ჩვენ მას უნდა წინ გავასწროთო! შემდეგ ჩვენ წაგვბაძენ იგინიო“! ვეუბნებოდი, კაცო, რისი იმედი გაქვსთ? რა ძალა მოგეპოებათ საწინაალმდეგოდ? ჩვენ გვეუბნებოდენ იგინი: ჩვენი თავის იმედი გვაქვს და ამასთან ჟანდარმები, ყაზახები და ბევრი სალდათებიც ჩვენსკენ არიან გადმოსულნი, ისინიც ღონივრად იძახიან: „ძირსო“ და აქ რაღა უნდა იყოს საეჭვოო? როცა ამას გავიგონებდი მათგან ტანში ერეანტელი მივლიდა შიშისაგან. კაცო, ვეუბნებოდი მათ, იგინი თქვენსკენ გადმოსულან თქვენ დასაღუპავად და არა სასიკეთოდ. მაგრამ ვინ გიჯერებდა!

ერთ კურთხეულ დიდ ქალაქში პოლიცმეისტერიც კი „გადაიყოლიეს“ და დიდის თავმომწონებით ყოყოჩობდენ ამისთანა კაცის მომხრეობით. ამ კაცს აღარა დაუფიცეს-რა და ყველაფერი უამბეს, თუ რამდენი იარაღი აქვსთ და რა ქონების პატრონი ბრძანდებიან. მოუწონა ამ ვაჟბატონმაც. გავარდა ხმა: ესე და ეს პოლიცმეისტერი მოღალატეა მთავრობისაო. დაითხოვეს კიდეც. დადგა მეორე. დათხოვნილი დადის მოწყენილი! ჩვენი რეფორმატორები შესწუხდენ და როცა ნახვიდენ ეკითხებოდენ: როგორ ხართ, ახალ ადგილს არ გაძლევენ? მე კარგად ვარ, მაგრამ ექვსი მანეთის მეტი ჯიბეში აღარა მაქვს-რა. წარმოიდგინეთ ჩვენი გულუბრყვილო რეფორმატორების გულკეთილობა, ფულებიც მოუგროვეს ამ კაცს!.. დადგა სხვა კაცი იმ წინანდელი ჯგუფის კაცთაგანი, რომელსაც შეტყობიდენ ჰქონდა წინა მოადგილისაგან ყველა ავლა-დიდება ჩვენი რეფორმატორებისა და მთლად ააწიოკა და ბოლო მოუღო მათ სატახტო ქალაქს ნა—ას... თფილისის გუბერნიაში ცუდად წავიდა საქმე. ყველაფერი უფლებები ჩამოართვეს. ეხლა ფიქრი მართებდათ ქუთ. გუბერნიაზე. ზოგიერთებმა მოიგონეს ისეთი სიმაგრის გაკეთება სურამის ქედზე, რომ სურამიდან წამოსული ჯარი ვერას გზით ვერ გადმოსულიყო ქუთაისის გუბერნიაში. თქმა და ასრულება ერთი იყო. ერთს მეთაურს დაებადა დიდებული აზრი. „ფერლეს ორთქლმავალი გავხიროთ წიფის გვირაბში, სთქვა მან, და მორჩა! ჯარი აქეთ ვეღარ წამოვაო“! ასრულდა ბრძანება. ეს გახირებული ორთქლმავალი მანქანა ერთ საათზე ამოიღეს და მიიტანეს მიხაილოვში და ჯარი წამოვიდა თავისუფლად... გვირაბში რომ არ გამოეევლო ჯარს განა ხმელეთზე ვერ გადმოვიდოდა?!.

მაგრამ ამის წინაალმდეგ შეგეძლო ვისმეს რამე გეთქვა? ვერ გაბედავდი, ამისთვის, რომ გამოცდილი კაცების და შეგნებული პირების რჩევა უარ-ყოფილი იყო როგორც უსარგებლო, უკუღმართი და საზარალო „განმანთავისუფლებელის“ მოძრაობისათვის. შენ ძალაუნებურად ვაშა უნდა გეძახა ნაბადში გახვეულ მოქადაგეს ათვის, რომელსაც თვალების მეტი არა უჩანდა-რა. თუ მოისურვებდი მის ვინაობის შეტყობას მაშინ ჯაშუშათ მოგნათლავდენ და ჯაშუშობას რა მოელოდა ხომ კარგად იცით?..

*
* *

წარმოიდგინეთ ხალხი დიდი ხნის დამშეული და დაწყურებული. რამდენიც გინდა დაარიგე იგინი, რომ დიდი ხნის შემდეგ დამშევისა უზომოდ არავინ დაიწყოს ჭამა, უზომოთ არავინ დალიოს წყალი და ღვინო. უზომოდ ჭამა და სმა არასოდეს არ არის საზარალო ისე როგორც დიდი ხნის უმშელობის შემდეგ. მაგრამ ვინ გაიგონებს თქვენს დარიგებას? ვინ გაიგონებს თქვენს აღსნა-განმარტებას? ხედავთ რომ აგერ ზოგიერთი პირს აღებს, რადგან კუჭი ვეღარ ინელებს ნამეტნავად მიღებულ საქმელს, აგერ სხვას გულზე შემოწოლია, მესამეს ფაღარათი დამართნია და სხვები კიდევ სხვებრ წვალობენ! სწორეთ ასეთ დიდი ხნის დამშეულთა ხალხის სურათს წარმოგიდგენს თქვენ დღევანდელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები და ზოგიერთი მწერლები. გამოცხადდა თუ არა თავისუფლება მწერლობისა ერთბაშათ იცვალეს კილო და მიმართულება ჩვენმა მწერლებმა ისე თამამად დაიწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა და ისეთი კილოთი, რომ არც ერთ ევროპის სახელმწიფოში ვერ გაბედვენ ისე თამამად წერას. ამით ჩინებული გაზეთები წუთი-სოფელს გამოათხოვეს და სიცოცხლე მოუსპეს სრულიად. ესეთი საქციელით ხელის მომწერლებიც ისე დააფრთხენ, რომ გაზეთზე ხელის მოწერას ველარავინ ბედავს. ბიუროკრატიამ აქ კიდევ ერთი ხერხი ისეთი მოიგონა, რომ მისი წყალობით ჩვენში, ვგონებ ჟურნალ-გაზეთების საქმე ძლიერ შეფერხდეს. წინეთ გაზეთის გამოცემის ნება ძნელად თუ ვისმე შეეძლო, ხოლო დღეს თხოვნის მეტი საჭირო არა არის-რა. მართლაც გაზეთები სოკოებივით იზრდებიან, მაგრამ სოკოებივით მალე ჰქრებიან. ფოსტების სტატისტიკა საკვირველ ციფრებს გიჩვენებსთ გაზეთებზე ხელის მომწერთა ეხლა უმეტესობა ცალკე ნომრებად იყიდებიან გაზეთები, მაგრამ რედაქტორების ხარჯს მაინც ვერ დაფარავს გაზეთის შემოსავალი. უცხოეთის ქვეყნების ქალაქებში სადაც ორი, სამი, ოთხი და ხუთი მილიონი ხალხი სცხოვრებს ნახევარი მილიონიც რომ გაიყიდოს კმარა ხარჯის დასაფარავად და ჩვენში კი სადაც ასე ცოტა მკითხველები ჰყავს ჟურნალ-გაზეთებს რა შემოსავალი უნდა შემოუვიდეს რედაქციას?.. დიაღ, დიდათ დასაფიქრებელია ეხლანდელ ჟურნალ-გაზეთების ფინანსიური მდგომარეობა და საჭიროა წინდახედულობა. იმედია მკითხველი ამ გაფრთხილებას, ჩვენს რეტროგადობას არ მიაწერს. გარწმუნებთ არავის არ სწყურია ბეჭდვის თავისუფლება ისე როგორც ჩვენ, მაგრამ ეხლანდელი გენერალ-გუბერნატორების წინაღმდეგ ბრძოლა ბეჭდვითი სიტყვით მოუხერხებელად მიგვაჩნია. დარწმუნდით, საზოგადოებამ უგაზეთოდ უკეთ იცის რასაც ჩადიან „დამსჯელი რაზმები“. თქვენ გსურთ მთავრობას შეატყობინოთ? ეს „დამსჯელი რაზმები“ მთავრობისაგან გამოგზავნილნი არ არიან! იქნება თქვენ გინდათ უცხოეთის ხალხს აცნობოთ? თავს ვიტყუებთ, ევროპის ხალხიც ცოდვილი ხალხია და ზოგიერთ ადგილას ჩვენებზე უარესსაც ჩადიოდენ!.. გავჩუმდეთ? არა. ბევრი საშუალება არის ბეჭდვითი სიტყვას გარდა და ის ვიხმაროთ... სად არიან ჩვენი ხალხის წარმომადგენელები? რად გაჩუმებულან ისინი? თუ ისინი არას იტყვიან ხალხი რატომ არავის ირჩევს და არ ამდგობს ქომაგობას?

სოფლის ხუცესი.

რუსეთის სემინარიების ცხოვრებიდან.

თუ რამე ერთი პატარა შესამჩნევი ამბავი მოხდა ჩვენში მორთვენ ერთ დაულეველ განგაშს და მთელ ქვეყანას დაუმტკიცებენ, რომ მისი მსგავსი არასოდეს არსად არ მომხდარიყოს. ბოლოს გამოიგონებენ სასტიკ ზომებს და სამაგალითოდ დასჯიან ცოტა უმნიშვნელო საქმის ჩადენისათვის. აიღეთ მაგალითებრ 1893 წ., თფილისის სემენარიაში მომხდარი უწესობა. რაში მდგომარეობდა მოწაფეთა ეს უწესობა? იმაში, რომ მოწაფეები თხოვნა მიართვეს ექსარხოს და სთხოვეს თუ ცოტა საღვეთი არ მოგვეცა მოწაფეებს და ასე მეტის-მეტად ფიცხად მოგვეკიდა სემინარიის მთავრობა ჩვენ იძულებული ვიქნებით სწავლას თავი დავანებოთ და შინ წავიდეთო. შეიქნა ერთი უშველებელი გამოძიება. დიბარეს პოლიცია, მაგრამ პოლიციამ ნახა, რომ შაგირდები წყნარად იყვნენ და არა თუ საქმით, არამედ ერთი უშვერი სიტყვაც არ წარმოუთქვამთ. პოლიცია თავისთვის წავიდა და დაიბარა, თუ რამე უწესობა ჩაიდინონ შეგვატყობინეთ და დამნაშავეს დავიჭერთო. ბოლოს ასამდე შაგირდი გამორიცხეს და საქმე ამით გათავდა. უბრალო თხოვნის მიცემისთვის ასი შაგირდი გაუბედურდა და მშობლები ატირდა. ბეჭდვითი სიტყვამ მოითხოვა მიზეზი ასი შაგირდის გამორიცხვისა, მაგრამ მიზეზი არა სჩანდა. ბოლოს მოვიდა სინოდისაგან გამომძიებელი (შაგირდების გამორიცხვის შემდეგ!) გამოუცხადეს შაგირდებს, რომ იცნონ თავის-თავი დამნაშავედ და სთხოვონ სინოდს შებრალება. შეიტანეს გამომძიებლისაგან მოთხოვნილ ფორმაზე განცხადება. ორი თვის შემდეგ გამოეცხადათ შაგირდებს, რომ სინოდს არა აქვს უფლება ერთჯერ გარდაწყვეტილი დამნაშავე შაგირდების გამორიცხვაზე განჩინება დაარღვიოს და დამნაშავენი, როგორც, თვითონ განაცხადებენ გაამართლოსო. გათავდა ყველაფერი ამით!..

რუსეთის სემინარიის უწესობანი სულ სხვაგვარია. „მოსკოვის უწყებაში“ ჩვენ ვკითხულობთ წერილს, რომელშიაც არის აწერილი დიდი უწესობა ხარკოვის და სმოლენსკის სემინარიის შაგირდებისაგან ჩადენილი. ერთი მოწაფე მეხუთე კლასის, გვარად ლედიუხინი, რომელიც სხვებთან ერთად ყოფილა დათხოვნილი სემინარიიდან, სემინარიაში გამოცხადებულა მათრახით ხელში, სწორეთ იმ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა რექტორი, ინსპექტორი, მისი თანაშემწე და ერთი მასწავლებელი გამოვიდნენ კლასიდან. მივარდნია მათ და მათრახით უცემია ყველასათვის. ხარკოვის სემინარიელები აჯანყებულან მისთვის, რომ ნ დატუსაღებული შაგირდები შიმშილობაზე გაფიცულიყვნენ სატუსაღოში. რექტორი წასულა პროკურორთან და ყველანი გაუნთავისუფლებია. 1 დღის შემდეგ ამისა პირველი მეორე და მესამე კლასის მოწაფეებიდან შემდგარი გუნდი, რიცხვით 50—60, დილის ლოცვის შემდეგ, წასულან სამაცადინო ოთახებში და მყრალი სუნიანის ნივთიერებით შეუწყვეტიათ სწავლა, მერმე მისულან რექტორის ბინაზე, რომელსაც საღამოს შვილი სტუდენტი მოკდომოდა და მოუთხოვიათ, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებინა მას თავის თანამდებობა. რექტორს უთქვამს მათთვის, რომ მას არ შეუძლია პასუხი გასცეს, რადგან დიდად შეწუხებულია შვილის სიკვდილით და უთხოვია რამდენიმე დღის ვადა და მერე მოგელაპარაკებითო. მაგრამ მოწაფეები შეხტომიან ოთახში რექტორს და მოუთხოვიათ, რომ დათხოვნილი 23 მოწაფე და ახლად განთავისუფლებულები სატუსაღოდან 5 მოწაფე მიეღო ისევ სემინარიაში. რექტორს მოესმინა თუ არა ეს უარი გამოუცხადებია მათი თხოვნის აღსრულებაზე. ამ სიტყვების თქმის შემდეგ ერთ სემინარიელს შუშით შეუსხამს სახეზე გოგირდის სიმჟავე, რომელიც საბედნიეროდ თვალებში არ შესხმია, თორემ მაშინვე დაბრმავდებოდა. მერე სხვა შაგირდებს გადაუსხამთ ნივთებისთვის და ავეჯეულობისათვის ეს სიმჟავე, დაუმტვრევიათ სარკეები, ჩამოუწყვეტიათ ყურზე მისადები პატარა ბუკი ტელეფონისა, რომ ტელეფონით არავისათვის შეეტყობინებიათ ეს ამბავი. ცოტა ხნის შემდეგ სემინარიაში მისულა ჯარი. სემინარიის 6, 5, 4 და 3 კლასის მოწაფეთა უმეტეს ნაწილს მონაწილეობა არ მიუღიათ ამ არეულობაში.

აღრჩევა სასულიერო წოდების მხრით სახელმწიფო საბჭოში ექვსი წევრისა.

როგორც იციან მკითხველებმა სახელმწიფო საბჭოში მართლმადიდებელ სასულიერო წოდებას ეყოლება ექვსი წევრი, სამი თეთრისა და სამი შოსანა სამღვდელოებისაგან. სამს წევრს ირჩევს ყველა ეპისკოპოსები და სამს ყველა სამღვდელოება. კენჭის ყრა და არჩევა მეტის-მეტად უხერხულია. თითოეულ საბლაღოჩინო ოლქშია კენჭის ყრა. მართალია უქაზი აცხადებს, რომ სამღვდელოებას შეუძლია ამოირჩიოს გარეშე საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოებაცაო, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მთელი ეპარქიის სამღვდელოების მოლაპარაკება წინ-და-წინ და კანდიდატების დასახელება. როგორ აირჩიოს სამღვდელოებამ კანდიდატი თუ არავის არ იცნობს და სახელი და გვარიც აო იცის? ყოველ საბლაღოჩინოში ირჩევენ ან ბლაღოჩინს და ან ერთ ვისმე მღვდელს. რასაკვირველია არც ერთ ამათ არ შეხვდება აღრჩევა, რადგან რუსეთის საბლაღოჩინო ოლქები უფრო დიდია და მათ შეხვდებათ მეტი ხმა. რაიცა შეეხება ეპისკოპოსებს ისინი უმეტესად, რასაკვირველია, მიტროპოლიტს ანტონის აირჩევენ პატივისცემისათვის, რომელიც როგორც ისმის ხელმწიფისაგანაც არის არჩეული საბჭოს წევრად. როგორც სჩანს ამ ანგარიშით საქართველოს ეკლესიას არც დუმაში და არც საბჭოში არც ერთი წევრი არ ეყოლება.

მხოლოდ ის დაგვრჩენია სანუგეშოდ, რომ ეს პირველი კენჭის ყრა გამოსაცდელად არის ამ პირველად შემოღებულიო. შემდეგ გვპირდებიან უკეთესად მოგვარებას ისე როგორც პირველი გამოცდილება გვაჩვენებსო. ვნახოთ.

დ. ჯ. ღ.

სამეურნეო ბანკის გაძარცვა და გ. ს. ბანძიელის მოკვლა.

6 აპრილს დილის ასე 11 საათი იქნებოდა, 15—16 შეიარაღებული კაცი თავს დაეცა სასახლის ქუჩაზედ ტფილისის სამეურნეო ბანკს და გაძარცვეს, რომლის დროსაც მოჰკლეს ბანკის გამგეობის თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარე გიორგი სპირიდონის-ძე განძიელი. ამ დროს ბანკში ყოფილან გამგეობის თავმჯდომარე გ. ს. განძიელი გამგეობის წევრი რ. ყიფიანი, კასირი გ. ყიფშიძე და სხვა მოხელენი. გარეშეთაგან ყოფილან ბანკის საბეჭოს წევრი ნ. თ. ხიზანაშვილი და ერთი მანდილოსანი მოსწავლე შვილითურთ. ბოროტ-მომქმედნი ასულან ბანკის სადგომში, ხოლო ძირს რამდენიმე ადგილას დარაჯები დაუყენებიათ. როგორც კი ასულან კიბეზედ, ბანკის ერთ მოსამსახურეს, რომელსაც რევოლვერი ჰქონია, ამოუღია წინააღმდეგობის გასაწევად, მაგრამ წასწდომიან და რევოლვერი წაუართმევიათ. რამოდენიმე კაცი იარაღით ხელში თავს დასდგომიან მოსამსახურეთ პეტრე ლევანისძეს და კოსტა შენგელიას, ხოლო დანარჩენები გამგეობის კაბინეტის კარებს მისწოლიან და, რადგანაც კარები დაკეტილი ყოფილა, პირდაპირ ბანკის სამოქმედო დარბაზში შესულან. რამდენსამე კაცს ბანკის მოხელეებისათვის შეუძახნიათ: „ხმა არ ამოიღოთ თორემ გაგათავებთო!“ ამ ხმაურობაზე გამგეობის დარბაზიდან გამოსულა გ. ს. განძიელი, რომელმაც დააუწყო ბოროტმოქმედებს ლაპარაკი: „რა გინდათ, გაგვაგებინეთ. ვინა ხართ“-ო! და სხვა. ამ ხანში ორი შესულა გამგეობის კაბინეტში და იქ მყოფი ნ. თ. ხიზანაშვილი უკან პატარა ოთახში, სადაც ტელეფონია გაკეთებული, იქ გაუყვანიათ, დაუწყვდევიათ და უთქვამთ: „ხმა არ ამოიღოო!“ ხოლო სამი შესულა კასაში და იქაც კასირის გ. ყიფშიძისათვის ერთს რევოლვერი მიუღირებია, ხოლო სხვები შესდგომიან უჯრიდან ფულის ამოღებას. ყუთში და სტოლზე დაწყობილი ფული, სულ 7,000 მანეთამდე წაუღიათ. იქვე ყოფილა საკვიტანციო 12,000 მანეთის ფასიან ქაღალდებით სავსე და ისიც წაუღიათ. სტოლზე ყოფილა ყუთში 11,000 მან., მაგრამ მისი წაღება ეღირა მოუსწრიათ. როცა წასვლა სდომებიათ, გამგეობის თავმჯდომარე გ. ს. განძიელი ეხლა უფრო გამწარებულად დატრიალებულა; ხან ერთს მივარდნია, ხან მეორეს და ხმა მაღლა დაუწყია ყვირილი. თურმე განსვენებული მიმავალ მძარცველებს მისდევდა და თან მიჰყვიროდა: რას შერებით, სად მიგაქვთ ფულიო?!! კარებში შეჯგუფებულ მძარცველთაგანს ვიღაცას დაუძახნია: „მოჰკალით ეგ ბებერიო“! და ამ ხმასთან ერთად 4—5 უსროლიათ რევოლვერი და გ. ს. განძიელი იქვე კარებთან მოუკლავთ. ჩასულან სარაჯიშვილის სახლის ეზოში და რადგანაც სასახლის ქუჩით გასვლა ეღირა გაუბედნიათ, დაუპირებიათ ეზოს მხრით ლორის მელიქოვის ქუჩისაკენ წასვლა. ეზოში რევოლვერის ხმაზე გამოცვივნულან ვაჭრები, მეეზოვე და გარეშე იქ მყოფნი. აქ ეზოში მძარცველებს გადაუგდიათ ყუმბარა, რომლითაც დაჭრილა მეეზოვე თადეოს თათეოსიანცი და ვაჭარი ებრაელი სოლომონ მოშოვიჩი. ყუმბრის ძლიერმა ხმამ საშინელ თავზარდამცემ მდგომარეობაში ჩააყენა სასახლისა, პუშკინისა და ლორის მელიქოვის ქუჩებისა და ერევნის მოედნის ვაჭარნი და მცხოვრებნი. ხალხმა ვერ გაიგო ეს ამბავი, მოაგონდათ დეკემბრის ამბები და საჩქაროდ შეუდგნენ დუქნების კეტვას. ვინც აქ ახლო-მახლო გამვლელი იყო, შიშისაგან გაიქცნენ. ბანკში მოსამსახურეთ, როცა-კი შეიტყვეს, რომ მათთვის მძარცველები საშიშონი აღარ იყვნენ, გაღეს ფანჯრები თურმე და სასახლის ქუჩაზე გასძახეს: «გვიშველეთ, გაგვძარცვესო»! გავიდა ოციოდე წამი და მაშინ გაჩნდა ტფილისის პოლიცმეისტერი მარტინოვი ყაზაზებით. მოიყვანეს ჯარის კაცნი და მთელი უბანი შეჭკრეს. დაფათურდნენ, მაგრამ მძარცველები ისე მიიმალნენ, რომ იმათი ასავალ-დასავლისაც ვერა გაიგეს-რა. მოკლული გ. ს. განძიელი და დაჭრილები მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. პირველ საათზედ მოვიდნენ ტფილისის სამოსამართლო პალატისა და ოლქის სასამართლოს ბრალმდებელნი, გამომძიებელნი და შეუდგნენ გამოძიებას.

საკვირველი ის არის, რომ სასახლის ქუჩაზედ, სწორედ ბანკის პირდაპირ პოლიციელის სადარაჯო ადგილია. იქვე სამხედრო შტაბის შესავალს სამი ყაზახი რუსი იცავს, ეს საქმე მოხდა, და ისე მიიმალნენ, რომ მძარცველებს მდევარიც არ გამოუჩნდა. (შრომა).

მიწის ძვრა და ვეზუვის ამოეთქვა.

იტალიას ამ რამდენისამე თვის განმავლობაში ზედი-ზედ ორი უბედურება ეწვია. ჯერ იყო და მიწის ძვრამ კალაბრიას აუარებელი ზარალი მიაყენა და ხალხიც მრავლად იმსხვრეულა, ეხლა კი ვეზუვის ვულკანმა, რომელმაც ერთ დროს უშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელი და უმდიდრესი ქალაქი პომპეი შთანთქა, ხელმეორედ გაიღვიძა და იქაურობა მიანგრ მოანგრია. უკანასკნელ ერთი თვის განმავლობაში მთელი დედამიწა შეიშმუშვნა და დიდი უბედურება მიაყენა კაცობრიობას. კუნძულ ფორმოზაზე რამდენიმე ასი ადამიანი დაიღუპა და აუარებელი შენობა დაინგრა. დასავლეთ ამერიკის უმდიდრესი ქალაქი სან-ფრანციასკო დედამიწის პირიდან აღიგავა. გადარჩა მხოლოთ მეხუდები თუ მეექვსედი დიდი უზარ მაზარი ქალაქისა. სან-ფრანციასკოსთან ერთად უბედურება მთელი კალიფორნიას დაატყდა, მიწასთან გასწორდა მთელი ქალაქები და სოფლები. დეპეშები ამ ანბავს კანტი კუნტათ გადმოგვცემენ, შემდეგში დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველებს იმ უბედურებას, რომელიც კალიფორნიას ეწვია.

ვინ იცის, უკანასკნელია ეს მსხვერპლი თუ ქვეყნის რომელიმე კუთხე დღეს თუ ხვალ ისევე მოისპობა, როგორც სანფრანცისკო მოისპო!..

ვეზუვის ვულკანმა უკანასკნელ ხანებში მძლავრად 1872 წელს ამოხეთქა. საზოგადოდ, ვეზუვი განუწყვეტლივ მოქმედებდა: ხან ძლიერდებოდა ხან სუსტდებოდა. თითქმის წელიწადი არ გასულა ისე, რომ ვეზუი არ შემძრეულიყო, მაგრამ დიდის ხნით შეჩვეული ხალხი ამას არ ერიდებოდა დარწმუნებული იყო, რომ ვეზუვის მახლობლად გაშენებულ ქალაქებსა და სოფლებს საფრთხე არ მოელის. ვულკანის გარშემო მრავალი პატარ-პატარა ქალაქი და სოფელი გაშენდა, იქაურობა ვენახებითა და ბაღებით გაივსო, ხოლო ზედ ვულკანზე ფუნიკულერი აიყვანეს და ობსერვატორიაც კი ააშენეს. კალაბრის მიწის ძვრამ მეცნიერნი, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა, ვეზუვის მოქმედების განახლებასა მოელოდენენ, მაგრამ იმას კი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მძინარე ვულკანი ამ ძალას გამოიჩენდა.

25 მარტს ღამე ვეზუვის მთავარი კონუსი ჩაინგრა, მიწა მძლავრად იძრა და იმ ადგილას, საიდანაც 1895 წელს ლავა*) ამოდიოდა, ახალი კრატერი**) გაჩნდა.

ხალხი ფეხზე წამოიშალა. ობსერვატორიიდან ყველა გაიქცა. ვულკანმა იხეთქა და ირგვლივ ყველაფერი გაანათა. ზეიდან წამოსულმა ლავამ გაანადგუოა ფუნიკულერის სადგური, ობსერვატორია, რკინის გზა და ახალი სასტუმრო. კრატერიდა ამოდიოდა აუარებელი ფერფლი და მსხვილი ქვიშა რომელიც ერთი ვერსის სიმაღლემდის ადიოდა. მიდამო ფერფლით იყო დაფენილი. ადგილ-ადგილ ფერფლის სისქე საჟენ ნახევრამდი იყო და ტელეგრაფის ბოძებს მალავდა. დრო გამოშვებით ისეთი გრიალი და ჭექა ისმოდა, რომ შორეულ ქალაქებსა და სოფლებში ფანჯრების მინები სკდებოდა. კრატერს 75 საჟენის სიმაღლე ცეცხლის ბოძი ედგა.

მთელი ნეაპოლი და ახლო მახლო გაშენებული დაბა-სოფლები და ქალაქები ფეხზე იდგა. მთელი მთა ალის ფრად იყო შეღებილი, მთავრობა, რასაკვირველია, მაშინვე დაფაცურდა ჯარი ფეხზე დააყენეს, ყველგან შესახვევი მასალა გაჰგზანეს და მოემზადნენ. ზეკით მთიდგან გამდნარი ლავა მოდიოდა და ანადგურებდა ვენახებს, სოფლებს, ქალაქებს და, საზოგადოდ, ყველაფერს რაც კი გზაზედ ხვდებოდა. რამდენი გემი და მატარებელიც კი მოიძებნებოდა, სულ ვეზუვისკენ გაეშურა ხალხის გადასარჩენადა. ლავის სიგანე ადგილ-ადგილ ნახევარ ვერსზე აღწევდა.

ირგვლივ ჩამოცხა, ჰაერი შეიხუთა, გაზებით მოიწამლა. ლავა იმავე წუთში ანგრევდა ქვის სახლებს და ყველაფერს ადნობდა. ნეაპოლის მახლობლათ რკინის გზაზე მატარებელის მიმოსვლა შეჩერდა, რადგან გზაზე იმოდენაფერფლი დაეშვა, რომ მატარებლისა მიმოსვლა შეუძლებელი გახდა. სან-ჯუზეპეში ფერფლისა სიმძიმისაგან ეკლესია და რამდენიმე სახლი დაინგრა. ქალაქი ■ბოსკოტრეკასე, სადაც 10,000 მცხოვრები ითვლებოდა, სულ დაინგრა.

29 მარტს ლავა შედგა და გაიყინა. მაგრამ ლავაზე მეტი ზარალი ფერფლმა მიაყენა ხალხს. დ. ოტიანო სადაც 13,500 მცხოვრები ითვლებოდა, ფერფლის ქვეშ არის დამარხული. ამ დაბაში დაიღუპა 200 კაცი, სხვები აქეთ-იქით გაიფანტენ და თავს უშველეს. სან-ჯუზეპეში დაიღუპა 150 კაცი ამ ქალაქებს გარდა დაზარალდა მრავალი სხვა სოფელი და დაბა. ვეზუვის გარშემო რამოდენიმე ათი ათასი კაცი სცხოვრობდა. ყველანი აქეთ-იქით გა-

*) ლავა ის გამდნარი ნივთიერებაა, რომელიც ვულკანიდან ამოდის.

*) კრატერი ჰქვიანი იმ ორმოს, ამოხეთქილ ადგილს, საიდანაც ლავა ამოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იფანტნენ, მაგრამ ბევრი შინ დარჩა, გაქცევაც არსაით არ შეიძლებოდა.

ოლივიტოს დახურულ ბაზრის სახურავმა ფერფლის სიმძიმეს ვერ გაუძლო, ჩაინგრა და 200 კაცი გაპყლიტა. თუ რა მანძილზე მიდიოდა ფერფლი, იქიდან სჩანს, რომ ზღვის მეორე ნაპირას, ჩერნოგორიაშიც კი დაედო დედამიწას ვეზუვიდგან ამოხეთქილი ფერფლი.

საერთო ზარალი მილიონობით უნდა იანგარიშონ. კარგი საქმე მოუვიდათ მხოლოთ მეცნიერებს, რომელთაც მასალა გაუჩნდათ, დილიდან საღამომდის ვულკანს უყურეან გარშემო და იკვლევენ დედამიწის გულის საიდუმლოს.

ნეკროლოგი.

† მღვდელი სერგო ძალაძე

1905 წლის ქრისტეშობისთვეს, ს. ეწერში (კუდაშის სიბლიდრჩინაში) გარდაიცვალა ამაგე სოფლის მღვდ. სერგეი ათანასეს-ძე ჯალაძე. ამ ადამიანის კარდაცვალება მატომ მსურს ადგილშო სასულიერო ორგანოს თეურცლებზე, რომ განსვენებული, როგორც ადამიანი და მღვდელი-სულიერი მამა, იშვიათი სულიერის თვისებით იყო შემკული.

განსვენებული ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, დაბადებიდგან ორმოცი წლის. მართ-მადიდებელ ეკლესიას მან 18 წელიწადი ემსახურა, 5 წელ. როგორც სამრევლო სკოლის მასწავლებელი, 13 წელ. როგორც მღვდელი. თავისი სამწესო უნაკარო სულით და გულით უყვარდა განსვენებული. როგორც სულიერი მამა-მოძღვარი, ის განუწყვეტლად ზრუნავდა სამწესოს ზნეობრივ წარმატებისთვის. მას კარგად ქონდა შეგნებული, რომ სიღარიბისა, ეკონომიური დაქვეითების გამო კაცი ხშირად სჩადის სხვა-და სხვა დანაშაულებას, მოქმედობს სინდისის წინააღმდეგ, სთელავს ზნეობრივ პატიოსნებას, ამიტომ ის განუწყვეტლად ზრუნავდა ჩაეგონებინა სამწესოსათვის, შეერთებული ძალით წინ წაეწია თავისი ეკონომიური მდგომარეობა. ამისთვის უფრეველ სამწესოს საკრთო თანხით შეეძინა კუმეჯობესებული მიწის დასამუშავებელი იარადები, რომელიც საშვალებას მისცემდა მეტრომელ ბელეს თუ აზნაურს ტოტა შრომით უფრო მეტი შეეძინა და მორჩენილი დრო სხვა სასარგებლო საქმეებისთვის დაეხარჯა; გაეჩინა ბრეშუმის ჭია, კეშენებით ვენახები და სხვა სასარგებლო მცენარეები. განსვენებულის ასეთი ქცევა ორ უნაოფოდ დარჩენილა: მის მრევლში ადგილ-ადგილ კიდეც შეიძინეს გუმეჯობესებული იარადები და მისივე ჩაგონებით და მეთაურობით ს. ეწერში დაარსდა სახოგადო დუქანი და ბედელი, რომელთა მართვა-გამგეობაში დაარსებას შემდეგ იდებდა აქტიურ მონაწილეობას; სხვათა შორის თავმეჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელიც დუქნის წარმოებას განაგებდა.

ორ ნაკლებ გონებრივ უურადღებას აქცევდა განსვენებული სამწესოს გონებრივ განვითარებას საქმეს. სამრევლო სკოლა დვიძი შვიდი უეგარდ და ჩინებულ ფეხზედაც ყავდა დაუენებული. მოზრდილთათვის სცადა სამკითხველოს დაარსება სკოლასთან; ორ ერთულ სთხოვა განსვენებულმა ადგილობრივ სასულიერო სამოსწავლო უწყებას სამკითხველოს განსნის ნებართვა სოფელში, მაგრამ ბიუროკრატია ეოვეულთვის ეჭვის თვალით უურებდა მის თხოვნას და ისეთ პირობებს უსვამდა, რომ სამკითხველოს დაარსება სასურველ ნაოფოს ვერ გამოიღებდა, და განსვენებული იძულებული იყო ხელი აედო სამკითხველოს დაარსებაზე.

თვითონ რამდენათაც შეეძლო ეოვეულ გვარ ცნობებს აწვდიდა სამწესოს. განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში ძრიელ დაუსხდოდა მრევლს; ეწერში და ლხინში მუდამ მასთან იყო და წინ მიუძღოდა მას, „ჩვენო კარგო ამხანაგო“, დასტირიდა განსვენებულს დაობლებული სამწესო. საკუკნად იყოს ხსენება შენი დიდსეფლო! მუშაკო.

ბ.

ბიჭუნას.

გამოწყდი შენს გვარტომებში
შენ უნამუსოვ «ბიჭია»!
გული-გონებით მურტალდო,
შეიკარ-დრანჭი კრიჭია.

—

რათ გვინდა, რომ დაგვანახო
წამლით ნაკლესი კბილები,
ვიცით, რომ უწმიდურების
აზრით ხარ შიგ კასვრილები.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით ლაქუტობ მელურებ,
საქმით გგელავთ ჭრელია,
მისებრვე დაუნდობელი,
შურით ადსავსე, მტრელია!

—

მოძმის სიკეთე სამსალად
კარდაგესხმება გულზედა;
თვალდან ჩინი გაკდება
სიწრფელის დანსგაზედა.

—

ტარაკუშობ და არ გშვენის,
სასმენად დასადონია;
შენი სიალბე, სირეგვნე,
სიბრძნის ჭურჭელი გგონია!

—

არ დირხარ ადსაწერადა,
სიშურის მონა, ფალია;
გიჯობს ეცადო ზნე-ფერი—
ბიდწი და მოსრიდია!

—

მაშ რადად უნდა გვიკრიჭო
წამდით ნაკლესი კბიდები.
ვიცით, რომ უწმიდურების
ადრით ხარ შიდკასვრიდები!..

თ. რიასტომ—გუძა ჩიქოვანი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პეტერბურგში ამას წინად მეორე გამოცემად დაიბეჭდა ზურაბ ავალიშვილის საინტერესო ისტორიული მონოგრაფია „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ ამ წიგნის შესახებ გაზეთ „სტრანა“ში მოთავსებულია მ. პ-ის რეცენზია შემდეგის საყურადღებო შინაარსისა:

„სახელმძღვანელო წიგნების კითხვამ იმ აზრს მიგვაჩვია, რომ საქართველოს შეერთება რუსეთთან ერთმანეთის თანხმობით მოხდაო. საქმე რომ მართლა ასე ყოფილიყო, რუსეთის მთავრობას მცირე საფუძველი მაინც ექნებოდა, რომ თავისი თავი საქართველოს იურიდიულ ბატონად ჩაეთვალა და ამავე დროს დაემყარებინა ის პოლიციური წესწყობილება, რომელმაც დაამახინჯა და გადაგვარა უფლებრივი მცნება პატარა, მაგრამ ენერგიით სავსე ქართველ ხალხისა. ბ-ნი ავალიშვილი თავის დასაბუთებულ წიგნში ცხად ჰყოფს იმ ეგზამარიტად მოურიდებელ გზას, რომლის საშვალებითაც საქართველოს თვით მართველობის უფლება ხელიდან გამოაცალეს და გარდაქმნეს უუფლებო და უმნიშვნელო ოლქად. ფაქტიურად საქართველო რუსეთს არ შეუერთებია, რადგან პავლე I-ის მანიფესტი 18 იანვრის 1801 წლისა, რომლითაც ქვეყანას ამცნეს, რომ ვითომ საქართველოს მეფემ თავის ნებით უარ ჰყო ტახტი რუსეთის სასარგებლოდ, აღმოჩნდა ერთის მხრივ დოკუმენტად პეტერბურგის პოლიტიკისა. გიორგი XII-ს მემკვიდრენი ძალა-უნებურად უნდა შერიგებოდნენ არსებულ ფაქტს და სამუდამოდ იმედი დაეკარგათ ქართველ მეფეთა ტახტის დაბრუნებაზე. რუსეთმა საქართველო კი არ დაიპყრო, არამედ დაიმორჩილა და წართვა როგორც კანონმდებლობითი, ისე ადმინისტრატიული უფლებანი. თუმცა საქართველოს რწმუნებულებმა, როცა 1806 პეტერბურგში იყვნენ, თანხმობა გამოაცხადეს იმაზე, რომ საქართველოს დამოკიდებულება რუსეთთან კანონმდებლობის მხრით უნდა ყოფილიყო, ხოლო აღმასრულებელი უფლება უნდა შერჩენოდა საქართველოს მეფეების დინასტიის ბაგრატიონებს. ესეთია იურიდიული დასკვნა ავალიშვილის ფრიად საყურადღებო გამოკვლევისა“.

რა ამბებია და რასა სწერენ ჟურნალ-გაზეთებში?

სასულიერო წოდება უნდა გაერიოს სახელმწიფო პოლიტიკის საქმეში? რა ადგილს დაიკავებს სახელმწიფო სათეობიროში ჩვენი სამღვდელოება?

უწმიდესმა სინოდმა გაუგზავნა ყველა მოძღვრებს ეპისტოლე, რომ იგინი არ უნდა ერეოდენ სახელმწიფო პოლიტიკის საქმეში ჭ დარიგება მისცა თუ როგორ დაიპირონ თავი ეხლანდელი ხალხის მოძრაობის დროს. ამ ეპისტოლეს გამო პრიოვატ-დოცენტი სტროევი ს.-პეტერბურგის უწყებაში სწერს შემდეგს:

ჩვენ სრულებით ვეთანხმებით იმ აზრს, რომ ეკლესიის მოსამსახურე უნდა იდგეს გარეშე ყველა პარტიებისა, მაგრამ უნდა მოშორებული იყოს ერთნირად ყველა პოლიტიკური მოქმედებისაგან ვის სასარგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც უნდა იყოს ეს მოქმედება: მართებლობის სასარგებლოდ იქნება თუ წინააღმდეგ მართებლობისა.

ეკკლესია არის საუკუნო დაწესებულება, და ღვთაებრივ მისმა დამაარსებელმა პირდაპირ სთქვა: „მეუფება ჩემი არა ამ ქვეყნისაა“. ვინც სთვლის თავისთავს მის წინამოადგილად რათ ეკავშირებიან და ემხრობიან ამა თუ იმ პარტიას?

მიიქცენ ისინი და თვალი გადაავლონ თავის ეკკლესიის ისტორიას და ეს ისტორია ეტყვის მათ თუ როგორ უნდა მოიქცენ იგნი იმისთანა არეულების დროს, როგორშიაც ვსცხოვრებთ ჩვენ. დე შეხედონ მათ თუ როგორ იქცეოდენ პოლიტიკური ბრძოლის დროს ეკკლესიის უკეთესნი წარმომადგენელნი ყოველ-დროში; როგორი ადგილი ეჭირა მას სანამ არ მოიხრიდა თავს ამაო ამა წუთის-სოფლის ინტერესისთვის.

იგი არასადეს არსად არ მიიღტოდა, რომ დ.ეჭირა ადგილი წინააღმდეგ მართებლობისა, მაგრამ ამავე დროს გაბედულად და გადაწყვეტილად ამხილებდა მათ იმ შემთხვევაში როცა სცოდავდენ დიდ და საუკუნო ზნეობით კამნთა წინაღმდეგ. ქრისტეს არ აუშფოთებია ხალხი იროდის და პილატეს წინააღმდეგ, მაგრამ ამას არ მოუწლია ქრისტესთვის რომ იროდისათვის ეწოდებია მელა და დაეცვა ხალხის თვალში ისინი, ვისი სისხლიც პილატემ შეურია მათ მსხვერპლს. როდესაც პოლიტიკური მნებელობა აღინთებოდა ეკკლესია ყოველ-ღონეს ხმარობდა მის დასაცხრომად; იგი ერთგვარად მაცადინობდა შეეკავებია მთავრობა ფიცხელი, მკაცრი და მოუფიქრებელი რეპრესიებისაგან (დასჯისაგან) და ხალხის აბობოქრებული ამბოხებაც. (მაგალითებრ, წმ. იოანნე ოქროპირი ანტიოქიაში).

მის თვალში სრულებით არ ყოფილან მეამბოხენი: ყველანი ერთნაირად იფარვიდენ თავს მის წმიდა კალთას-ქვეშ, ის ერთნაირად თხოვილობდა მოწყალებას დამორჩილებულთათვის განურჩევლად რისთვისაც იბრძოდენ იგინი. შეხედეთ როგორ იქცეოდა ის, რომელსაც ჩვენი ეკკლესია ასეთ პატრეს სცემს.

წმიდა ნიკოლოზი ხელიდან გამოსტაცებს ხმალს ჯაღათს და განათავისუფლებს თავის მოჭრისაგან სიკვდილით დასასჯელებს. წმიდა ამბროსი მედიოლანელი არ აზიარებს იმპერატორს, რომელმანაც ამოხოცა მეამბოხენი; წმიდა იგნატი პატრიარქი კონსტანტინოპოლელი იმპერიის მმართველს არ აზიარებს ცუდად მოქცევისათვის დედაკაცებთან; დასასრულ ჩვენი წმიდა ფილიპე როგორ მოიქცა?..

აი ის წმიდა სახეები, რომელთაც ეკრძალებოდენ და ყოველთვის შემდეგშიაც საკრძალველი იქნებიან მრავალ, მრავალ შთამოებისათვის.

* * *

ახალი წეს-წყობილებით სახელმწიფო საბჭოში ექვსი ადგილი უკავია სასულიერო წოდებას. ამასთან სამი იქნება თეთრი სამღვდელოებისაგან არჩეული და 3 მღვდელთმთავრებისაგან—შავი სამღვდელოებისაგან. ამ ახალ კანონმდებლობის-გამო საეკკლესიო მოამბე“, პეტერბურღლის აკადემიის ორგანო საფუძვლიანად სთვლის, რომ მანიფესტი 20 თებერვლიდან არა თუ მარტო მისსიონერული, არამედ დიდ საპასუხო მოვალეობას აკისრებს სამღვდელოებას.

20 თებერვლის მანიფესტი ეკკლესიას აახლოვებს თავის დანიშნულებას—მიახწიოს კანონიერ თვით-მართვა-გამგეობას. ამ მინიჭებული უფლებით ეკკლესიამ უნდა ისარგებლოს, რომ მოიპოვოს ეს თვით-მართველობა. აღრჩეულნი საბჭოში იქნებიან მორწმუნენი და მათზე იქნება დამოკიდებული მიმდინარეობა არა მარტო ეკკლესიური ცხოვრებისა, არამედ სახელმწიფოსიცა. ეხლა ეკკლესიისათვის საშიშია საერო წოდების ბიუროკრატიის დამორჩილება კი არა, არამედ სასულიერო წოდების ბიუროკრატობა, თუ ეკკლესიის წარმომადგენელთა დაივიწყეს თავის თანამდებობა და დიდის უფლებით დაიწყეს სხვა-გვარად სარგებლობა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო

უმორჩილესად გთხოვთ დამიბეჭდოთ თქვენ ბატიეტემულ გაზეთში შემდეგი სტრიქონები.

„ცნობის ფურცლის“ მე-3018 ნომერში მოთავსებული იეო ბ-ნ ვალსიმინის სტატია: „ჩვენის სამღვდელოების საეურადღებოდ“. ავტორი არჩევს გაზეთ „კოდოკოდი“-ს (№39) მეთორეს და, სხვათა შორის, სწერს, რომ „კოდოკოდი“ -დაკონებით აცსადებს, ვითომ ხუთს ქართველ ეპისკოპოსთა შორის, ორი ეველასგან ცნობილ იეოს, როგორც მტკიცე მოწინააღმდეგე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის პროექტისა. ბ-ნი ვალსიმინი კითხულობს: „ვინ არიან ეს ორი ეფისკოპოსი, კირიონი და ლეონიდე ხომ საქვეყნოდ და უშიშრად თხოულობენ ავტოკეფალიას. საქართველოშივე მსახურობს კიდევ სამი ეპისკოპოსი: გიორგი, ექვთიმე და პეტრე“. ამ კითხვის ბასუხად დაბეჭდილია „ცნობის ფურც.“-ის მე 3036 ნომერში წერილი ეოველად სამღვდელო პეტრესი, რომელიც საქვეყნოდ უმცხადებს, რომ იგი მომხრეა ავტოკეფალიისა. ამასვე გაცხადებ თქვენს გაზეთის საშუალებით, მეც. ჩემი შეხედულობაც როგორც ავტოკეფალიაზე, ისე ჩვენი ეკლესიის სხვა საკითხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბზე ნამდვილი არ არის და ისე კარგად მოეხსენებათ ქართველ ეპისკოპოსებს, ექსარხოსს ნიკოლაზს, რომელსაც „კოლოგოდი“ სთვლის ავტოკეფალიის მომხრედ, ტფილისის ქართველ სამღვდელოებას, თითონ ვალსამონს და იმ საერო პირთ, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ წარსულ 1905 წ. ტფილისში, იმ კრებებზე, რომელზედაც ირჩეოდა ხოდმე საკითხები შესახებ ჩვენის ეკლესიისა. ეპისკოპოსი კირიონი და დეონიდე სახარულით მოელოდნენ ჩემ მღვდელ-მთავრთ კურთხევას იმ იმედით, რომ მხარში ამოგდგომოდი მთ მიზნის მისაღწევად. მათ იმედი არ გამიცრუებია. ვინც იცის საქმის კარგმოება, ის არ დამწამებს სულის სიდიტაკეს.

ეპისკოპოსი გიორგი.

II.

ბ ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ამ ქვემო აღნიშნულ წერილს.

ერთი თვის წინად გაზეთ „ც. ფ.“-ში ბატონი ვალსამონი სწერდა, რომ პეტერბურგის სასულიერო და საერო პრესაში გაუვრცელებიათ ხმა, ვითომ მხოლოდ ორი ქართველი მღვდელთმთავარი, სახელდობრ კირიონი სოხუმის ეპისკოპოსი და ლეონიდ იმერეთის ეპისკოპოსი აცხადებენ სურვილს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ხოლო სხვა ორი მღვდელმთავარი, ქართველნენ, ვითომ არ თანაუგრძნობს ზემოხსენებულ ეპისკოპოსთა თავგანწირულს მისწრაფებას და წინააღმდეგნი არიან მშობლიურის ეკლესიის დამოუკიდებლობის საქმისა. ასაშორებლად ამ გვარის აცილისა ჩემის თავიდან, საღმრთო ვალად ვრაცხ გამოვაცხადო საჯაროდ წინაშე ქართველ ერისა, რომ მე გულითადი მხურვალე მომხრე ვარ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა სახარების სიტყვისაებრ: „შურმან სახლისა შენისამან (უფლისა) შემჭამა მე“ (იოან. 2, 17). ამ გვარი ჩემი მიმართულება ამ საქმეზე არ არის დფარული. წარსულს ზაფხულს ივლისის და აგვისტოს თვეებში ამავე საგანზე რაოდენმე გზით მქონდა საუბარი ერთ მაღალ ხარისხის სასულიერო წოდების პირთანაც ერთი ქართველ ეპისკოპოსის თანადასწრებითა და მონაწილეობითა, წარსული წლის 16 ნოემბრის თვეში მიცემულს პეტიციაზედაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ოთხს ქართველ მღვდელთმთავართა შორის, რომელნიც იმ დროს ტფილისში იმყოფებოდნენ, მეც მიწერია ხელი.

პეტრე ეპისკოპოსი ალავერდელი, დროებით მმართველი იმერეთის ეპარქიისა.

III.

ბ. რ!

თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ჩემნი თანა მსახურნი და მოძმენი ყოველად-სამღვდელნი პეტრე და გიორგი აუწყებენ საზოგადოებას, რომ ისინი არიან მომხრენი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობისა. როგორც ვიცი, ეს აზრი არის საკუთრება არა მხოლოდ ერთის და ორის მღვდეთ-მთავრისა, არამედ ყველა ჩვენ, ქართველ ეპისკოპოსებისა, ამ აზრით გამსჭვალულთა წარსულის წლის ნოემბერშივე ოთხთავე ქართველ ეპისკოპოსებმა ყოვლის გულის წადილით შევადგინეთ წერილობითი განცხადება და დავამტკიცეთ ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა, რომ საქართველოს ეკლესია იყოს და ამისათვის ეხლაც და შემდეგშიაც უნდა იყოს ავტოკეფალური. ჩვენი გადაწყვეტილება იყო კრებითი და ჩვენი განკერძოება ყოველად შეუძლებელია. თუნდა რომ ყველას მოულოდნელად ვინმემ მოინდომა განკერძოება, მაინც ის ითით ვერ დაარღვევს საზოგადო ანუ კრების გარდაწყვეტილებას, რადგან ეს გარდაწყვეტილობა, როგორც ვსთქვი არის საკუთრება კრებისა—საზოგადოების. თუ შესწამა ვინმემ ჩემ ხსენებულ ძმებს რაიმე ჩემთვის უცნობი და გაუგებარი აზრი საწინააღმდეგო ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობისა, ვგონებ, რომ მეც შემწამებდა, მაგრამ დარწმუნდეს ჩემი შემწამებელი, რომ ის, წინაღმდეგ უკვე მიცემულის წერილობითის განცხადებისა, ვერ გადამთქმევინებს ჩემ საკუთარ სურვილს, რომ ჩვენი საქართველოს ეკლესია უნდა იყოს ავტოკეფალური. შეწამების გამგონეც არ უნდა აჰყვეს შეწამებას, რადგანაც სიმართლე ყოველთვის გამოჩნდება—იგი არ დაიკარგება და არც დავარდება. ვინც სიმართლეს სწორედ შეხედავს, ის პირდაპირ მიაგნებს იმას, სიმართლის მიმდევარმა უნდა შეხედოს იმ პირს, რომელზედაც არის შეწამება,—თუ როგორ მსჯელობდა და მსჯელობს იგი საზოგადო საქმეში. თუ თავისი მსჯელობა და დარწმუნება დამტკიცა საჯაროდ თავის ხელის-მოწერითა და შემდგომშიაც

F9943

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ შეუცვლია თავისი დარწმუნება, მაშ რაღა ადგილი აქვს შეწამებას? არც მე და არც ჩემ ძმებს ჩვენს ხელმოწერილისაგან საზოგადოდ უარი არ გვითქვამს. მაშასადამე, სიმართლეს მოუკლებელია ბრძნული ანდაზა: „საცა ხელია, იქაც თავია“.

უმცირესი ძმათა შორის ეპისკოპოსი ექვთიმე.

უნდა მოვახსენოთ წერილის ავტორებს, რომ ეს წერილები ქართველებისათვის დასაჯერია, მაგრამ ძლიერ კარგი იქნებოდა რუსები დაგვერწმუნებია რუსულ გაზეთში ამ წერილების დაბეჭდვით, თორემ რუსები ამას ვერ წაიკითხვენ და არ დარწმუნდებიან რომ გარდა ლეონიდისა სხვა ეპისკოპოსებიც სურვობენ ავტოკეფალობას საქართველოს ეკლესიისავის.

ახალი ამბები და შენიშვნები

*** ტფილისის გენ.-გუბერნატორმა ნება დართო კნ. მარიამ ვახტანგის ასულის ჯამბაკურ-ორბელიანისას შეადგინოს კომიტეტი საქართველოში დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის მოსაგროვებლად და მათთვის შემწეობის აღმოსაჩენად.

*** ტფილისში მოვიდა ეპისკოპოს აშოთის დეპეშა. ეპისკოპოსი იუწყება, რომ ყაზახები და მომრიგებელი შუამავალი თავისას განაგრძობენ და აწიოკებენ სოფლებსო. სხვათა შორის, დეპეშაში ნათქვამია: „ერთ სოფლიდან ყაზახები ისე დაბრუნდნენ, რომ ძალმომრეობა არ უხმარიათ, მაგრამ გამოეყოთ მათ ათი ყაზახი და ჩავიდა ერთ ხევში, სადაც იმალებოდნენ ქალები და ბავშვები. ქალები საშინელი ყვირილითა და წივილით გაქცეულან სხვაგან დასამალავად. მცხოვრებლებმა სრულიად დაჭკარგეს რწმენა მთავრობის წარმომადგენელთა სამართლიანობისა. კომისია, რომელმაც მრავალი ცნობა შეჰკრიბა ძალმომრეობის შესახებ, ის იყო დაბრუნდა, რომ აქ მოთარეშე ყაზახებს ერმალაევის მეთაურობით განაგრძესს ძალადობა. რით აიხსნება ასეთი ანარქია და როდის ექნება დასასრული“. ეპისკოპოსი სთხოვს ტფილისის სომხობას, ყოველივე ეს აცნობონ ნამესტნიკს.

*** 8 აპრილს სარქეოლოგიურ საზოგადოებაში ბ-მა ე. თაყაიშვილმა წაიკითხა მოხსენება ყარსის ოლქში მოგზაურობის შესახებ. ეხლანდელ ჩილდირისა და არდაგანის ნაწილებს საქართველოს ისტორია იცნობს ზემოქართლად, ან სამცხე საათაბეგოს ერთ ნაწილად. ორი-სამი საუკუნეა, რაც ოსმალეთმა საქართველოს ეს კუთხე მოჰგლიჯა, მაგრამ ქართველობის კვალი ჯერაც არ წაშლილა იქ. ბ-ნ ე. თაყაიშვილის სიტყვით, გამაჰმადიანებულ ქართველებს ბევრგან სოფლებში ქართული ენაც არ დავიწყებიათ. რაც შეეხება გარეგან ცხოვრებას, სახეს და ჩვეულებას, ოგინი თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ჩვენის ხალხის ცხოვრებისაგან. ბ-ნს თაყაიშვილს მოუვლია და დაწვრილებით შეუსწავლია შესანიშნავი ადგილები. არქიტექტორის ბ-ნ კლდიაშვილის დახმარებით გეგმები და ფოტოგრაფიული სურათებიც გადაუღია.

*** ტფ. გენ.-გუბერნატორმა ნება დართო კნ. ელისაბედ ირაკლის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანისას 15 აპრილსა და 10 მაისს შუა გამართოს წარმოდგენები, რომლის შემოსავალიც გადაიდება დამწვარ და დაზარალებულ ქართველთა დასახმარებელ თანხის გასაძლიერებლად. ერთ წარმოდგენას გამართავს ქ-ნ ივორსკის დრამატიული დასი, მეორეს—ფილარმონიული საზოგადოება.

*** 11 აპრილს, საღამოს $5^1/_2$ საათზედ წყნეთის ქუჩაზე, ყუმბარა ესროლეს ქართველ მემამულეს თავ. გიორგი ამილახვარს და იმის მხლებელთ. ნასადილევს თა. ამილახვარი, დათა ნემსაძე, ალექსანდრე კვალიაშვილი და აპოლონ მაჩაბელი წყნეთის ქუჩაზედ მიდიოდნენ. იქნებოდა საღამოს ექვსი საათი, როდესაც მიმავალთათვის, როგორც თვითონ განაცხადეს, სახერხავ ქარხნის ეზოდან ვიღაცას უსროლია ყუმბარა, რომლის ნატეხებითაც ფეხში მძიმედ დაჭრილა დათა ნემსაძე, მსუბუქად კვალიაშვილი და თავ. ამილახვარის მცველი ლეკი ისმაილ სულეიმან-ოღლი (მკლავში). დანარჩენნი უვნებლად გადარჩნენ. როცა ყუმბარის გადამგდებთ შეუნიშნავთ, რომ ამილახვარი უვნებლად გადარჩა, რამდენჯერმე რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ააცილეს. ამ დროს გადარჩენილთ ამოიღეს რევოლვერები და გამოუდგნენ მსროლელთ, მაგრამ ეს უკანასკნელნი მიიმალნენ. სროლის ხმაზე მოვიდნენ პოლიცმეისტერი, გუბერნატორი და ადმინისტრაციის სხვა პირნი, მთელი უბანი ყაზახებით შეჰკრეს და შეუდგნენ ჩხრეკას. საღამოს დაუპატიმრეს სამი კაცი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ზენაკალი და ორიც სხვა, ვასო ჩუბინიძე და გიორგი ზუბიაშვილი. ამათზე ზოგი დაშავებულთაგანი ამბობს, რომ თავი დაგვიკრეს; „ენიაზებს გაუმარჯოთო“, შემდეგ გაიარეს მცირე მანძილი და გვესროლეს ყუმბარაო. გამოძიებას უკვე შეუდგენენ. მიზეზი თავდაცვისა გამოურკვეველია, თუმცა ფიქრობენ, რომ ყუმბარის მსროლელნი ისინი უნდა იყვნენ, რომელნიც ამას წინად გასაძარცვავად დაეცნენ ამილახვარს წყნეთისავე ქუჩაზე. საკუთარს ბინაზე.

*** ამას წინად ყველა გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ თედო სახოკიას სამხედრო სამართალში აძლევენო. როგორც გადმოგვცეს ეს ამბავი მართალი არ არის. თედო სახოკიას შესახებ ჯერ გამოძიება არ გათავებულა.

*** სამხედრო სასამართლომ ტფ. გენ.-გუბერნატორს გადასცა განაჩენი ოზურგეთის მცხოვრების სამსონ ღლონტის საქმის შესახებ. ღლონტს, როგორც ვიცით, აბრალებდნენ საკანტროლო პალატის ხაზინადრის მალინოვსკის მოკვლას. სამხედრო სასამართლო შუამდგომლობს გენერალ-გუბერნატორის წინაშე, რომ ღლონტს, მცირე-წლოვანობის გამო, სასჯელი შეუმსუბუქდეს. განაჩენი ჩამოხრჩობის შესახებ ძალაში შესულა, რადგან დამნაშავეს იგი არ განუსაჩივრებია.

*** სამხედრო სასამართლომ ფოთში სიკვდილით დასჯა მიუსაჯა დიმიტრი ჩიგოგიძეს, რომელსაც ჭიათურაში კაპიტან ტარასოვის მოკვლას აბრალებდნენ. ნამესტნიკმა ეს სასჯელი ჩიგოგიძეს შეუცვალა ოცი წლის კატორგად.

*** გაზეთის მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, რომ ყოველ წელიწადს ინგლისა და ამერიკაში რამდენსამე ცხენოსანს გურულს იბარებენ ცირკებისთვის. ამ გურულებს, რაღაცა შეცდომით, საზღვარ-გარედ „კავკასიელ ყაზახებს“ ეძახიან. ამას წინად ეს გურულები, ამერიკაში მიმავალნი, მარსელში მოჰყოლიან. როდესაც ფრანგებს გაუგიათ, „ყაზახები“ მოვიდნენო, ერთი ალიაქოთი აუტეხიათ, დაუშენიათ ქვები და ქოლგებითა და ჯოხებით მიჰვარდნიან. ფრანგები, საზოგადოდ, გაჯავრებულნი არიან ყაზახებზე იმ საქმეების გამო, რომელსაც ესენი რუსეთში სჩადიან. ბოლოს საქმეში პოლიცია ჩარეულა და დაურწმუნებია ხალხი, რომ მიმავალნი ყაზახები-კი არა, ქართველები არიანო.

*** „შრომა»-ში ვკითხულობთ, რომ სასულიერო მთავრობას შეუმუშავებია პროექტი საქართველოში ორის სასულიერო სემინარიის დაარსების შესახებ. ამ პროექტით. ერთი სემინარია უნდა დაარსდეს დასავლეთ საქართველოში და რადგან იქ თითქმის სულ ქართველები სცხოვრობენ, სწავლება ამ სემენარიაში ქართულს ენაზე უნდა იყოს, ხოლო მეორე სემინარია უნდა დაარსდეს ტფილისში, აქ კი საწვლება ისევ რუსულ ენაზეა.

„ვეჩერ. გოლ.“-ს გაუგია, რომ მთავრობას გადაუწყვეტია დაითხოვოს სახელმწიფო სათათბირო მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში: 1. თუ სათათბირო მოითხოვს 20 თებერვლის მანიფესტის სრულიად გაუქმებას; 2. თუ სათათბირო მოითხოვს, რომ ხელმწიფემ კონსტიტუციაზე ფიცი მიიღოს და 3. თუ სათათბირო მოითხოვს მთელ სამინისტროს დათხოვნას.

*** მინისტრ დურნოვოს ზოგიერთ გავლენიან კაცთათვის მიუმართავს და უკითხნია, რა მიზეზია მემარჯვნე პარტიებს და „17 ოქტომბრის კავშირის“ დამარცხებისაო. ზოგს უპასუხნია, რომ თავი და თავი მიზეზი ამ პარტიების დამარცხებისა არის თვით მინისტრი დურნოვო, რომელმაც რეპრესიებით გამოიწვია რუსეთის საზოგადოების პროტესტი, რაც მემარცხნე პარტიებისადმი თანაგრძნობაში გამოიხატა. ხალხმა ამ პარტიის წევრნი აირჩია სახელმწიფო სათათბიროში და ამით გაჭკიცხა ვიტტე-დურნოვოს რეაქციონური მთავრობა. ამბობენ, რომ ასეთმა განცხადებამ დურნოვოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო.

*** გაპონი ამჟამად ერთ-ერთ მონასტერშია და იქ იხდის, უმაღლეს სასულიერო მთავრობის ბრძანებით ეპიტიმიას, თანახმად ეკლესიის კანონებისა. ამბობენ, რომ მისი ცოლი ფიქრობს მიტროპოლიტს სთხოვოს ქრისტეს ბედის შემსუბუქება.

*** „სლოვო“ იუწყება, ცარსკოე სელოში გაიმართა მეორე სხდომა საგანგებო რჩევისა. ამ რჩევის მიზანი იყო საკითხი შესახებ ძირთად დამატებით კანონის გამოცემისა. რჩევის ყველა წევრები შეთანხმდენ, რომ არსებული კანონები ხელშეუხებელი უნდა დარჩეს, მაგრამ ერთი რამ ძლიერ აშინებს მთავრობას, სახელდობრ; ისა, რომ სახელმწიფო სათათბირო ისარგებლებს მისთვის მიკუთვნებულ უფლებით ჭ გაფაართოვებს თავის მინდობილე-

ბებს. ამიტო მთავრობა იძულებულია მიიღოს ზომები. იუსტიციის მინისტრის აზრით, ერთად ერთია გზა ამ ნაირ საფთხის თავიდან ასაცილებლად ისაა, რომ სათათბიროსა და საბჭოს შესახებ გამოცემულ დებულების შესახები კანონი ძირთად კანონებში ჩაირიცხოს.

*** ხმებია რადგანაც ქალაქში სრული სიმშვიდეა, ამიტომ მოსკოვის უნივერსტეტში ამ დღეებში დაიწყება სწავლა.

*** როგორც პეტერბურგიდან ატყობინებენ „შრომა"-ს იმ საშინელ ამბების გამოსაძიებლად, რომელსაც ეს მეოთხე თვეა ბოლო არ ეღება ქართლსა და დასავლეთ საქართველოში, პეტერბურგიდან იგზავნება სახელმწიფოს დაცვის საქმის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი გ. ნ. ომელიუსტი-პეტრენკო.

განა პეტერბურგში არ იციან რა ხდება საქართველოში? განა ესეთი განკარგულებანი იქიდან არ იგზავნებიან?!.

*** თიანეთის მაზრაში რწმუნებულთა არჩევანი დანიშნულია 25 აპრილისათვის; გორისა, დუშეთისა, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში—3 მაისისათვის; თელავის მაზრაში—7 მაისისათვის. მემამულეთა კრებები დანიშნულია: გორისა, დუშეთისა, ტფილისასა და ბორჩალოს მაზრებში—7 მაისისათვის, ხოლო თელავის მაზრაში—3 მაისისათვის. ქალაქის ამომრჩეველთა კრებები დანიშნულია: სიღნაღის მაზრაში—3 მაისისათვის, გორისა და დუშეთის მაზრებში—5 მაისისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამორჩეულნი პირნი სექტემბრისათვის შეიკრიბებიან პეტერბურღში!..

*** კავკასიის უმაღლეს-ადმინისტრაციის განკარგულებით, გორისა და დუშეთის მაზრებში გლეხთა მოძრაობის დროს გაიგზავნა საგუბერნიო საგლეხო საკრებულოს წევრი ბ-ნი მ. შესტაკოვი, რომელსაც, სხვათა შორის, დავალებული ჰქონდა გლეხებისა და სამღვდელოების შორის ატეხილი დავა დრამის ფულის შესახებ გამოერკვია და მოეწესრიგებინა. ბ-ნ შესტაკოვს ამ ჟამად დაუმთავრებია ეს საკითხი და ამ მაზრების მომრიგებელ შუამავლებსა შემდეგს სწერს: «დუშეთის მაზრაში მოგზაურობის დროს გლეხები ყველგან შემომჩიოდენ ამ სასყიდელის სიდიდეზე, რომელსაც ისინი იხდიან მღვდლების სასარგებლოდ სხვა-და-სხვა წეს-რიგის სრულების დროს. ამაზევე სწერდა ადგილობრივი პრესა გორის მაზრის შესახებაც, რომ ცოტათი მაინც მოვაწესრიგო ეს საკითხი და მით დავამშვიდო გლეხები. საჭიროდ ვრაცხ შეგატყობინოთ ის ცნობები, რომელიც ამ ჟამად ხელთა მაქვს—სახელდობრ: 1. თითქმის მთელ საქართველოს ეპარქიაში დრამა უდრიდა ერთიდან ორ ფუთ ხორბალს; 2. მღვდელმოქმედების ნიხრი საქართველოს ეპარქიაში შემუშავებულია ჯერ ისევ 13 დეკემბერს 1882 წელს და პირი ამ ნიხრისა დაეგზავნა ყველას; ამ ნიხრის ძალით დადებულია: ა) დაქორწინებაში მდიდრებზე—10 მან., საშუალო ქონებისაზე—7 მან., ღარიბებზე—5 მან., ბ) მიცვალებულის გამოსვენებასა, ანდერძის აგებასა და მისვენებაში საფლავამდე, რომელიც 1 ვერსის მანძილზეა, 3 მან., ხოლო ერთ ვერსზე მეტში—ათი შაური თითო ვერსზე; გ) დაკითნის კითხვასა და ორმოცის წირვაში მორიგებით. მთელ კრებულზე ასე 35 მანეთი მოდის; ვ) ნათლობაში, როგორც მე ვიცი, დაწესებულია 1—2 მანეთი. (?) ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ეს ფასი მთელ კრებულზეა გამოანგარიშებული და ამა თუ იმ კაცის შეძლება სასოფლო ყრილობაზე ირკვევა ხოლმე. ამ ნიხრზე ჩემის აზრით ყოველთვის შეიძლება მოარიგოთ ორივე მხარე, მით უმეტეს, რომ სამღვდელოება ყოველთვის დაუთმობს ღარიბ მრევლს. გლეხების დასამშვიდელლად ის ფაქტიც უნდა ჩაითვალოს, რომ სამღვდელოება ეკამდგომლობს როგორც დრამის შეცვლას, ისე ფულის გაღებას მღვდელმოქმედებაზე. სანამ ეს საკითხი გადასწყდება, გავალებთ იხელმძღვანელოთ იმ ნიხრით, რომელიც მე ზევით მაქვს აღნიშნული». (შრომა).

*** „კავკაზ"-ში ოფიციალური ცნობაა დაბეჭდილი იმ საქმეების გამოძიების შესახებ, რომელიც შუშის მაზრაში ყაზახთა რაზმმა ჩაიდინა. ნამესტნიკს განუხილავს განსაკუთრებულ კომისიის მოხსენება და დაუდგენია: 1. გაიგზავნოს განჯის გუბერნიაში საჭირო ზომების მისაღებად ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა; 2. პოლკოვნიკის ვეევრნის რაზმის მოქმედების გამოძიება მიენდოს სახელდრო გამომძიებელს პოლკოვნიკს ცეგე ფონ-მანტეიფელს, 3. მომრიგებელი შუამავალი ერმოლოვი დროებით დათხოვნილ იქნეს თანამდებობიდან და იმის საქმის გამოძიება მიენდოს განჯის ვიცე-გუბერნატორს. („შრომა").

*** წმიდა ბარბარეს ეკლესიის მღვდელს ი.

ჩიჯავაძეს უთხოვია გაზეთის გამოცემის ნებართვა, რომელსაც ეწოდება «სიტყვა». არ არის ცნობილი, ეს გაზეთი სასულიერო იქნება თუ საერო.

*** 5 აპრილს სოფ. ბაშგურაღელში მისულა ერთი ფაეტონი, რომელშიცა ყოფილან ერთი ჟანდარმის ოფიცერი, ერთი მის მთარგმნელი და ერთი შავ ჩოხიანი კაცი. ამ ფაეტონს მოყვებოდენ ორი შეიარაღებული ცხენოსანი ჟანდარმები. ჟანდარმის ოფიცერს გამოუცხადებია მამასახლისის თანაშემწისათვის, რომ იგია გამოგზავნილი- ფულების გასაჩხრეკად, რადგან ამ ბოლო დროს ხაზინაში ყალბი ფულები შემოდისო. მათ წარუდგენიათ მობოჭილი ფულები 749 მანეთი, ფულების შემკრებისათვის გამოურთმევია 500 მ. და ერთი კერძო კაცისთვისაც გამოურთმევიათ 200 მანეთი. გამოუცხადებია მათთვის, რომ ალექსანდრეპოლში უნდა წაგვყვეთ და იქ თქვენს მთავრობას ჩვენაბარებთ ამ ფულებსაო. ეს ყოფილა ღამით ათ საათზე. ფაეტონით მაშინვე გამობრუნებულან «რევიზორები» და ფულის მიმცემნიც გამოყოლიან, მაგრამ ისე ჩქარა წასულან ფაეტონით, რომ ველარ დასწევიან და ისინიც მიმალულან. ეძებენ დღესაც ამ ჟანდარმებს, მაგრამ ვერ ნახეს.

—მეორე შემთხვევა კიდევ უარესი მომხდარა ბალაქს დუშეთში. შვიდი-რვა სალდათი მისულა დუშეთის ხაზინაში ყარაულების გამოსაცვლელად. ეს სალდათები დამდგარან ყარაულად და წინეთ მდგომნი კაზარმაში წასულან. ეს ახლად მოსული სალდათები შესულან ხაზინის ოთახში, სადაც ფულები ინახებოდა, გაუღიათ კარი და წაუღიათ სამას თუთხმეტი ათასი მანეთი. სერთუკები დაუხდიათ და დაუტოვებიათ იქვე და თვითონ მიმალულან.

დიაღ, ძლიერ ცუდი დრო დგება და რა იქნება შემდეგში—კაცმა აღარ იცის... რა არის ეს თუ არა მასხარად აგდება ომიანობის მდგომარეობის გამოცხადებისა?... ჩვენ გვგონია ხაზინას არა დაეკარგება-რა, რადგან დუშეთის გენერალ-გუბერნატორი დუშეთის მაზრის მცხოვრებთ გარდაახდევინებს, როგორც ორას ორმოცდა შვიდი ათასი მანეთი ყვირილის ხაზინის შორაპნის მაზრის ხალხს და მდედლებს გარდაახდევინეს...

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ შორაპნის მაზრის სამღვდელოებას თხოვნის მრთმეველ განუზრახავსთ ხელმწიფისათვის და ითხოვენ უკანონოდ გარდახდევინებული ფულები ყვირილის ხაზინისაგან გაარდაცემული ცნობილ პირებისათვის უკანვე დაუბრუნონ მათ. ჩვენ დარწმუნებული ვართ ხელმწიფე შეიწყნარებს ამ თხოვნას და ამ ფულებს უკანვე დაუბრუნებს სამღვდელოებას.

*** სათათბიროსა და საბჭოს წევრებისათვის რაუტის გამართვა განზრახულია 27 აპრილს საღამოსთვის.

*** „სტრანა„ იუწყება, სამსახურიდან გადიან მთავარ საზღვაო შტაბის უფროსების თანაშემწენი კონტრ-ადმ. ვირენიუსი და ნიდერმალერი.

*** „სლოვოს“ გაუგია, მეფის სიტყვა, წარმოთქმული იქნება საზამთრო სასახლეში სათათბიროსა და საბჭოს წევრების წინაშე ერთად.

*** გაზეთი „რუსკოე ბოგატსტვო“ გადმოგვცემს, რომ მოსკოვში ამას წინეთ ყრილობა მოუხდენიათ რუსებს რომელ ყრილობაზედაც სხვადასხვა საპოლიტიკო კითხვების გარდა მსჯელობა ქონებიათ ეკკლესიის შესახებაც საზოგადოდ და განსაკუთრებით საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობის შესახებ. ამ კრებაზე გარდაუწყვეტიათ: «ნება არ მიეცათ სამღვდელოებასა და ხალხსა საეკკლესიო კრების მოხდენისა, ვინაიდგან, იმათის აზრით, თეთრი სამღვდელოება და ხალხი აღრეულებას მოახდენენ და ეკკლესიის საქმეს გააფუჭებენო. საქართველოში დაჯინებული თხოვნა ეკკლესიის ავტოკეფალობისა რევოლიუციონერების საქმეა».

„მალე დადგება დრო, რომ მოსკოვში, იქ სადაც დღეს დიდი ტაძრებია იმ ადგილებზე იქნებიან კონსერვატორიები და თეატრები... უკვე მოახლებულია ანტი-ქრისტეს მოსვლის დრო“.

ამ კრებას დაესწრო ცნობილი ვოსტორგოვი და იმანაც, რასაკვირველია, დაასაბუთა კრების ესეთი შეხედულება და ბოლოს კრებამ გარდასწყვიტა: „მარტო ეპისკოპოსები შეიკრიბონ და მხოლო მათი გარდაწყვეტილება არის საკმარისი ყოველ საქმის მოსაწყობად და გასაკეთებლად, თორემ თუ იმათთან ერთად მორწმუნენი და სამღვდელოებაც შეიკრიბა უთუოდ საქმე წახდება და ანტი-ქრისტე მალე გამოცხადდება“. ამ კითხვის შესახებ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობისა სარწმუნოებისა და კეთილ-ზნეობაზე.

ღმერთი მაცხოვარი და განმანათლებელი.

ზეციერი სწავლიდგან ჩვენ ვიცით, რომ ადამის პირველმა შვილმა კაენმა მოჰკლა ძმა თვისი აბელი.-ეშმაკმა მოჰკლა კაცი, კაცმა კაცი-ძმა. ასე გაძლიერდა კაცის ბუნებაში ის ბოროტი, რომელიც შემოიტანა აქ ეშმაკმა. ცხადად სჩანან ამ ბოროტის მსწარე ნაყოფნი: კაცსა მან გონება დაუბნელა, გული გაურყვნა, ნება დაუსუსტა; გონებას მოაკლდა ჭეშმარიტება, გულსა სიყვარული, ნებას კეთილი: კაცი დადგა ბიწიერების გზაზე. ასე ბნელია დაცემული კაცის ბუნების სახე, რომლისა -ღდგენა შეეძლო მხოლოდ იმავე ღმერთსა, რომელმანც შექმნა კაცი. ცოდვილი ადამისაგან განმრავლდა ქვეყანაზე ცოდვილი კაცობრივობა. განვლეს ჟამთა, საუკუნოთა, ცოდვა, ბიწიერება ისე გაძლიერდნენ კაცობრივობაში, რომ მორწმუნედ ღვთისა და ედემის აღთქმისა დარჩა მხოლოდ ერთი სახლობა მართალი ნოესი. მართლ-მსაჯულმა ღმერთმა ბოროტი კაცობრივობა, როგორც უვარგისი, ცოდვისგან დამპალი ნაყოფი, მოსპო წარღვნითა. განმრავლებული ნოეს ჩამომავლობაც დაგა უღთოობის გზაზე: იმანაც დაივიწყა აღთქმა მაცხოვრებისა. მაშინ მცველად სარწმუნოებისა ღმერთმან აღმოირჩია მართალი აბრამი. მის ჩამომავლობას, როგორც აღრჩეულ ღვთის ერსა, ერგო ბედნიერი ხვედრი: ამ ერისგან აღმოცენდა ის, მშვენიერი ნორჩი კაცობრიობისა-ჟურჟული კეთილისა და მადლისა-ქალწული მარიამი, რომლისგანაც, სული წმინდის ძალით, იშვა, განხორციელდა, განკაცნა ძე ღვთისა, მეორე პირი ღვთაებისა, წოდებული იესო ქრისტედ, კაცობრივობის მაცხოვრად. ასე გამოცხადდა, თავის დროზე, ის დიდი საიდუმლო კაცთა მაცხოვარებისა, რომელიც აღთქმული იყო ედემში.

ადამიანს შეუძლიან მიუახლავდეს ამ დიდ და ღრმა საიდუმლოსა, მიიღოს და ირწმუნოს იგი, მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი, გონიერ-ზნეობითი და თავისუფალი არსება, კეთილ-ნებობით დადგება უმაღლესი თვით შეგნების ნიადაგზე: ძალდატანებითი სარწმუნება არც შეიძლება და არც ჩაითვლება რწმუნებად.

თვითთშეგნება უცხადებს კაცს, ამ გვარ ჭეშმარიტებასა: კაცი სულით არის ღვთის სახე, ამისთვის ღმერთი და კაცი უნდა იყვნენ ერთობაში,-როგორც ღმერთი, კაციც უნდა იყვეს წმინდ ცხოვრებისა,- ეს ერთობა არის კაცისთვის ნეტარება. მაგრამ კაცი, როგორც ცოდვილი, დაშორებულია ღვთისაგან. ეს დაშორება შეადგენს კაცისთვის ტანჯვასა, სულიერ სიკვდილი. ამიტომ კაცი საჭიროებს შემწეობაში, ცოდვათა მიტევებაში, როგორ-�იანობის ღმერთთან ერთობა, როგორც წმინდა არსებასთან, წყაარო ნეტარებითი ცხოვრებისა კაცის შემწეობა ამ საჭიროებაში შეეძლო მხოლოდ ღმერთსა; კიდეც ამისთვის იგი განხორციელდა. იესო ქრისტეში, როგორც ღმერთ-კაცში, ღვთის ბუნება შეერთდა კაცის ბუნებასთან, რომ ეშველა კაცისთვის. მან ნამდვილად უშველა სწავლითა და საქმითა. მან მოანიჭა კაცობრიობას ჭეშმარიტი ცნობა ღვთისა, კაცისს და ქვეყნისა, ის ცნობა, რომელიცა ცოდვამ დაუბნელა კაცსა. როგორც ქრისტე გვასწავლის, ღმერთი არსებით არის ერთი, ცხოველი, საუკუნო სული, სამპიროვანი: ღმერთი მამა, ღმერთი ძე და ღმერთი სული წმინდა. ეს ღმერთი არის შემოქმედი კაცისა და ქვეყნისა, იგივე არის მზრუნველი, მაცხოვარი და განმანათლებელი კაცობრიობისა. კაცი შექმნილია საუკუნო ნეტარებისთვის, მაგრამ ცოდვამ მოაკლო მას ეს ნეტარება, მოჰკლა იგი სულიერად. ამიტომ ცოდვათა მოტევება ღმერთთან მოანიჭა კაცსა ღმერთ-კაცმა იესოქრისტემ საქმით: მან, როგორც უაღრესმა პირმა, კეთილნებობით მიიღო თვისთავზე პასუხის გება კაცთა ცოდვათათვის, იგი ეწამა ჯვარზედ, მოკვდა, აღსდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეკად. ამ გზით ქრისტე-ღმერთმა მოანიჭა კაცთა მადლი მაცხოვარებისა. ამ მაცხოვარების ღირსი გახდება ისა, ვინც გონებითი, გულით და ნებით ირწმუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს იესო ქრისტესა, როგორც ღმერთს-მაცხოვარსა და იცხოვრებს თანხმად სარწმუნოებისა. ვისაც აქვს უმაღლესი თვითშეგნება, ვინც გაიგებს, თუ როგორ ეთანხმება ყოველივ ეს კაცის ბუნებასა და აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვნილებათა, იგი უეჭველად ირწმუნებს და სცხონდება.

ძაცი, როგორც ცოდვილი, სულითაც და სხეულითაც სუსტია სულიერი ცხოვრებისთვის. ამიტომ იგი საჭიროებს ღვთის შველას, ცოდვათა მიტევებაში, გამართლებაში ანუ განათლებაში. მისი განათლება შეუძლიან მხოლოდ ქრისტეს მადლსა. ეს მადლი არის მისი მოწყალება, მისი საჩუქარი რომელშიაც საჭიროებს საწყალი კაცი. როგორც ხორციელი ცხოვრებისთვის საჭირონი არიან ნივთიერნი ნაყოფნი ისე სულიერი ცხოვრებისათვის საჭიროა ქრისტეს მადლი. ამიტომ მანდაწესა ქყეყანაზე მადლის სამეფო. ამ სამეფოს შეადგენენ ქრისტეს მორწმუნენი, რომელნიც სარგებლობენ ქრისტეს მადლითა მორწმუნეთა საზოგადოება იწოდება ქრისტეს ეკლესიად. კაცი ხორციელ ცხოვრებაში ნივთსა ხმარობს თავის სასარგებლოდ. მარტო არსებობა ნივთისა უსარგებლოა, თუ არ იხმარება იგი საქმეში. სულიერ ცხოვრებაშიაც ასეა. მადლი მაცხოვარებისა მონიჭებილია ქრისტესგან, იგი უკლებელია და მზა არის ყოველი კაცისათვის. კაცმა უნდა ისარგებლოს მით. ამიტომ იგი თავის ნებით უნდა მივიღეს ქრისტესთან სარწმუნეების საშვალებით. ეს არი პირველი ნაბიჯი მადლის მისაღებად. ქრისტეს მადლი არის სულიერი ძალა, ხოლო კაცი არის ქვეყნიერ ცხოვრებაში სულიერ-ხორციელი. მისი სულიც და სხეულიც საჭიროებენ განათლებაში. ქრისტეს მადლით განათლება მიენიჭება კაცსა საიდუმლოდ, სულიერად, უხილავად. ამიტომ იესო ქრისტემ დააწესა თვის ეკლესიაში საიდუმლონი. იგინი არიან ლოცვითი საღმრთომოქმედებანი, სადაც კაცი ხედავს ხილულ მოწყობილებასა, ნივთიერ ნიშნებსა. ამგვარად კაცი, როგორც სულიერ ხორციელი არსება, მონაწილეობს ამ საიდუმლოებში სსლითაც და სხეულითაც. ასე სულიერ-ხორციელი კაცის ბუნება მიიღებს ქრისტეს მადლსა, რომელიც იმყოფება თვითეულ საიდუმლოში. ქრისტიანესთვის მიწა არის ხორციელი დედა, ხოლო ქრისტეს აკლესია არის მისი სულიერი დედა. ღვთის ნებით და ძალით დედა-მიწა ჰკვებავს კაცსა ხორციელად, დროებითი ცხოვრებისთვის, ხოლო დედა-ეკლესია ესაზრდოებს ქრისტიანესა სულიერი მადლითა ნეტარი ცხოვრებისთვის. საიდუმლონი ქრისტეს მართლ-მადიდებელ ეკლე. არიან: ნათლიღება, მირონცხება, ზიარება, სინანული, მღვდელობა; ქორწინება და ზეთის კურთდევა.

სათნოდ მამისა,
მსხვერპლად ძე ღვთისა
შეწირულ იქმნა;
ეს არს კაცთა ხსნა,
ზენაურ ძალი,
ცონადთ წამალი.

—

ნეტარ ხარ ძელო,
ქრისტეს უღელო,
შენზედ ტანჯული,
კაცთა მსჯული,
ეგვლას აბრალებს,
ეგვლას იწყალებს,
ვინცა იწმუნებს,
ვინცა იწუხებს
ტოდვის მონებას,
მის ბოროტებას.

—

ზნაო სულო,
ნათლით შემკულო.
ვინც კერწმუნება,
მისი ბუნება
შეგა გრძნობაში,
ნაშდვილ ცნობაში,
ვით ხარ კეთილი,
მაცხოვარ ტკბილი.

—

მშვიდი გონებს,
მორჩილი ნება,
მდაბალი გული,
მოსავი სული
ვერ უარ ჰყოფენ,
რომ კაცზედ ჰფენ
შენ დიდებასა,
მოწყალებასა.

—

ამას ყოველსა,
ვითა ნათელსა,
შვენის რწმუნება
და სასოება,—
მადლობა დმერთსა
სამებით ერთსა.

იოსებ ბალუკეა.



განცხადება.

მიიღება ხელის-მოწერა 1906 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

XXIII წ. „მწყემს“-ზე XXIII წ.

ᲓᲐ

XXII წ. რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე XXII წ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 »
— „ ორივე გამოცემა 5 »	— „ ორივე გამოცემა 3 »

მაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ** რედაქციაში, **ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ვისაც ნაწილ ნაწილად სურს ხელმოსაწერი ფულის შემოტანა მან ორივე ჟურნალისთვის უნდა წარმოადგინოს 3 მან. პირველ იანვარს და 2 მ. პირველ ივლისს. მარტო „მწყემსი“-სთვის: პირველ იანვარს 1 მ. პირველ აპრილს 1 მ. პირველ ივლისს 1 მან. სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქცია იმყოფება დ. ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

საუმაწვილო ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲜᲐᲙᲐᲓᲣᲚᲘ“

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘᲗ

მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის.

თვეში ორჯელ სამა წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის

ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ ᲤᲣᲠᲪᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.

წელიწადი ითვლება 1-ლ იანვრიდან 1-ლ იანვრამდე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან.,—ნახევარი წლით ერთად 2 მ. 50 კ. ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ.,—თვეში 40 კაპ.— ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.

დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვეევით უნდა იყოს დაწერილი.

წერილები რომელზედაც არ იქნება ადნიშნული სურვილი ჭონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩაოგდილი.

რედაქტორი **ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲚᲘᲡ ᲓᲘᲐᲜᲘᲡ.**

გამომცემელი **ᲗᲐᲕᲐ. ᲞᲐᲕ. ᲘᲝᲜᲘᲡᲔ. ᲗᲣᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

3—3

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲜᲬᲘᲮᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ: ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების გამოცხადების შემდეგ დიდი გამჭრიახობა მართებს მწყემსთა, სოფლის ხუცისა.—სინდღნისა და ეკკლესიის თავისუფლება ბიზანტიის იმპერიაში.—ახალი ხრიკი გლეხების ცარცვა გლეჯისა.—გაგიგონიათ დამნაშავე თვითონ მირბოდეს სატუსაღოში?—მწარე ფიქრები, სოფლის ხუცისა. რუსეთის სემენარიის ცხოვრებიდან.—აღრჩევასასულიერო წოდების მხრით სახელმწიფო საბჭოში ექვსი წევრისა, დ. დ. ღ. სამეურნეო ბანკის გაძარცვა და გ. ს. განძილის მოკვლა,—მიწის ძვრა და ვეზუვის ამოხეთქა.—ნეკროლოგი, მღ. სერგო კალაძე.—ბიჭუნას (ლექსი), თ. როსტომ—გუძა ჩიქოვანის.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—წერილები რედაქციის მიმართ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ **ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲕ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲐᲡᲐ** და **ᲙᲔᲗᲘᲚ-ᲬᲜᲝᲛᲝᲑᲐᲖᲔ:** ღმერთი მაცხოვარი და განმანთლებელი, ი ბალუკვის.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе

ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.